გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“
კონსტანტინე გამსახურდია

№10 (274)

ქართული სიტყვა

ფასი 1 ლარი

11 – 17 მარტი 2015 წ. ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტი (www.tesau.edu.ge)
აირჩიეთ 071

ირმა გიგანი საერთაშორისო
კონკურსის ლაურეატი გახდა!

>>> მე-2-3 გვ.

ბინძური კლანის აფეთქება თუ საუკუნის ბიზნესყაჩაღობა?

ბიზნესმენის ძვრივი თაღლითობაში ამხელს – სად გაქრა ბანკ „რესპუბლიკადან“ ოგგერ მაცაბერიძის 12%-იანი წილი და რა უთხრა ლაშა პაპაშვილმა გარდაცვლილის ოჯახს

>>> ექსკლუზიური გამოქვეყნება

„კოალიციაში დაძაბული სიტუაციაა... საგანელიძე მოვლენებს ვეღარ მართავს...“



>>> მე-11 გვ.

„ეს პერიოდი ნარმანიასთვის წყალგამყოფია“ – მამუკა არეშიძე საშინაო და საგარეო პრობლემებს აფასებს

„ნაციონალებმა“ ბობოლა „ზონდერების“ მობილიზაცია გამოაცხადეს!“

„2003 წელს, როცა მოვიდნენ, დათა ახალაიამ კუდ-ში განაცხადა, ხელისუფლებაში ორი საარჩევნო ციკლი ვიქნებით, მერე, ერთი ციკლი აღარ ვიქნებით, მერე კი, დავბრუნდებით და ხელისუფლებაში 20 წელი დავრჩებითო და ამაზე სპეცსამსახურში ყველა ლაპარაკობდა... ღმერთმა დაიფაროს, „ნაცმოძრაობა“, თავისი კეზერაშვილებითა და ადეიშვილებით, ხელისუფლებაში დაბრუნდეს, თორემ, ვერ წარმოიდგენთ, აქ რა მოხდება!“

„დამიჯერეთ, საქართველოში სამოქალაქო ომი გარდაუვალია!“ – რა ინფორმაციას ფლობს კონტრდაზვერვის ოფიცერი >>> მე-8-9 გვ.

ადეიშვილის საქმიდან >>> მე-12-13 გვ.

ექსპერტიზის დასკვნა გაქრა

ადვოკატი ელზა ჯმუხაძე: „ადამიანზე ძალადობის მეთოდები დაიხვეწა!“

გია ჯაჯანიძეს ხორცის ჩამოთლით ემუქრებიან!



>>> მე-16-17 გვ.

„ამოყირავებული ჯვარი პირდაპირ სატანისტურ >>> მე-14-15 გვ. მიდრეკილებებზე მიუთითებს!“ – ყველაფერი „სატანის ეკლესიაზე

რამდენ ჯგუფად იყოფიან, რატომ ატარებენ რიტუალებს სასაფლაოზე და როგორ ირჩევენ მსხვერპლს სატანისტები

ქართული სიტყვა

ლიტერატურა. ზელოვნება. პოლიტიკა

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ჟურნალისტური გამოძიება

ბინძური კლანის აფიორა თუ საუკუნის ბიზნესყაჩაღობა?

ბიზნესმენის ძვრივი თაღლითობაში ამხელს — სად გაქრა ბანკ „რესპუბლიკადან“ ომგერ მაცაბერიძის 12%-იანი წილი და რა უთხრა ლაშა პაპაშვილმა გარდაცვლილის ოჯახს

რედაქციაში წერილი მოვიდა. „ქართული სიტყვის“ მთავარი რედაქტორის, ჯანსუღ ჩარკვიანის სახელზე დაწერილ განცხადებას ხელს მარო მაცაბერიძის წარმომადგენლები — ადვოკატები ალექსანდრე გიოშვილი და სალომე აბულაძე აწერენ. საქმე ქონებრივ დავას ეხება და, აქედან გამომდინარე, შესაძლოა, ვინმემ იფიქროს, რომ ადვოკატებს დასახმარებლად ჟურნალისტებისთვის კი არა, სამართალდამცავებისთვის უნდა მიემართათ, მით უმეტეს, ახლა, როცა მთავარ პროკურატურაში სპეციალური დეპარტამენტი შეიქმნა, რომელიც, უხეშად რომ ვთქვათ, წართმეული ქონების დაბრუნება-არდაბრუნებას შეისწავლის, მაგრამ როგორც ირკვევა, გამოძიება წელიწადია, უშედეგოდ მიმდინარეობს. „მოგმართავთ უმორჩილესი თხოვნით, იქნებ, ჩვენთან ერთად, ჩვენი მაქსიმალური დახმარებით, შექმნათ ჟურნალისტთა ჯგუფი და ჩაატაროთ ჟურნალისტური გამოძიება. იქნებ, ასე მაინც ვიპოვოთ სამართალი და ქვეყანაში სამართლიანობა, ერთხელ და სამუდამოდ, აღდგეს, რომლის გარეშეც ახალი საქართველოს აშენება, უბრალოდ, შეუძლებელია!“ — ნათქვამია ადვოკატების წერილში... მოკლედ, საქმეზე, რომელსაც შეიძლება, საუკუნის ბიზნესყაჩაღობის კვალიფიკაცია მიეცეს, „ქართული სიტყვა“ ჟურნალისტურ გამოძიებას იწყებს და პირველ წერილს გთავაზობთ.

ადვოკატების თქმით, დანაშაულში, რომელმაც მარო მაცაბერიძეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით ზიანი მიაყენა, ერთი და ორი კი არა, უამრავი ადამიანი მონაწილეობდა და მათ განსაკუთრებით დიდი ოდენობით მატერიალური სარგებელი ნახეს. **აღსანიშნავია, რომ საქმის ერთ-ერთ ფიგურანტად ბანკ „რესპუბლიკის“, ასე ვთქვათ, სახე, ლაშა პაპაშვილი იკვეთება, რომელსაც თავის დროზე ბანკის პრეზიდენტის პოსტი ეკავა. ამასთან, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და ერთ-ერთი აქციონერიც იყო.**

ვინაა მარო მაცაბერიძე? — ქალბატონი მარო, როგორც „ქართულმა სიტყვამ“ გაარკვია, აწ გარდაცვლილი ბიზნესმენის, ომგერ მაცაბერიძის ქვრივია. სხვათა შორის, ჟურნალისტური მოკვლევისას ამოტივტივდა მოსაზრება, რომ **ბიზნესმენი შესაძლოა, საკუთარი სიკვდილით არ მომკვდარა(!)**. ამ ეჭვს არსებობის უფლება აქვს, მით უმეტეს, რომ საქმეში მილიონობით დოლარი ფიგურირებს, რომელიც მაცაბერიძის გარდაცვალების შემდეგ, წესით, ოჯახს უნდა დარჩენოდა, მაგრამ უკვალოდ გაქრა!..

ყველაფერი 1995 წლის 15 ივლისს დაიწყო — სწორედ ამ დღეს, აწ გარდაცვლილმა ბიზნესმენმა, რამდენიმე პიროვნებასთან ერთად, ვაკე-საბურთალოს სასამართლოს მოსამართლის, თადიაშვილის დადგენილების საფუძველზე, სააქციო საზოგადოება ბანკი „რესპუბლიკა“ დააფუძნა, სადაც 12-პროცენტიან წილს ფლობდა.

1999 წლის 16 ივლისს, ვაკე-საბურთალოს სასამართლოს მოსამართლის, მამუკა ნოზაძის დადგენილებით, ცვლილება განხორციელდა და ამ დროისთვის სამეწარმეო რეესტრში ბანკის ერთ-ერთ დამფუძნებლად კვლავ ომგერ მაცაბერიძე ფიქსირდება, რომელიც ბანკის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობს — სამეთვალყურეო საბჭოს წევრია.

ადვოკატებმა „ქართულ სიტყვას“ 2004 წლის დოკუმენტაციაც წარმოუდგინეს, სადაც ნათლად ჩანს, რომ ამ დროისთვის ომგერ მაცაბერიძე კვლავ ბანკის დამფუძნებელი და სამეთვალყურეო საბჭოს წევრია...

ბანკის დაფუძნებიდან ზუსტად 10 წლის შემდეგ, ანუ 2005 წლის 29 თებერვალს, **ბიზნესმენი ომგერ მაცაბერიძე მოულოდნელად, გულის შეტევით(!) იღუპება...**

მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, მარო მაცაბერიძე ზემოხსენებული 12,29%-იანი წილით ინტერესდება, მაგრამ **მეუღლის მოგვარე და ნდობით აღჭურვილი პირი გოჩა მაცაბერიძე, რომელიც ბანკ „რესპუბლიკის“, ასევე, ერთ-ერთი დამფუძნებელი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა, ბიზნესმენის ქვრივს ეუბნება, რომ ომგერ მაცაბერიძეს წილი აღარ აქვს.** ადვოკატების თქმით, ომგერ მაცაბერიძის გარდაცვალების შემდეგ, ბანკ „რესპუბლიკაში“ გოჩა მაცაბერიძის წილი 5 პროცენტით საეჭვოდ გაიზარდა.



ომგერ მაცაბერიძე

ამავე პერიოდში, ბანკის აქციონერთა შორის ჩნდება ვინმე პაატა გაზაკაშვილი, რომელიც აქციათა 7 პროცენტს ეპატრონება. არსებობს ცნობა, რომ გაზაკაშვილი პაპაშვილის ახლობელი, ანუ „პადსტავკაა“.

მოგვიანებით, გოჩა მაცაბერიძისა და პაატა გაზაკაშვილის 5 და 7 პროცენტი ლაშა პაპაშვილის ხელში ხვდება. ესე იგი, ჩნდება ეჭვი, რომ მთელი ამ ბიზნესყაჩაღობის ავტორები ლაშა პაპაშვილი და გოჩა მაცაბერიძე არიან. მით უმეტეს, რომ პაპაშვილი ბანკის პრეზიდენტი იყო, გოჩა მაცაბერიძე კი, — სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ანუ ჩნდება ვერსია, რომ ეს ბიზნეს-წუმპე სწორედ მათ შექმნეს!

ადვოკატების თქმითვე, გოჩა მაცაბერიძეს არ დაუკონკრეტებია, თუ რატომ აღარ ფლობდა გარდაცვლილი ბიზნესმენი წილს.

„რადგან ოჯახს დღემდე არ გააჩნია არანაირი საბუთი, შეიძლება, ითქვას, რომ 12,29%-ანი წილი ომგერ მაცაბერიძეს სიცოცხლეში არ გაუსხვისებია და მათ მიერ წარმოდგენილი საბუთები სასაცილოა. გარდაცვალების შემდეგ კი, მისი წილის გასხვისება მხოლოდ პირველი რიგის მემკვიდრეს, ამ შემთხვევაში, მეუღლეს, ქალბატონ მარო მაცაბერიძეს შეეძლო, თუმცა ქალბატონ მაროს წილი, ჯერ ერთი, არ გაუსხვისებია და მეორეც, რომც სდომებოდა, ვერ გაასხვისებდა, რადგან ქონება მემკვიდრეობით არ ჰქონდა მიღებული და შესაბამისად, მისი განკარგვა არ შეეძლო“, — განუმარტეს „ქართულ სიტყვას“ ადვოკატებმა.

ამ საქმეში, რომელსაც საუკუნის ბიზნესყაჩაღობის სუნი ასდის, სწორედ ესაა საკვანძო მომენტი, რომელმაც მხოლოდ ბანკ „რესპუბლიკას“ ქართველი მეწილეები, მათ შორის, **ლაშა პაპაშვილი კი არა, ფრანგული „სოსიეტე ჟენერალის“ მესვეურებიც შესაძლოა, საბრალდებო სკამამდე მიიყვანოს.**

რაც შეეხება ლაშა პაპაშვილს, როგორც ირკვევა, ის გარდაცვლილი ბიზნესმენის ოჯახს ბოლო წუთამდე არწმუნებდა, რომ ომგერ მაცაბერიძე ბანკში 12,29%-იან

წილს ყოველთვის ფლობდა, ანუ გამოდის, რომ ბანკის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა თავისი წილი, გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე ისე გაასხვისა, რომ ბანკის ხელმძღვანელმა, ლაშა პაპაშვილმა არაფერი იცოდა, რაც დაუჯერებელი კი არა, მარტივად რომ ვთქვათ, სისულელეა! ამ სისულელის უკან კი, როგორც ადვოკატები ამბობენ, ბინძური კლანი დგას!

ცნობისთვის: ჯგუფმა „სოსიეტე ჟენერალმა“, რომელიც ევროპაში ერთ-ერთ წარმატებულ საფინანსო ჯგუფად ითვლება, ბანკ „რესპუბლიკის“ აქციათა 60 პროცენტი 2006 წელს, ანუ ბანკის ერთ-ერთი დამფუძნებლისა და 12,29%-იანი წილის მფლობელის, ომგერ მაცაბერიძის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ ისე შეიძინა, რომ ყასიდადაც არ დაინტერესებულა, რამე პრობლემა ხომ არ არსებობდა, თუნდაც გარდაცვლილ მეწილესთან დაკავშირებით. არადა, წესით, მყიდველს საფუძვლიანად უნდა შეესწავლა და გამოეძიებინა, ბანკის მეწილეებმა თავიანთი წილები როდის, როგორ და რა ფორმით მიიღეს. ბუნებრივია, ფრანგული „სოსიეტე ჟენერალის“ ხელმძღვანელობა „რესპუბლიკის“ აქციების შესყიდვას ადგილობრივი, ესე იგი, ქართველი იურისტებისა და წარმომადგენლების დახმარებით აწარმოებდნენ, რომელთაც, წესით, უნდა სცოდნოდათ, რომ ომგერ მაცაბერიძის ქვრივი მეუღლის წილს, რბილად რომ ვთქვათ, ეძებდა. შესაბამისად, ამის შესახებ ფრანგები საქმის კურსში უნდა ჩაეყენებინათ, მაგრამ ან არ ჩააყენეს, ან ჩააყენეს და „რესპუბლიკის“ ფრანგი მეპატრონეები, რომლებიც ამჟამად ბანკში, როგორც მის ოფიციალურ ვებგვერდზეა მითითებული, უკვე 93.64%-იან წილს ფლობენ, მინიმუმ, თვალთმაქცობენ, როცა ამბობენ, რომ გამქრალ 12,29%-იან წილზე არაფერი იცოდნენ. **ასეა თუ ისე, ორივე ვარიანტში, როგორც იურისტები განმარტავენ, სახეზე კლას-**

გაგრძელება მე-3 გვ.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲧᲕᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲒᲐᲗᲝᲑᲘᲗ

11- 17 მარტი 2015

№ 10 (274)

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲐ

ᲛᲔ-2 ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

იკური ბიზნესაფირორა, გნებავთ, ბიზნესყაჩაღობაა, რომლის ერთ-ერთი მთავარი ფიგურანტიც სწორედ ფრანგული „სოსიეტე ჟენერალია“, რომელსაც, როგორც „რესპუბლიკის“ მფლობელს, ადვოკატებმა არაერთხელ მიმართეს, რომ ის საბუთები წარმოედგინა, რომლითაც თავის დროზე ომგერ მაცაბერიძის მიერ წილის გასხვისება დადასტურდებოდა, თუმცა „სოსიეტე ჟენერალმა“ ამ პროცედურას თავი აარიდა და პასუხი ხელოვნურად გაჭიმა. შესაბამისად, ეშმაკმა უწყის, ეს პერიოდი რა ბინძურ მაქინაციებს მოხმარდა.

„ჩვენს მიერ მოთხოვნილი საბუთები ჯერ დამალა და გვითხრა, მსგავსი საბუთები ბანკში არ ინახებაო, შემდეგ კი ისეთი ტყუილების კორიანტელი დააყენა, რომ თვით მოლა ნასრედინსაც შეშურდებოდა“, — აღნიშნავენ „ქართულ სიტყვასთან საუბრისას მარო მაცაბერიძის ინტერესების დამცველები.

ბანკ „რესპუბლიკის“ მფლობელის, ფრანგული „სოსიეტე ჟენერალის“ ტყუილის ანატომია კი ასეთია:

ალბათ, იმ მიზნით, რომ მარო მაცაბერიძე დაღლილიყო და გარდაცვლილი მეუღლის გამქრალი ქონების ძებნაზე ხელი აეღო, ბანკმა თავდაპირველად განაცხადა, ჩვენს აქციათა რეესტრს დამოუკიდებელი რეგისტრატორის, ს.ს. „კავკასრეესტრი“-ს მეშვეობით ვაწარმოებთ და მეწილეთა შესახებ ინფორმაციაც სწორედ „კავკასრეესტრში“ ინახებაო, თუმცა „კავკასრეესტრში“ ადვოკატებს განუცხადეს, კი ბატონო, ერთხანობას ბანკ „რესპუბლიკის“ დოკუმენტაციას, მართლაც, ვაწარმოებდით, მაგრამ ის საბუთები, რომლებსაც ეძებთ, ჩვენ არ გვაქვსო.

„მივხვდით, რომ „სოსიეტე ჟენერალი“ და, შესაძლოა, თავად ლაშა პაპაშვილიც ჩვენს შეცდომაში შეყვანას ცდილობდა, ანუ უნდოდა, რომ ომგერ მაცაბერიძის გამქრალი წილის ძებნაში არასწორ კვალს დავდგომოდით. დრო ხელოვნურად გაჭიმა და ამით, შესაძლოა, უამრავი სიყალბე ჩაიდინეს. ამიტომ, დასახმარებლად სამართალდამცავ ორგანოებს მივმართეთ — მთავარ პროკურატურაში განცხადება შევიტანეთ, მაგრამ წინასწარი გამოძიება ერთი წელია, გრძელდება და შედეგი ისაა, რომ ორჯერ მხოლოდ ქალბატონი მარო დაკითხეს. გამოძიებამ ვერც ის მოახერხა, რომ ბანკიდან, მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლის ბრძანებაც არსებობდა, ჩვენს მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაცია ამოეღო“, — აცხადებენ მარო მაცაბერიძის ინტერესების დამცველები.

ისე, ჩვენთვის რომ ვთქვათ, გამოძიების გაწელვა-გაჭიანურებაში უცხო და მოულოდნელი არაფერია, რადგან ჯერ ერთი, ქართული ანდაზაა, ფული ჯოჯოხეთსაც ანათებსო. მეორეც, ხალხური სიბრძნეა, იმას, რასაც ფულით ვერ გააკეთებ, შეიძლება, დიდი ფულით გააკეთოო. აქ კი, უბრალოდ, ფულზე კი არა, ძალიან დიდ ფულზეა ლაპარაკი. თავად განსაჯეთ, **„სოსიეტე ჟენერალმა“, როგორც ადვოკატები ეჭვობენ, ბანკ „რესპუბლიკის“ თითო პროცენტში 2 მილიონი ევრო გადაიხადა. სხვა მეწილეებს თავი რომ დავანებოთ, მხოლოდ აწ გარდაცვლილი ბიზნესმენის, ომგერ მაცაბერიძის კუთვნილი 12,29%-იანი წილის მითვისებით, ლაშა პაპაშვილმა 24 მილიონი ევროს მოგება ნახა. რატომ პაპაშვილმა? — იმიტომ, რომ როგორც აღვნიშნეთ, ომგერ მაცაბერიძის 12,29-პროცენტიანი წილი, რომლიდანაც თავიდან 5 და 7 პროცენტი გოჩა მაცაბერიძემ და გაზაკაშვილმა გაინაწილეს, საბოლოო ჯამში, სწორედ პაპაშვილთან მოხვდა. მაშასადამე, არსებობს ვარაუდი, რომ ის ომგერ მაცაბერიძის 12 პროცენტის მითვისებას თავიდანვე აპირებდა, თორემ წელანდელი თქმისა არ იყოს, ვინ დაიჯერებს, რომ ერთ-ერთმა მეწილემ საკუთარი წილი ისე გაასხვისა, რომ პაპაშვილი, ანუ ბანკის პრეზიდენტი საქმის კურსში არ ჩააყენა? პაპაშვილმა რამდენიც უნდა ამტკიცოს, ანგელოზი ვარ და მომხდარის შესახებ არაფერი ვიცოდიო, კვალი შესაძლოა, მასთანაც მივიდეს,** რადგან ადვოკატები ამბობენ, რომ როცა რომელიმე მეწილე წილს ასხვისებს, ამაზე სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა კრების ოქმი დგება, თუმცა ომგერ მაცაბერიძის საქმეში მსგავსი ოქმი დღემდე არ მოიპოვება.

მაშასადამე, ეს კიდევ ერთი დამატებითი ნიუანსია, რომელიც საუკუნის ბიზნესყაჩაღობის ეჭვს აძლიერებს!

„თუკი 2014 წლის მარტ-აპრილში ბანკ „რესპუბლიკას“ დოკუმენტაცია არ ჰქონდა, დეკემბერში საიდან გაჩნდა? ამასაც თავი რომ დავანებოთ, ბანკის იმჟამინდელი თანამშრომელი, ვინმე ლაშა ნოდია ამტკიცებს, რომ აქციათა რეესტრს დაქირავებული კომპანია კი არა, თავად „რესპუბლიკა“ აწარმოებდა, ბანკი კი, პირდაპირ ლაშა ნოდიაზე მიუთითებს, ანუ ერთმანეთს აბრალებენ... სხვათა შორის, ეს ლაშა ნოდია ბანკში 2005 წლიდან აღარ მუშაობს, თუმცა ამტკიცებს, რომ აქციათა რეგისტრაციის ჟურნალი დღემდე მასთან ინახება. წარმოგიდგენიათ? — ბანკი, რომლის მფლობელიც ევროპაში ცნობილი საფინანსო ჯგუფი „სოსიეტე ჟენერალია“ აქციათა რეგისტრაციის ჟურნალს ყოფილ თანამშრომელს უტოვებს. ასე ბანკში კი არა, საბავშვო ბაღშიც არ იქცევიან და „სოსიეტე ჟენერალს“ უნდა, რომ ფონს ასეთი მარტივი ტყუილებით გავიდეს.

ისიც საინტერესოა, თუ რატომ შეიძინა აქციები მაინც და მაინც ომგერ მაცაბერიძესთან დაახლოებულმა პირმა, გოჩა მაცაბერიძემ და თუკი შეიძინა, გარდაცვლილის ოჯახს რატომ უმალავდა?“ — კითხულობენ ადვოკატები. მარო მაცაბერიძის ინტერესების დამცველთა განმარტებითვე, ყოველივე ზემოთქმული **სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, რაც ყალბი დოკუმენტის დამზადება-გამოყენებას გულისხმობს და თავისუფლების 3-და 6 წლამდე აღკვეთას გულისხმობს.**

ამასთან, ადვოკატები აქცენტს თაღლითობაზე, ესე იგი, სხვისი ქონების ან ნივთის მოტყუებით მითვისებაზეც აკეთებენ.

„წილის ვითომ შემძენების (პაატა გაზაკაშვილი, გოჩა მაცაბერიძე) მიერ, სავარაუდოდ, ჩადენილია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, კერძოდ, თაღლითობა, ანუ სხვისი ნივთის ან ქონების დაუფლება მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით განსაკუთრებით დიდი ოდენობით, წინასწარი შეთანხმებით ორგანიზებული ჯგუფის მიერ, რაც 7-დან 10 წლამდე სასჯელს ითვალისწინებს. შეიძლება ითქვას, რომ ადგილი აქვს ბინძური კლანის მიერ გარდაცვლილის მეუღლისა და შვილმკვდარი დედის გაბითურებას, მით უმეტეს, იმ ფონზე, როდესაც უკიდურესად გაჭირვებულ მდგომარეობაშია და განიცდის ფინანსურ სიდუხჭირეს, რომ აღარაფერი ვთქვათ მორალურ და ადამიანურ დეფიციტზე“, — აღნიშნავენ „ქართულ სიტყვასთან“ საუბრისას მარო მაცაბერიძის ინტერესების დამცველები.

„ქართული სიტყვა“ გარდაცვლილი ბიზნესმენის, ომგერ მაცაბერიძის ბანკ „რესპუბლიკიდან“ 12,29%-იანი წილის გაქრობაზე არაერთ ადამიანს ესაუბრა, თუმცა დღეს ჟურნალისტური გამოძიების მხოლოდ პირველი ნაწილი შემოგთავაზეთ. შემდეგ ნომერში იმ დოკუმენტაციას გაგაცნობთ, რომლითაც ჩნდება გონივრული ეჭვი, რომ ბიზნესმენი ომგერ მაცაბერიძე შესაძლოა, ბუნებრივი სიკვდილით არ გარდაცვლილა. ყოველ შემთხვევაში, ირკვევა, რომ ბიზნესმენის გარდაცვალების შემდეგ, არათუ მისი კუთვნილი წილი, არამედ, სეიფიდან რამდენიმე მილიონიც გაქრა. ოჯახის თქმით, სეიფს გოჩა მაცაბერიძე აკონტროლებდა. მაშასადამე, ვიღაცამ ყველაფერი კარგად დაგეგმა და განახორციელა? — შესაძლოა, არც უამისობაა, თუმცა მივყვეთ ჟურნალისტურ გამოძიებას და ვნახოთ, კვალი სად და ვისთან მივა.

ისე, ყველა პირობა არსებობს, რომ ომგერ მაცაბერიძის საქმე მსოფლიო სკანდალის საფუძველი გახდეს და ბანკ „რესპუბლიკასა“ და მის მფლობელ ფრანგულ ფინანსურ ჯგუფ „სოსიეტე ჟენერალს“ პასუხი საერთაშორისო ტრიბუნალმა მოსთხოვოს, რადგან საუბარი, მინიმუმ, 24 მილიონის თაღლითური გზით მითვისებაზეა. ვნახოთ, ბანკი რა არგუმენტებს წარმოადგენს.

ასე რომ, გაგრძელება იქნება...

სხვათა შორის, ოჯახთან ერთად, საქმის ობეიქტური გამოძიებით ომგერ მაცაბერიძის მეგობრებიც არიან დაინტერესებულნი...

ᲕᲐᲜᲝ ᲞᲐᲕᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲢᲝᲞᲙᲐᲓᲠᲘ

ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲮᲓᲔᲚᲗᲐ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲓᲐᲕᲐᲚᲘᲐᲜᲔᲑᲐᲡ ᲐᲦᲐᲠ ᲒᲐᲓᲐᲘᲮᲓᲘᲡ

საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად, გადასახადის გადამხდელთა გარკვეულ კატეგორიას საგადასახადო დავალიანების გადახდა აღარ მოუწევს, — ამის შესახებ შემოსავლების სამსახური განცხადებას ავრცელებს.

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად, საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლის შესაბამისად ჩამოწერას დაექვემდებარა: ა) 2005 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი და ამ ქვეპუნქტის ამოქმედებამდე გადაუხდელი საგადასახადო დავალიანების თანხა, თუ პირს თანხის ჩამოწერამდე აქტივობები არ უფიქსირდება;

ბ) 2009 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილ აღიარებულ საგადასახადო დავალიანებაზე დარიცხული საურავი და 2009 წლის 1 იანვრამდე დარიცხული აღიარებული ჯარიმა, აღიარებული გადასახადის თანხის გადახდის პირობით, თუ პირს თანხის ჩამოწერამდე აქტივობები არ უფიქსირდება;

გ) საკონტროლო სალარო აპარატის გამოყენების წესების დარღვევისათვის ფიზიკური პირისათვის 2013 წლის 1 იანვრამდე დაკისრებული/დარიცხული და ამ ნორმის ამოქმედებამდე გადაუხდელი ჯარიმა.

„დღეის მდგომარეობით, „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით 179 გადასახადის გადამხდელს ჩამოეწერა საგადასახადო და 40 368 811.30 ლარი; „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით 87 გადასახადის გადამხდელს ჩამოეწერა საგადასახადო დავალიანება 414 550,00 ლარი; „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით 2624 გადასახადის გადამხდელს ჩამოეწერა საგადასახადო დავალიანება 1 874 827,40 ლარი“, — აცხადებენ შემოსავლების სამსახურში. მათივე ცნობით, შემოსავლების სამსახური საგადასახადო დავალიანების ჩამოწერას ანხორციელებს როგორც თავისი ინიციატივით, ასევე გადამხდელის მომართვის შემთხვევაში.

„ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲜᲘᲣᲡᲘ“

4 № 10 (274) 11- 17 მარტი 2015

ეროვნული იერსახე

ლიტერატურა. ფილოსოფია. პოლიტიკა

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

საზოგადოება

ქართველი მწერლების მიმართვა პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილს!

თანამედროვე ქართულმა მწერლობამ, საზოგადოებისა არ იყოს, ჯოჯოხეთი გამოიარა. 9-წლიან რეჟიმზე ლაპარაკი აღარ ღირს – ყველამ ყველაფერი ისედაც კარგად ვიცით, მაგრამ ერთს მაინც ვიტყვი: სააკაშვილს ქართული მწერლობა სძულდა! ამიტომაც, ჩვენ, ქართველ მწერლებს მხოლოდ „ჩარეცხილებს“ კი არ გვეძახდა, არამედ, მწერალთა სახლიც წაგვართვა. არადა, შენობა, რომელიც 1905 წელს, დიდმა ქართველმა მეცენატმა, დავით სარაჯიშვილმა ააშენა, მე-20 საუკუნის დასაწყისიდან, ქართველი მწერლების საკუთრება იყო.

1911 წელს, დავითის გარდაცვალების შემდეგ, გაზეთ „ივერიაში“ შემდეგი ცნობა გამოქვეყნდა:

„განსვენებულს განუცხადებია სურვილი, რომ მისი სახლი სერგიევის ქუჩაზე (ახლანდელი მაჩაბლის ქუჩა – ჯ.ჩ.), სადაც ის მუდამ ცხოვრობდა, გადაეცეს ქალაქის თვითმმართველობას თავისი მშვენიერი მოწყობილობით იმ პირობით, რომ ამ სახლში ქალაქმა მოაწყოს ან სამხატვრო გალერეა ან შინამრეწველობისა და ხელოვნების მუზეუმი, ანდა ორივე დაწესებულება ერთად. ეს შეწირულობა უდრის ნახევარმილიონამდე, ადგილი და სახლი ღირს 300 000 მანეთი, მოწყობილობა კი 100000 მანეთზე მეტი“.

1912 წელს, სარაჯიშვილის სახლი აკაკი ხოშტარიამ შეიძინა და იქ 1918-21 წლებში ცხოვრობდა, რის შემდეგაც შენობა მწერლებსა და ხელოვანებს გადაეცათ.

მწერლობა ის საძირკველია, რომელზეც ქართული სახელმწიფოებრიობა დგას. ამიტომაც, ვფიქრობ, სამართლიანობის აღდგენა და წართმეული ქონების დაბრუნება სწორედ მწერლებისთვის მწერალთა სახლის დაბრუნებით უნდა დაიწყოს!

ბატონო პრემიერ-მინისტრო, ორი დღის წინ, ტელევიზიით ვნახე, მთავარ პროკურატურაში შექმნილი იმ ახალი დეპარტამენტის პრეზენტაციას ესწრებოდით, რომელიც სამართალწარმოების პროცესში ჩადენილ დანაშაულებს შეისწავლის. ამ ქვეყანაზე ვერავინ იტყვის, რომ მწერლებმა დანაშაული ჩავიდინეთ და სახლი ამიტომ წაგვართვეს. დანაშაული იმ ხელისუფლებამ ჩაიდინა, რომელიც ქვეყანას 9 წლის განმავლობაში ცეცხლითა და მახვილით მართავდა.

ხელისუფლების შეცვლის მერე, მწერალთა სახლის თავისი ისტორიული მფლობელისთვის – მწერლობისთვის დაბრუნების საკითხი თითქოს დაისვა, დაგვპირდნენ კიდეც, რომ ეს პრობლემა მალე მოგვარდებოდა, მაგრამ დღემდე არაფერი გაკეთებულა. არადა, მწერლებისთვის, რომელთა არცთუ მცირე ნაწილი, პრაქტიკულად, სიღარიბის პირასაა, ეს სახლი ერთადერთი იმედი და ნუგეშია!

ბატონო პრემიერო, ბატონო მთავარო პროკურორო, ჩვენ, ქართველ მწერლებს გვჯერა, რომ გამოიჩენთ გულისხმიერებას და ჩვენს ისტორიულ ნავსაყუდელს დაგვიბრუნებთ!

ჯანსულ ჩარკვიანი,
მწერალთა კავშირის საპატიო თავმჯდომარე

სტოპკადრი

თბილისის სასწავლო და შავი ზღვის საერთაშორის უნივერსიტეტებს შორის მემორანდუმი გაფორმდა

როგორც თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორმა, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა სოლომონ პავლიაშვილმა განაცხადა, მემორანდუმის მიხედვით ორივრ უნივერისტეტი ერთობლივ სამეცნიერეო საგანმნათებლო საქმიანობაში ჩაერთვება. ასევე, მოხდება ტრენინგების ორგანიზება, როგორც აკადემიური, ისე ტექნიკური პერსონალისთვის. ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების პრაქტიკული ტრენინგების, ერთობლივი ექსკურსიებისა და სხვა ღონისძიებების ორგანიზება.

„რაც მთავარია, მემორანდუმის ფარგლებში ორივე უნივერსტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს სრულად მიუწვდეთ ხელი ბიბლიოთეკებსა და უნივერსიტეტის სხვა მნიშვნელოვან ობიექტებზე. ჩვენი უნივერსიტეტისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის დიდი გამოცდილება, რაც შავი ზღვის უნივერსიტეტის აქვს ინგლისურენოვანი პროგრამების შემუშავებასა და განხორციელების საქმეში. ამ მიმართულებით ჩვენი უნივერსიტეტი აქტიურ მუშაობას იწყებ,“ – აცხადებს სოლომონ პავლიაშვილი.

ოთარ კობერიძე გარდაიცვალა





მსახიობი, რეჟისორი და სცენარისტი ოთარ კობერიძე 90 წლის ასაკში გარდაიცვალა. მსახიობის გარდაცვალებასთან დაკავშირებით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და განცხადებას ავრცელებს.

ოთარ კობერიძე 1924 წლის 17 დეკემბერს დაიბადა. შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის დასრულების შემდეგ, ჯერ სოხუმის დრამატული თეატრის, შემდეგ კი, მარჯანიშვილის აკადემიური თეატრის მსახიობად მუშაობდა.

საქართველოს სახალხო არტისტი 1956 წლიდან კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მსახიობი და რეჟისორია. შესრულებული აქვს 50-ზე მეტი როლი. როგორც რეჟისორს, გადაღებული აქვს ათამდე ფილმი, სამი ფილმისთვის კი, სცენარი თავად დაწერა.

„ბაში აჩუკი“, „მამლუქი“, „ქალის ტვირთი“, „სხვისი შვილები“, „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“, „გენერალი და ზიზილები“, „ზღვის შვილები“, „დათა თუთაშხია“, „ანთიმოზ ივერიელი“, „ალადინის ჯადოსნური ლამპარი“, „პატარა უფლისწული“ – ეს იმ ფილმების არასრული ჩამონათვალია, რომლებშიც მსახიობმა მონაწილეობა მიიღო.

სხვადასხვა წლებში, ოთარ კობერიძეს მიღებული აქვს პრიზები და წოდებები, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის, საქართველოს დამსახურებული არტისტის, საქართველოს სახალხო არტისტის, აფხაზეთის სახალხო არტისტის წოდება. 2002 წელს გახდა მემედ აბაშიძის სახელობის პრემიის ლაურეატი.

მსახიობს 12 მარტს დაკრძალავენ.

ჯემალ შანშიაშვილის გარეშე ცხოვრება გაგვიჭირდება

სამწუხაროდ, ჩვენს დიდ საძმოსა და მთელ საქართველოს კიდევ ერთი ღირსეული მამულიშვილი გამოაკლდა – წავიდა ჩვენგან იქ, მარადიულში ბრწყინვალე მუსიკოსი და მეცნიერი, საქართველოს კონსერვატორიის დამსახურებული პროფესორი, ჩვენს თაობაში გამორჩეული რაინდი ჯემალ შანშიაშვილი.

შენი სულის ცხონება
სააქაოს სჭირდება,
უშენობით ცხოვრება
ნაღდად გაგვიჭირდება!

დიდ მწუხარებას გამოვთქვამთ ჯემალის ბავშვობის მეგობრები...

ჯანსულ ჩარკვიანი, ელდარ შენგელაია

გახსენება

უსპეტაკესი სული

40 დღე გავიდა, რაც ზეციურ საქართველოში დამკვიდრდა დიდებული პიროვნება, ცნობილი მედიკოსი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი მაყვალა სტურუა, რომელიც წლების განმავლობაში პედიატრიის ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა და მრავალმხრივ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. ეს ლექსი განსვენებულის ხსოვნას ეძღვნება:

რა ვიქნებოდი ადრევე,
რომ არ მცოდნოდა ფასი,
ზეანგელოზად შობილი
ჩემი დის, მაყვალასი.
ვისაც აროდეს უნახავს,
ასე ვეტყოდი ყველას –
ნაწვიმარ თაღზე აღბეჭდილს,
ჯაბნიდა ცისარტყელას.
თვით უცოდველი, ის იყო
მოწამე ჭეშმარიტი;
მიწაზე ფეხი დაედგა,
ამისი ჰქონდა რიდი.
მარგალიტებად კამკამა
ცრემლების შეწყდა ცვენა,
დავყურებთ თვალებდახუჭულს,
დადუმდა, მოისვენა.

ემზარ კვიტაიშვილი

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, ძშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲞᲝᲔᲖᲘᲐ

ᲐᲙᲐᲙᲘ ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ
ᲗᲝᲠᲜᲘᲙᲔ ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘ

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲞᲝᲔᲛᲐ

IV

„მწარ წარსულის მოგონებით
თქვენ წინ მთქმელი ვარ ამისა,
რომ მომსწრე ვარ საქართველოს
შავი დღის და ვარამისა
ბევრს თქვენგანს ის არც-კი ახსოვს,
იქნებოდით მაშინ ბალღი,
მაგრამ მე-კი დღესაც გულზე
მაშინდელი მაზის დაღი!
ცამან რისხვით მოგვიქუხა,
საქართველოს ადგა ბუნდი,
მონავრულად გვესეოდა
ყოველის მხრით მტრისა გუნდი.
მოგვაწვენ და მოგვაზვირთდენ
ერთიანად ჩასანთქმელად
რაც რომ მაშინ ჭირი ვნახეთ,
ძნელი არის აწ სათქმელად.
ეს პატარა საქართველო
ჯარასავით დატრიალდა,
გადიწერა რა პირჯვარი,
გაფოლადდა და გასალდა
მოხუცი თუ ახალგაზრდა,
ერისკაცი თუ სამღვდელო,
ყველა ერთმხრივ მიიწევდა,
ერთი ჰქონდა ყველას ლელო!
სადღა იყო განსხვავება?
რის ბატონი? ან ვისი ყმა?
ყველა ერთად შეკავშირდა,
ერთი ჰქონდათ მათ გულისთქმა:
რომ გულწრფელად მოეხადათ
ქართლის შვილებს მათი ვალი
და სიკვდილით გამოეხსნათ
ჩვენი ქვეყნის მომავალი!
მამა-პაპის განთქმულ ფარ-ხმალს
უმატებდა შვილი ფასსა
იმითი, რომ ლომკაცურად
შეებმოდა ერთი ასსა.
„ჰკა მაგის“ ხმა ყოველის მხრივ
მოისმოდა მტრის საზარი
და იმ გრგვინვას ბანს აძლევდა
საორკეცოდ მთა და ბარი.
სისხლით მორწყეს ტყე და ველი,
შეიღება წითლად მდელო;
აღდგომის კვერცხს დაემსგავსა
ჭირნახული საქართველო!
განახევრდა ქართველობა
მაგრამ მტერს კი სძლიეს მათ ღვთით
და თამამად დაიძახეს:
„საქართველო აღსდგა მკვდრეთით!“
და მართლაც რომ გამოიხსნეს
განწირული, სულთამბრძოლი
და გადმოსცეს შვილიშვილთა,
მარგალიტი ვით ობოლი!
მხედართმთავარ-უხუცესად
იყო მაშინ იოვანე,
შემდეგში რომ ბერად შედგა,
დღეს ულუმბოს აქვს სავანე.
სანამ მტერი გარს გვეხვია,
მძვინვარებდა, ვითა ლომი,
გოლიათის შებმას ჰგავდა
მისი ბრძოლა, მისი ომი.
მტრისა ისრით გამხვრეტელი
ხმალს ულეწდა, ფარს უხევდა;
ხშირად მამა-პაპის სისხლზე
თავისასაც ზედ ანთხევდა
ჯოჯოხეთის რისხვა იყო
მისი რისხვა, მისი ვნება;
სანამდის კი მტერს ჰხედავდა,
არ იცოდა მოსვენება.
მაგრამ, როცა საქართველო
ნახა გმირმა დამშვიდებით,
სხვა მაღალ მთას მიაშურა
გალობით და ღვთის დიდებით.
მან ფარ-ხმალი აიყარა,
მოურიდლად თვისის ნებით
და თავსაც ვერ იმართლებდა
ის ჩემსავით მხცოვანებით.
მხოლოდ უთხრა დარაზმულ ჯარს:
„უქმია აწ ფარ-ხმალიო!
აწ სხვა მმართებს სამსახური
და მიმიწევს სხვა ვალიო!“
დაგვლოცა და მისი ხმალი
გადამკიდა, მისგან რჩეულს;
თაყვანი ვეც მორჩილებით,
როგორც მამას, მეც კურთხეულს.
მითხრა: „თორნიკ! ჰა, შენ გქონდეს
სარდლობა და ჩემი ხმალი;
ვინძლო ღირსად აასრულო
მომავალში შენი ვალი!“
ამ სიტყვებმა მომიმატეს
მე სიმხნე და ერთგულება,
გულმა იგრძნო ფოლადობა
და სულმაცა ამაღლება!
თუმცა ამგვარ დიდებისა
უღირსად თავს ვიგულებდი,
მაგრამ მაინც უნებურად
დღემდე ჩემს ვალს ვასრულებდი.
ავად იყო ის, თუ კარგად,
თქვენს ხელთ არის დაფასება:
მე არ მფერობს ჩემი თავის
არც გინება და არც ქება!
ვიტყვი მხოლოდ: ხმა ისმოდა
თქვენგან ჩემის პირველობის
და მე მხოლოდ ვთავკაცობდი,
შემწირველი დიდ მადლობის.
მეფისა და სამშობლოს წინ,
მართალია, მიძღვის ღვაწლი,
მაგრამ, მეფევ, სხვას დავუთმობ
აწ სამსახურს სხვას დავაცლი!
იმიტომ რომ აღარა ვარ,
რაც ვიყავი ადრე ძველად:
ჩემს სისუსტეს გული ჰგრძნობს და
გონება სწყვეტს უეჭველად!
მართალია, ეს ჭაღარა
სიყვარულს და სურვილს ვერ ჰკლავს,
მაგრამ ღონის წახმარება
აღარ ძალუძს მუხლსა და მკლავს!
ადრინდულად მუხლს არ მერჩის,
აღარ მიჭრის არცა თვალი
და ვით შევძლო, მაშ, სარდლობა,
როცა ასტყდეს ბრძოლის ალი?
ვისაც ჰხედავ აქ, სუყველა
არის ჩემგან გამოზრდილი,
ათასჯერ და ათასგვარად
ბრძოლის ველზე გამოცდილი.
რაც მე ვიცი რაზმთა წყობა
და სამხედრო წესი სრული,
მაგათაც აქვსთ ჩემგანავე
ახსნილი და განსწავლული,
ჩემზე მეტიც შეუძლიათ,
უკეთ გაჰკვეთს მათი ხმალი
და ჩემსავით სიბერითა
არ უმტყუნებთ ომში თვალი.
ბევრია, რომ ჩემზე უფრო
დღეს შეშვენის მას სარდლობა
და რათ დახვდეს ღობე-ყორედ
და სიმართლის ხელით მასში
ამოუწო მისი ენა.
მით მოხიბლა, როგორც მეფე,
ისე ყველა მსაჯულიცა
და იმათის თანხმობითა
სურვილი მან გაიმტკიცა
ჩამობრძანდა მეფე ტახტით,
ვეღარაფრის ვერამთქმელი,
მივიდა და მოხუცებულს
გადახვია ძმურად ხელი.
უთხრა: „თორნიკ! როგორც მეფემ,
მოგისმინე საუბარი.
თანახმა ვარ, და აწ გეტყვი,
როგორც ძმა და მეგობარი,
რომ ჯერ კიდევ ქვეყნისათვის
საჭირო ხარ დიდი მარგი, —
და უდროვოდ აგიღია
საიმქვეყნო საგზალ-ბარგი.
უცხო მხარეს გადაკარგვა,
ვფიცავ, შენი მიმძიმდება!
ნუთუ, ჩვენი ქვეყნის ტაძრებს
არ აქვთ იგი ძალ-დიდება?“
მოახსენა: „ვიცი, მაგრამ
ქართლშივე რომ მიგულებენ
ჩემი გაზრდილ-ერთგულები,
რომ არ მნახონ ვერ გასძლებენ.
მეცა გული არ გამიძლებს,
ვერც მე დავთმობ იმათ ნახვას
და ცოდვილ სულს ბევრს დავაკლებ:
გადავყვები სოფლის ზრახვას
იქ კი არვინ მეყოლება
შემაცდენი, უცხო მხარეს,
დღე ყოველ და ყოველ წამსა
ცრემლებს დავღვრი მე მდუღარეს.
და ვითხოვ, რომ ღმერთმა, მეფევ,
გადიდოს და გადღეგრძელოს
და წყალობა არ მოაკლოს
ჩვენს პატარა საქართველოს!“

VI

ათონის მაღალ მთაზედა,
მთაწმინდად სახელდებულსა,
სადაცა უდაბნოებსა



მეუდაბნოედ მიდიან
საქრისტიანოს ყოველ მხრით
და იქ იჩენენ სავანეს
სასოებით და ცრემლის ღვრით.
წიაღგახსნილი უდაბნო
უჩენს, ვინც მივა, ბინასა
და მორწმუნეთა იზიდავს,
ვით ანდამატი რკინასა.
აქვე მოსულა ულუმბოთ
იოვანეცა ქართველი
და მორჩილობის დროსავე
გასთქმია დიდი სახელი.
დღეს მოძღვარია ნეტარი
ბერისა მრავალ ასისა
და მეგობარი იმავ დროს
წინამძღვრის ათანასისა.
დიდი ხანია, სამშობლო
მან დაუტევა ნებითა,
მაგრამ გული-კი ისევე
უღელავს ხოლმე ვნებითა,
როდესაც მოაგონდება
მისი სამშობლო მამული
და, გატაცებულს ოცნებით,
არევით უცემს მას გული!
და მაშინ სცდილობს მიეცეს
მარტოობასა შორს სადმე,
ბუნების ჭვრეტით გაერთოს
და გულს მიჰფინოს სიამე.

VII

ერთხელ დილას იოვანე
შემდგარიყო მაღალ სერზე
და ცრემლები ნეტარების
ეცემოდა სპეტაკ წვერზე.
ზღვა და ხმელი იმის თვალწინ
იშლებოდა ედემურად
და სამოთხის სიამესა
გაემსჭვალა უნებურად
დიდხანს, გრძნობამორეული,
ვეღარაფრის იყო მთქმელი,
მხოლოდ ნიშნად ნეტარების
მას აეპყრა მაღლა ხელი.
თითქოს მაშინ მას უნდოდა
ცა და ქვეყნის შემყარება,
რომ ამითი წუთიერი
გაგრძობოდა ნეტარება!
ამ დროს მის წინ, ვით ჩვენება,
გამოცხადდა მგზავრი-მწირი;
დაემხო და თაყვანი სცა,
მოარიდა განზრახ პირი.
შეკრთა უცებ იოვანე
და უთხრა მას ბერძნულ ენით:
„ვინ ხარ, შვილო? ან რასა მთხოვ?
მიპასუხე გამოჩენით!“
„— შენსა ლოცვა-კურთხევასა!“
მამაშვილურ-მეგობრულად
უპასუხა იოვანეს
მაშინ მწირმა ტკბილ-ქართულად.
ქართულ ლექსის გაგონებამ
იოვანე ააჩქარა,
ტანში რაღაც უნებურმა
ურუანტელმა დაუარა.
მივარდა და ხელი სტაცა,
ააყენა დაჩქარებით;
რომ შეხედა, უფრო შეკრთა,
მიაჩერდა გაშტერებით
აკვირვებდა ულოდნელი
ჩვენება და სანახავი:
იმ გლახაკის სამოსელში
იცნო თორნიკ ერისთავი.

6
№ 10 (274)
11- 17 მარტი 2015
ქართული სიტყვა
ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ
ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲞᲠᲝᲖᲐ

ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲐᲜᲘ

ᲒᲝᲓᲔᲠᲫᲘ ᲩᲝᲮᲔᲚᲘ



– გამიხარდავ, ა, გამიხარდავ!

– გადი, კაცო, დარდების შემგროვებელი იძახის.

– შენ გადი, სალომე.

– მე რატომ გავიდე, გადი, გახისფეხდი.

– რა ვუთხრა მერე?

– აი, რა უნაღვლელი კაცი ხარ, ნეტავ, როგორა ვძლებთ შენ ხელში. არაფერი გადარდებს, კაცო?!

– მერე მაგას რა თავში ვახლი ჩემ დარდს.

– გადი, ხო იცი, თუ არაფერს ეტყვი, არ მოგეშვება.

გამიხარდამ მხარტყავი წამოისხა და დერეფანში გამოვიდა. ეზოს იქით გამხდარი კაცი იდგა, ზურგზე გუდა ეკიდა და ერთ ადგილზე შეშფოთებული წრიალებდა.

– რა შორიდან იძახი, ჩაჩავ, შემო შიგნით, კაცო, – დაუძახა გამიხარდამ.

ჩაჩაი შიგნით შემოვიდა, გამიხარდაის წინ საქმიანად დადგა, გუდა მოიხსნა და ქაღალდები ამოშალა, თან ქაღალდებს იღებდა და თან გაიძახოდა:

– იცი, რისთვის მოვედი?

გამიხარდამ იცოდა, რისთვისაც იყო ჩაჩაი მოსული და თავის თავში ეძებდა პასუხს. ჩაჩაი კი, წრიალებდა და ბზრიალებდა.

– იცი, რისთვის მოვედი?

– შინ შევიდეთ, კაცო, აქ რას ვდგავართ.

– არა, მეჩქარება, იცი, რისთვის მოვედი?

– წამო, შინ შევიდეთ.

– გამიხარდაი კი გქვიან, მაგრამ მაინც გეტყვი, რა ვიცი, კაცნი ვართ, იქნებ შენც ამოგაჩნდეს.

– თუ რამე შემიძლია, ჩემი თავი შენ გენაცვალოს.

– გამიხარდაი კი გქვიან, მაგრამ არაფერი გადარდებს?

– შინ შევიდეთ, იქ გეტყვი.

– მეჩქარება, გაღმა სოფელში ვარ წასასვლელი.

– ძალიან მადარდებს.

– რა, რა? – ჩაჩამ ფანქარი მოიმარჯვა და ენაზე დაიწო ფრთხილად.

– ის, რომ სახლში არ შემოდიხარ.

მეტი რაღა გზა ჰქონდა ჩაჩას, მა რაღა დარდების შემგროვებელი იქნებოდა, თუ იმის მაგივრად, რომ კაცისთვის დარდი გამოერთვა, პირიქით მისცემდა თავად.

– შემო, შემო, რაღა ფეხებს იწმენდ, – ეპატიჟებოდა გამიხარდაი.

სალომე სუფრის გაშლას შეუდგა.

– მთავარი დარდი მინდა, მთავარი, – გაიძახოდა ჩაჩაი და ჭიქას ჭიქაზე ცლიდა.

გამიხარდამ ვერაფრით მოიფიქრა სათქმელი და აძალებდა და აძალებდა არაყს.

– მე დარდი მაქვს სათქმელიო, – არაყს სვამდა, მთავარ დარდს კი, მაინც ვერ იგონებდა.

ნამგზავრ-ნაჯაფარ ჩაჩას მალე მოეკიდა სასმელი და მაგიდაზე ჩამოიძინა.

– რა ვუთხრა ამ კაცს, – ფიქრობდა გამიხარდაი. მერე თვალები გუდაზე გაუშტერდა და გაუხარდა.

– რას ჰქექავ, კაცო, არ გამოიღვიძოს, წავა და იტყვის, დამათრო და მქურდავდაო.

– რა არის აქ გასაქურდი, შე კაი დედაკაცო, ხალხის დარდს მინდა, თვალი გადავავლო, გავიგებ, ვის რა აწუხებს და ჩავალაგებ ისევ.

– ისემც მეხი ჩამოგაყარე, როგორც შენ ხალხის დარდი გადარდებდეს.

– ნუ ამბობ მაგას, სალომე, მოდი, რა სწერია?

გამიხარდამ ჩუმად დაიწყო კითხვა:

დარდი №12, გუდამაყრელი ხოხაი: – მკითხავმა მითხრა, ხატის მიზეზი გაქვთო და არ ვიცი, რომელი ხატისა.

დარდი №8, გუდამაყრელი ბუთულაი: – ცოლი გამექცა და სად წავიდა, არ ვიცი.

დარდი №55, ხევსური აბიკაი: – ბაწარაულთ მგელიკას მართებს ჩემი სისხლი.

კიდევ აპირებდა სხვისი დარდების კითხვას გამიხარდაი, რო ამ დროს ჩაჩას გამოეღვიძა და გაიზმორა.

– ჩაჩავ!

– იცი, რისთვის მოვედი?

– ჩემი თავი შენ გენაცვალოს.

– გამიხარდაი კი გქვიან, მაგრამ... – ჩაჩამ ფანქარი დაიწო ენაზე და ცოტა ხნის მერე, დარდებით სავსე გუდას ასეთი ქაღალდი მიემატა:

დარდი №421, გუდამაყრელი გამიხარდაი: – მე მადარდებს ის, რომ წყალში მთები, ხეები, კაცები სულ თავდაყირა ჩანან.

სალომეც გაკვირვებული იყო და ჩაჩაიც. მიდიოდა და სულ ერთსა და იმავეს იძახოდა:

– გამიხარდაი კი ჰქვიან, მაგრამ...

– აწყენინე, აწყენინე შენ იმ კაცს, – ეჩხუბებოდა სალომე ქმარს.

– ვაწყენინე, თორემ ეხლა...

სალომემ პირზე დააფარა ხელი და მეტი აღარაფერი ათქმევინა.

– ავი არა წამოგცდეს რა, ხო იცი, რო ნაწილიანია, რაღა შენ არა გჯერა.

– იქნებ არ არის.

– თუ ხალხისთვის არის, შენთვის რატომ არ უნდა იყვეს, შე ენაგასახმობო, შენა! არ გახსოვს, ბეჭში რო ჩაიხედა და თქვა, საქონელია ზვავში ჩაცვივნილიო. ხო გამართლდა.

– გამართლდა კი, მაგრამ სანამ იმ ბეჭში გაიხედავდა, ზვავში ჩაიხედა მაგან.

– ზვავმა რო დახოცა ხალხი და ვეღარ პოულობდნენ, იმათზეც ხო თქვა, თოვლის ძირ ეძებეთო. ისაც ხო გამართლდა.

– მაგას ხო მეც ვიტყოდი. თოვლისაგან დატანილი, თოვლის ძირ უნდა ეძებო, განა – ჩაჩასთან?!

– ისეთმა ჩაგიტანოს, რო ვეღარ ასდგე. რატო შენ არა სთქვი, თუ იცოდი, რო თოვლის ძირ იყვნენ.

– რას ჩამაცივდი, დედაკაცო, რა ვთქვი ისეთი, ჩემი სადარდებელი ვუთხარი, მეტი ხო არაფერი.

– მეტი ნუღარა გადარდოს რა ჩემმა გამჩენმა, აი! შენ იქნება, არც ის გჯერა, ღამღამობით ბეჭი რომ უნათდება.

– ვინა ნახა.

– მაგის ცოლი იძახის, მარჯვენა ბეჭში, შუაღამისას, ჯერ თხილის ოდნად გამოუნათდება, გაიზრდება, გაიზრდება და ვარსკვლავივით აბრჯღვინებსო. გაშტერებულია ხალხი იმის მონაყოლით. არა დაგაჯეროს რა გამჩენმა.

– მჯერა, ჰო, მჯერა!

ძლივს მოიშორა თავიდან ცოლი გამიხარდამ.

იმ კვირია მოათავა გუდამაყრელთა დარდების შეგროვება ჩაჩამ და ქვენამთის გადასასვლელით მოხევეებში გადავიდა.

ხალხში „ნაწილიანის“ სახელი ჰქონდა გავარდნილი და რა ეკარგებოდა, ხმარობდა მაგ სახელს...

იქ, სადაც ოთხი ხეობა ერთმანეთს ეყრება, დიდი კლდე დგას. ლურჯი, მკერდშეწეული და წვერწამოხრილი. ხოსროკლდე ჰქვია.

კლდის ქვემოთ ამღვრეული მდინარე მიჰქუხს, ზემოთ მხარკვერიანი არწივები დაბუინობენ, ცისა და მიწის შესაყარია ხოსროკლდე. ზვიადია და ყველა რიდით შეჰყურებს.

მოიკიდა ერთ დღეს ჩაჩამ დარდებით სავსე გუდა, გავიდა ხოსროკლდის წვერზე და აღარ ჩამოვიდა.

– რამ გაიყვანა ის უბედური.

– უთქვია, ღმერთთან მიმაქვს ხალხის დარდიო.

– რო აღარ ჩამოდის?!

შეიკრიბა ხალხი ხოსროკლდესთან ოთხივე ხეობიდან. გამართეს ბჭობა, ითათბირეს. მერე, თემის თავკაცებმა გასძახეს ჩაჩას:

– ჩამოდი ეხლა, ჩაჩავ, დაბლა.

– არ ჩამოვალ, რა მინდა მანდ.

– მანდ რაღა გინდა, შე უბედურო, შენა!

– როგორ თუ რა მინდა, ვერა მხედავთ, რო ხთისშვილი ვარ, რა შნოზე მელაპარაკებით.

– გაგიჟებულა ეგ უბედური.

– ვაიშიღა, გუდამაყრელებო, დაღუპა თქვენმა „ნაწილიანმა“ ჩვენი დარდები, – გააქილიკეს მოხევეებმა გუდამაყრელნი.

მერე, ამოარჩიეს რამდენიმე ახალგაზრდა და ჩაჩაის ჩამოსაყვანად გაგზავნეს კლდეზე. იმან რო დაინახა, ჩემთან მოდიანო, კლდეზე გადმოიწია და ხალხს გადმოსძახა:

– არ მამეკაროთ, თორო გადმოვვარდები!

ისე იყო კლდეზე გადმოკიდებული, ხალხს შეეშინდა, მართლა არ გადმოვარდესო და კლდეზე აცოცებულნი უკან დააბრუნეს. ეხვეწებოდნენ, ემუდარებოდნენ ჩაჩას, ჩამოდი და უბატონოდ ხმას არ გაგცემთო. ჩაჩას გულში სიამოვნებდა ხალხის ხვეწნა და გადმოიწევდა ხოლმე, ვითომ ვარდებოდა, თან კიოდა:

– გადმოვვარდები!

– ნუ, შე უბედურო.

– არა გჯერათ, რო ხთისშვილი ვარ?! – და თანდათან უფრო იხრებოდა.

– გვჯერა, გვჯერა, – შესძახოდა ხალხი.

– გადმოვვარდები!

– ნუ, შენ მადლსა.

– დაიჩოქეთ, თორემ გადმოვვარდები!

ხოსროკლდის შამბიან კალთაზე მუხლმოყრილი იყო ხალხი.

– გადმოვვარდები! – კიოდა ჩაჩაი.

– ნუ, შენ მადლსა, – შესთხოვდნენ ესენი.

არ ჩამოვიდა. ხალხს შეეცოდა და მორიგეობა დააწესეს. მანამდე უნდა ეყარაულნათ, ვიდრე შიმშილი არ ჩამოიყვანდა თავად.

პირველ დღეს მოხევემ უყარაულა. რამდენჯერაც კლდეზე ასული „გადმოვვარდებიო“ დაიძახებდა, მოხევე მუხლმოყრილი ეხვეწებოდა:

– ნუ, შენ მადლსა, ნუ გადმოვარდები.

მეორე დღეს მთიულმა უყარაულა ხვეწნა-მუდარით.

მესამე დღეს – ხევსურმა აბიკამ. დადიოდა ხმალხანჯლიანი და შესძახოდა:

– ოღონდ ნუ გადმოვარდები, მთვარეს მოვწველავ და იმის რძეს დაგალევინებ.

გუდამაყრიდან გამიხარდას ერგო ყარაულობა. მთელი დღე ეხვეწებოდა: – ნუ გადმოვარდები, ნუ გადმოვარდებიო.

– გამიხარდაი კი გქვიან, მაგრამ... – ჩამოსძახოდა ჩაჩაი.

– ნუ, შენ მადლსა.

შეწუხდა ხვეწნით გამიხარდაი, აღარ შეეძლო მეტი. მერე ცამაც პირი გაიხსნა და ისეთი წვიმა წამოვიდა, მიწას ძირი გააგდებინა. ის მაინც კიოდა:

– გადმოვვარდები!

– ნუ, შენ მადლსა, – შესძახოდა გამიხარდაი და თან ცოტა იმედი ჰქონდა, იქნებ, წვიმამ შეაწუხოს და ჩამოვიდესო. აღარ შეეძლო მეტის ატანა.

– უნდა გადმოვვარდე! – გადმოიწია ჩაჩამ.

– გადმოვარდი, შენი!.. – შესძახა გამწარებულმა ყარაულმა. ჩაჩამ თავი ვეღარ შეიკავა და წამოვიდა ტრიალ-ტრიალით...

გაცოფებული ეხეთქებოდა კლდეებს მდინარე, არც კი უგრძვნია, თუ ვინმე ჩაუვარდა ამღვრეულ ტალღებში...

– ხომ მშვიდობაა? – ეკითხებოდა სოფელში დაბრუნებულ გამიხარდას ხალხი.

– წაიღო, – თქვა გამიხარდამ.

– რა წაიღო, აღარ იტყვი?

– თქვენი დარდი.

– ვინ წაიღო.

– არაგვმა.

– სად წაიღო.

– სად და, – იქ, საცა უნდა დადგეს, რაც მე მადარდებდა.

– ვერაფერი ვერ გავიგეთ შენი.

– არ ჩაგიხედიათ დამდგარ წყალში?

– ჩაგვიხედია.

– დაგინახავთ რამე?

– მთები... ჩვენი თავი.

– წაღმა?

– უკუღმა.

– ჰოდა, აგაშენათ ღმერთმა...

გამიხარდამ გაოგნებული ხალხი მიატოვა და გზა განაგრძო! მთელი დღის ნაბობოქრალ ზეცას გამოედარა და მეწამული ფერი დაჰკრავდა.

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲪ ᲮᲝᲛ ᲨᲔᲜᲘᲗ ᲘᲗᲥᲕᲐ;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ

ᲨᲔᲜ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲡ ᲗᲝᲕᲚᲘ ᲒᲘᲪᲜᲝᲑᲓᲐ

მე ვაკვირდები თოვლზე ნაკვალევს,
შენი ფეხის კვალს დავეძებ გზაზე.
რატომ მივყვები სხვის ნაფეხურებს,
რომ გამიყოლონ მათ სადმე კვალზე?
შენი კვალია აქ, სხვათა შორის,
მეც, სხვათა შორის, გიყვარდი ალბათ.
დნება ტუჩებზე შენი ამბორი
და სიყვარულიც ილევა ლანდად.
თოვლმა დაკარგა ქათქათა ფერი
და ბილიკებმა იდუმალება.
გადასხვაფერდა აქ ყველაფერი,
სევდა საკუთარ თავს ემალება.
მე კი მეგონა, კვალს მივაგენი,
როგორ შევმცდარვარ! ჩემი ბრალია.
ბრმად მივალ გზაზე, სდუმან ბაგენი.
ჩემს გულში ისევ სევდის კვალია.

ᲜᲣᲗᲣ, ᲔᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲐ?

ერი ვიყავით ამაღლებული,
ვაჟკაცური და განათლებული,
რამ დაგვავიწყა ჩვენი წარსული?
მტრის უღელშია ხალხი ჩაბმული
გაყიდულია და გაძარცვული,
მიწა, სული და ენა ქებული,
აღარც ღმერთი სწამთ, აღარც მამული,
გმირთა მოდგმაა დამონებული.
ხატი ღვთისმშობლის აცრემლებული,
სინდის-ნამუსი გაყუჩებული,
მთელი თაობა დაობლებული,
სამშობლოს მცნება გაორებული.
ჩვენი იმედი, სვეტიცხოველი,
დიდოსტატივით მკლავმოკვეთილი,
ოშკი თურქეთში მიტოვებული,
კლდეში ვარძია ჩამონგრეული.

ᲐᲜᲘ

ხეზე ობლად დარჩენილა ფოთოლი,
ქარს ემდურის: რად არ წამიყვანაო!
აქ რომ დავჭკნე, ვიღას მოვეწონები,
აღარავინ გამიყოლებს თანაო.
ბანი
რამ ჩააქრო შენს თვალებში სიყვარულის ალები?
სევდა რატომ დაგეუფლა, რატომ არ მეკარები?
შენს ლოდინში ღამეს ვათევ, დამეღალა თვალები,
მოგონება რას მიშველის, შენ თუ დამეკარგები?
ანი
მეკითხები, რამ ჩააქრო?
სევდამ გამუქებულმა,
ყალბ სონეტს რომ ვერ გაუძლო,
გულმა დადუმებულმა.
ვიცი, მეტყვი, ირევაო
ცხოვრებაში ფერები,
მე კი, ისევ ლაჟვარდს ვეტრფი,
რა ვქნა, ვერ შეველევი...
ბანი
მივალ ხვალის კარს გავაღებ,
აღსრულდეს, რაც მიწერია,
ჯერ ფარდა არ დაშვებულა,
ჯერ არჩევანი ჩემია.

●

ცხუმ-აფხაზეთი გარუსებული,
ახალქალაქი გასომხებული,
ბათუმ-ქალაქი გათურქებული
და სამაჩაბლო გაოსებული.
ხანჯალ-აბჯარი დაობებული,
ბოროტება კი გალაღებული,
მიწა ქართული გასხვისებული,
უცხო ტომებით დასახლებული.
სისხლი მჩქეფარე გაზავებული,
ენა რუსთველის მივიწყებული
მინდა ვიხილო განახლებული,
ხალხში ღირსება გაღვიძებული.
ტალღა გმირების აზვირთებული,
წმინდა გიორგი ამხედრებული,
მიწა ქართული აყვავებული,
ჩემი სამშობლო გამარჯვებული!

●

„ცაო, ლურჯდება ზოლი,
გულო, ოცნებას მალავ“
გალაკტიონი

გალას ღვთაებრივი სული
აღმაფრენას მისდევდა,
მისი პაწაწინა გული
გალაქტიკას იტევდა.
კაცის გული ხან წვეთია,
ცრემლად გადაქცეული,
ხან კი, გრძნობის მორევია,
ტალღად აზვირთებული.
ხან ზეცაში აფრინდება,
ეშხით გადარეული,
ხან კი, ელვით იფერფლება,
ნაფლეთებად ქცეული.
მთელ სამყაროს ერთ
სტრიქონში
ნათლად წარმოგვიდგენდა,
მარტოხელა გალას გული,
გალაქტიკას იტევდა.

ᲓᲔᲓᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲡ ᲡᲘᲜᲐᲗᲚᲔ

შენგან ვლილი ცხოვრება
მარად გვემახსოვრება,
კდემით სავსე ყელამდე,
ვერვინ მოვალთ შენამდე.
ვივლით (თუმცა წახვედი),
შენი გადასახედით...
შვილებს გვენთე კელაპტრად,
სხვა რა უნდა გვენატრა,
ღმერთო, ღმერთო, გვინათე
დედის სულის სინათლე.

ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲔᲑᲡ ᲒᲐᲓᲐᲐᲨᲣᲥᲔᲑᲡ

იდგა მარტი და გრგვინავდა ზეცა,
თავპირს იმტვრევდნენ ტოტები ქარში,
შენ მიფრინავდი დიდ სივრცეებით,
ჟამს მოწყვეტილი ობოლი ბავშვი.
ჩამოდიოდნენ მუზები ციდან
გეგებებოდნენ ზღაპრულ იებით,
გულს სიხარული ყოფნიდა ციდა,
სულში გესახლა მზე პატიების...
მოგვირისტებულ ლექსთა ჩუქურთმით
უდიადესი გაკვალე გზები,
მარად დაგდევდა შური და ლიქნა –
აღტკინებული სხვა წვით, სხვა გზნებით.
ჯვარცმულ სიცოცხლის ბორგვა და შფოთი
შეუწყვეტელი ფიქრით მდაგავენ,
საუკუნეებს გადააშუქებს
შენი დიდება და სისადავე.

ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐ ᲯᲕᲐᲠᲘ

რომ არა, ჯვარი,
არმაზი... მცხეთა,
უფრო მგზნებარედ
რა უნდა მეთქვა...
ალაგი მძლეველ
მრწამსითა ფეთქავს,
სტუმარ-მასპინძლით
გულის საფერთა.
ავმზევებულვარ
ამ სერი-სერთან,
სულ ფრთებგაშლილი
მოვფრინავ, მეც თან,
და-ძმებს მაგონებს
ყოველი ბორცვი, –
მამულისათვის
დაუღლელთ ლოცვით!
მიწას, ვით დედას
ძუძუს ვუკოცნი...
მე, თქვენი სისხლი,
სისხლი და ხორცი.

ᲓᲔᲓᲣᲚ-ᲛᲐᲛᲣᲚᲝ!

დედამიწის მარგალიტო,
ჩემო დედულ-მამულო –
საყვარელო საქართველოვ,
მუდამ ჯვარზე გაკრულო!
გული ჩვენი შენთვისა ძგერს,
მტერმა რომ ვერ დაგლახვროს...
შენი თავი მუხლმოყრილი
ღმერთმა ნუ დაგვანახოს!
გაჩენიდან იარების
მოშუშებას უნდები...
ღვთის წყალობით ძველ დიდებას
კვლავაც დაუბრუნდები!
ჩვენო შვებავ და ტკივილო,
ხატად გულში ჩასმულო,
ხელუხლებო მარგალიტო,
ჩემო დედულ-მამულო!

ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠ ᲛᲗᲐᲡ!

როცა გულდამშვიდებით
მთასთან ახლოს ვიძინებ,
ერთიანად მეხსნება
მისი ნატვრის სიმძიმე.
ვჩურჩულებ და ფიქრებში
ტყე-ველს ვეალერსები,
ან ვინ მომგლეჯს მიწიდან
ღრმად გართხმული ფესვებით.
მთასთან ტკბობით ვერთობი
თითქმის მთელი საღამო...
შორს ჩვენგან, გაგვეცალე,
ნაღველო და ბალღამო!
გრძნობით აღტკინებული,
გულში ვიკრავ სამყაროს,
მშობლიურო მთა-ბარო,
შენგან ნურვინ გამყაროს!

ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲗᲐ ᲙᲚᲣᲑᲘ

ᲥᲘᲜᲐ ᲛᲐᲒᲠᲫᲔᲚᲘ

ᲓᲔᲓᲐ

დედავ, ამ ქვეყნად ულამაზესო,
შენი მშვენება ღმერთმა ინება,
დედავ, ტკბილო და თანაც თბილო,
უშენოდ მზეც კი ცივი იქნება.
გლოცავ, დედიკო, შენ ამაგდარო,
ზოგჯერ მალამოვ, ზოგჯერ მახვილო,
ჩვენთვისა ცოცხლობ, შენთვის
ვიცოცხლებთ,
დედავ, შენ ჩვენი გულის ძახილო.
დედავ, შენა ხარ რაღაც ღვთაება,
ადამიანის მოდგმის მშვენება,
შენ შეგვაყვარე დედა-სამშობლო,
უშენოდ, გვითხარ, რა გვეშველება.
ვინ მოსთვლის, დედავ, ამ შენს ამაგში
რამდენი შრომა ჩაგიქსოვია,
რომ შვილსა უთხრა ამაყად მდგარმა,
ალალი იყოს, რაც მიშრომია.
ასეთი კარგი დედის შვილები,
წელში გაშლილი დავიარებით,
თვალს გაგვაყოლებ, თანაც ლოცულობ,
არასდროს განახოთ ნაიარევი.
დედავ ძვირფასო, სულზე უტკბესო,
ჩვენი გულების წმინდა მისანო,
შენ მოგვავლინე, შენითვ
ვსულდგმულობთ,
ჩვენო გულისთქმავ და საფიცარო.

8 № 10 (274) 11- 17 მარტი 2015

ქართული იტალია

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

სპანდალური ექსკლუზივი

„ნაციონალებმა“ ბობოლა „ზონდერების“ მობილიზაცია გამოაცხადეს!“

რამდენიმე დღის წინ, საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა განაცხადა, ამ ეტაპზე ნატო არ უნდა გაფართოვდესო. ფრანგი პოლიტიკოსის განცხადება კრემლის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში დაწყებულ რუსული საჯარისო ნაწილების წვრთნებს დაემთხვა. ყველაფერ აქედან გამომდინარე, ქართველი რუსაპეტები სიხარულისგან ლამის ჭკუიდან შეიშალნენ, რა კარგია, ნატო-ში არ შევალთ და მოსკოვში „37-მანეთიანი ფრენის“ ოცნება აგვიხდებაო, მაგრამ უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკი, უსაფრთხოების ექსპერტი კონსტანტინე ფორჩხიძე რუსეთუმეთა „ტკვარცალს“ მდუღარეს ასხამს და განმარტავს, რომ ჯერ ერთი, ოცნებები არ სრულდება, მეორეც, ოლანდის განცხადება გზავნილი თავად კრემლისთვისაა. ამასთან, ქართველი სპეცსამსახურელი „ქართული სიტყვის“ ექსკლუზიური ინტერვიუების ციკლში „ნაციონალებისგან“ 21 მარტისთვის დაანონსებულ აქციაზეც ლაპარაკობს და ამბობს, რომ „ყოფილებმა“ იმ ბობოლა „ზონდერების“ მობილიზაცია გამოაცხადეს, რომლებიც უკრაინაში ომობდნენ. მოკლედ, „ქართული სიტყვა“ წარმოგიდგენთ 53-ე ინტერვიუს კონტრდაზვერვის ყოფილ უფროსთან, რომელიც „ოცნებისგან“ ღირსებისა და სამართლის აღდგენას უშედეგოდ ითხოვს.

– ბატონო კონსტანტინე, ოკუპირებულ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში რუსეთის ჯარმა წვრთნები დაიწყო. ეს რა მინიშნებაა?

– ეს, პირველ რიგში, საქართველოს სახელმწიფოებრიობაზე ფსიქოლოგიური შეტევაა, რაც, თავის მხრივ, გამოუცხადებელ ომს ნიშნავს. თუ ისტორიულ მაგალითს, ანუ 2008 წლის აგვისტოს ომს გავიხსენებთ, დღევანდელი წვრთები იმას ნიშნავს, რომ რუსეთს თავისი გეგმები არც საქართველოს მიმართ შეუცვლია და არც – პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა ქვეყნების. მოკლედ, ეს მინიშნებაა, თან დააკვირდით, მოვლენები როგორ ვითარდება: კრემლმა ანალოგიური წვრთნები ჯერ ბალტიისპირეთის ქვეყნების საზღვრებთან დაიწყო, რაც არ დამთავრებულა. მართალია, უკრაინაში ძალების დაშორიშორება მიდის, მაგრამ ეს დროებითია, ანუ რუსეთი დროებით ისვენებს. საქართველოში კი, ორი ბაზა აქვს.

– წვრთნები ოფიციალურ მოსკოვსა და თვითგამოცხადებულ რესპუბლიკებს შორის დადებულ მოკავშირეობის ხელშეკრულებების ფარგლებში ტარდება?

– დიახ...

– მართალია, სოხუმსა და ცხინვალს ცივილიზებული მსოფლიო არ აღიარებს, მაგრამ დე ფაქტო მთავრობები, რომელთაც პრეტენზია დამოუკიდებლობაზე აქვთ, უცხო სახელმწიფოს სამხედრო წვრთნების ნებას რატომ რთავენ?

– ყველაფერი საქართველოსა და იმ გეგმის განხორციელებისკენაა მიმართული, რაც პუტინს პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან მიმართებაში აქვს. ამ ფონზე, ჩვენი საგარეო უწყების განცხადება, ვფიქრობ, სრულიად ადექვატური იყო... ზემოხსენებული წვრთნები ქვეყნის ხელისუფლების გამოწვევებს ზრდის, რაც იმას ნიშნავს, რომ მინიმუმ, წინა ხელისუფლების შეცდომები აღარ უნდა გაიმეოროს.

– გამოწვევებს ვერ დააკონკრეტებთ?

– მაგალითად, პატარა პროვოკაცია ადმინისტრაციულ საზღვარზე, რომელსაც რუსეთი საკუთარი ინტერესებისთვის გამოიყენებს.

– გამორიცხავთ, რომ ეს „პატარა პროვოკაცია“ თავად კრემლმა მოაწყოს?

– გამორიცხული არაფერია. სხვათა შორის, 2008 წლის აგვისტოს მოვლენებიც, დაახლოებით, ასე დაიწყო: ჩრდილოეთკავკასიაში რუსული ჯარის წვრთნები თვე-თვენახევრის განმავლობაში გრძელდებოდა, რის შემდეგაც საქართველოს ხელისუფლებამ ანტიტერორისტული ოპერაციის ჩატარების გადაწყვეტილება მიიღო, რაც ძალიან დიდი შეცდომა იყო.

– რატომ?

– მაშინ, როცა შენს საზღვრებთან ისეთი ატომური ქვეყანა დგას, რომლის დიპლომატიის ქვაკუთხედიც შეიარაღებული ძალებია, არ შეიძლება, ოკუპაციის, ან სხვა სახის პროვოკაციის საბაბი მისცე.

– შეიძლება, არც უამისობაა, მაგრამ რუსული ჯარის წლევანდელი წვრთნების დაწყებას ფრასნუა ოლანდის განცხადება უსწრებდა, ნატო არ უნდა გაფართოვდესო. ჯერ ერთი, ეს განცხადება რას ნიშნავს და, მეორეც, ასეთ დროს ჩვენმა ხელისუფლებამ რა უნდა გააკეთოს?

– საექსპერტო წრეებმა და პოლიტიკურმა პარტიებმა ოლანდის განცხადება სხვანაირად შეაფასეს, მაგრამ ამ განცხადებაში სხვა გზავნილები დავინახე, რაც, პირველ რიგში, რუსეთისთვის იყო განკუთვნილი.

– მოდით, პირდაპირ ვთქვათ: პარიზმა მოსკოვს „კოჭი გაუგორა“?

– პრაქტიკულად, ასე გამოვიდა... ოლანდმა განაცხადა, რომ ნატო-ს გაფართოების წინააღმდეგია და ამიტომაც, აპლიკანტ ქვეყნებს ალიანსში გაწევრიანებაზე უარი უნდა ეთქვათ. ამ გზავნილის ქვეტექსტი პოსტსაბჭოთა სივრცეზე რუსეთის სახელმწიფოს გავლენის აღიარებასა და ამასთან, რუსეთის ბოლოდრო-ინდელი პოლიტიკის წინაშე ევროპის კაპიტულაციას ნიშნავს.

– ნატო-მ კაპიტულაცია რატომ გადაწყვიტა?

– ეს ნატო-ს კი არა, ერთი ქვეყნის, საფრანგეთის განაცხადია.

– კი ბატონო, მაგრამ საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში საფრანგეთი ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს და ამის დასტურად 2008 წლის აგვისტოს მოვლენებიც გამოდგება...

– ვფიქრობ, ჩვენმა ერთ-ერთმა ძირითადმა პარტნიორმა, საფრანგეთმა შეცდომა დაუშვა.

– რატომ?

– ოლანდი, ალბათ, ფიქრობდა, რომ ამ განცხადებით პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის აგრესიას შეაჩერებდა, მაგრამ აპლიკანტებისთვის ნატო-ში გაწევრიანებაზე ლაპარაკი ამ აგრესიას არათუ შეაჩერებს, არამედ, შესაძლოა, უფრო ფართო ხასიათი მიიღოს – რუსეთს უნდა იცნობდე, მისი ნაბიჯები რომ განსაზღვრო. როგორც ჩანს, დასავლეთმა ამ მიმართულებით ჭკუა კიდევ ვერ ისწავლა. მოკლედ, ოლანდის განცხადება, პრაქტიკულად, პოსტსაბჭოთა სივრცეზე რუსეთის ჰეგემონიის აღიარებას ნიშნავს! საერთოდ, კრემლს ასეთი ხასიათი აქვს – თუ სუსტს დაინახავს, ბოლომდე ანადგურებს. თუ დასავლეთში ჰგონიათ, რომ რუსეთის ამბიცია პოსტსაბჭოთა სივრცეზე ჰეგემონიის აღდგენით დამთავრდება, ძალიან ცდებიან. პუტინი არ მოერიდება, რომ თავისი ინტერესების გატარება, სხვადასხვა ფორმით, ბალკანეთში, ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიასა თუ ბალტიისპირეთშიც დაიწყოს. თუ პროცესები ასე გაგრძელდა, რუსეთს გარკვეული ტერიტორიული პრეტენზიები შეიძლება, ფინეთთანაც გაუჩნდეს, მით უმეტეს, რომ ბოლო დროს ნატო-ში გაწევრიანების სურვილს ფინეთიც გამოთქვამს. საერთოდ, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს კარგად ესმით, რომ მათი უსაფრთხოება ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე გადის.

– თუკი კარგად ესმით, აბა, მოსკოვს კოჭს რატომღა უგორებენ? ისე, საფრანგეთი მთელი ევროპა არაა!

– მოდით, რა, ვაღიაროთ: საფრანგეთის ისტორიაში ოლანდი ყველაზე სუსტი პრეზიდენტია – ფრანსუა მიტერანზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომელიც საფრანგეთს დიდი ხნის განმავლობაში მართავდა, ოლანდის შედარება სარკოზისთანაც არ შეიძლება. სხვათა შორის, საბჭოთა ეპოქის დასავლეთის ლიდერები ნამდვილი ლიდერები იყვნენ...

– ნატო-ში ოფიციალურ პარიზს სიტყვა ეთქმის?

– რა თქმა უნდა, მაგრამ ალიანსის წევრი 28 ქვეყანაა და გადაწყვეტილება კონსენსუსით მიიღება, თან თუ დააკვირდით, ოლანდმა თავის განცხადებას დააყოლა, ნატო-ს გაფართოება კარგი ამ ეტაპზე არ იქნებაო, ანუ ეს ერთგვარი უკან დახევაცაა...

– ბატონო კოტე, ასეა თუ ისე, ოლანდის განცხადებამ ჩვენი პუტინისტები აღაფრთოვანა...

– დიახ, მაგრამ ეს აღფრთოვანება არაფერს ნიშნავს.

– რატომ?

– მხოლოდ ევროპა კი არა, მთელი მსოფლიო მალე მიხვდება, რომ რუსეთის შეკავება ადექვატურ ძალას შეუძლია.

– რა, ნატო რუსეთის ადექვატური ძალა არაა?

– რა თქმა უნდა, არის – როცა ალიანსი აღმოსავლეთის გაფართოებისკენ მიდიოდა, ეს რუსეთს გარკვეულწილად აკავებდა. ვანო, ადრეც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ: 2008 წლის ავბედითი აგვისტოს ომი რომ არ ყოფილიყო, უკრაინის მოვლენებიც არ იქნებოდა. ყველამ ძალიან კარგად ვიცით, მაშინ რუსეთს საქართველოში შემოჭრის საბაბი ვინც მისცა და ეს ყველა დოკუმენტითაა აღიარებული, მათ შორის, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის, აშშ-ის მიერ – მხოლოდ ის რაპორტი რად ღირს, რომელიც ტეფტმა 8 აგვისტოს სახელმწიფო დეპარტამენტში გააგზავნა და რომლის შესახებაც წინა ინტერვიუებში ვრცლად ვისაუბრეთ...

– რუსეთის საპირწონე ძალაზე ვსაუბრობდით და, უკაცრავად, ეს რა შუაშია?.. ბატონო კოტე, თქვენი მსჯელობიდან მექმნება შთაბეჭდილება, რომ რუბლის გაუფასურებისა და მსოფლიო სანქციების მიუხედავად, რუსეთის ჩამოშლაზე ლაპარაკი ილუზიაა...

– დიახ, ილუზიაა. ყოველ შემთხვევაში, თუკი ეკონომიკურად ჩამოიშლება, ამით რუსეთის იმპერიული ამბიციები გაიზრდება! საერთოდ, რუსეთი ყოველთვის ცდილობს, რომ თანამედროვე იარაღი ჰქონდეს და ოდითგან ასეა – თავისი, ასე ვთქვათ, შიდა პროდუქტის უდიდეს ნაწილს იმაზე ხარჯავს, რომ იარაღის სფეროში, ამერიკული ტერმინი რომ გამოვიყენო, ნოუ ჰაუს ფლობდეს. სხვათა შორის, იყო დრო, როცა რუსეთს მსოფლიოში ყველაზე მრავალრიცხოვანი არმია ჰყავდა...

– და არაყი ჰქონდა!

– დიახ, არაყიც ჰქონდა და ამით მთავრდება ყველაფერი.

– გამორიცხულია, რომ ოლანდსა და პუტინს შორის გარკვეული გარიგება არსებობდეს?

– არ ვიცი, კულუარებში რა ხდება, მაგრამ ნებისმიერი, ვინც რაღაც საკითხებში ერკვევა და რუსეთს იცნობს, ოლანდის განცხადებას ისე აღიქვამს, როგორც მე აღვიქვი, ანუ ოლანდის განცხადება რუსეთს ვერ შეაჩერებს. იცით, როგორ გამოდის? – ევროპა, ცალი ხელით, უკრაინას იცავს, მეორე ხელით კი, ისეთ რამეს აკეთებს, რაც უკრაინის განზრახვას ეწინააღმდეგება.

– ოლანდის პოზიციის მიუხედავად, ნატო მაინც ამერიკული ალიანსია...

– რა თქმა უნდა... დააკვირდით აშშ-ის მოქმედებას: ამერიკელებმა არაერთხელ მიანიშნეს, რომ ოლანდის განცხადებას საქართველოს ევროატლანტიკურ გზაზე შეფერხება და ნიჰილიმზი არ უნდა მოჰყვეს. დიახ, ჩვენ ჩრდილოატლანტიკური ალიანსისკენ სვლა უნდა გავაგრძელოთ! საერთოდ, ერთია განცხადება, მაგრამ მეორეა ოფიციალური დოკუმენტი – ბუქარესტის სამიტზე მიღებულ დეკლარაციაში პირდაპირაა ნათქვამი, რომ საქართველო და უკრაინა ნატო-ს წევრები აუცილებლად გახდებიან. თუკი საფრანგეთს ნატო-ს სხვა წევრი ქვეყნებიც აჰყვნენ, მაშინ ზემოხსენებული დოკუმენტის გადახედვა მოუწევთ, რაც მათ ავტორიტეტზე ცუდად იმოქმედებს. სხვათა შორის, გამორიცხული არაა, რომ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში ოლანდს პაექრობა სარკოზთან, ანუ მემარჯვენე ძალებთან მოუწიოს. ასე რომ, საქმე არცთუ მარტივადაა...

– კოტე ბატონო, შეიძლება, ვცდები, მაგრამ მგონი, დასაშვებია, რომ ბორის ნემცოვის მკვლელობა მსოფლიო პოლიტიკის კონტექსტში განვიხილოთ. გავრცელებული ინფორმაციით, მკვლელობის ბრალდებით ჩეჩენი დააკავეს, რომელსაც რამდენიმე წლის წინ, პუტინისგან ჯილდო აქვს მიღებული. ამასთან, საგულისხმოა, რომ ნემცოვს, მკვლელობის დროს, უკრაინელი ფოტომოდელი ახლდა. ამასთან, ვრცელდება მოსაზრება, რომ მხოლოდ ნემცოვი კი არა, კახა ბენდუქიძეც მოკლეს და ორივე მკვლელობა რამდენიმე თვის წინ, თუ არ ვცდები, გერმანიაში გამართულ ანტიპუტინურ აუდიენციას უკავშირდება...

– რუსულ მედიაში ის ინფორმაციაც გავრცელდა, რომ ნემცოვს თითქოს იმის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ჰქონდა, თუ როგორ შეიჭრა რუსეთი უკრაინაში, მაგრამ არ მგონია, მკვლელობის საბაბი მხოლოდ ეს გამხდარიყო. ბოლოს და ბოლოს, აშშ-ს ისეთი საშუალებები აქვს, რომ უკრაინაში რუსეთის შეჭრას ნემცოვის გარეშეც დაადგენდა.

საერთოდ, ეს მკვლელობა ძალიან ბურუსითაა მოცული – როცა საყოველთაოდ ცნობილ ფიგურას კლავენ, თან ისეთ ქვეყანაში, როგორიც რუსეთია, მოწმეს, როგორც წესი, ცოცხალს არ ტოვებენ. უკრაინელი ფოტომოდელი ანა დურიცკაია, რომელიც ტრაგედიის დროს ნემცოვის გვერდით იყო, საეჭვო ბეგრაუნდის ადამიანია. ისიც საგულისხმოა, რომ სამართალდამცავებმა დაკითხეს და გაუშვეს, მერე კი, უკრაინის საელჩომ უკრაინაში „გაიყვანა“. ბოლო დღეებში კი, უკრაინულ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია, რომ დურიცკაია მსუბუქი ყოფაქცევის ქალბატონია, რომელსაც უკრაინის მთავრობაში ინტიმური ურთიერთობა ბევრ პიროვნებასთან ჰქონდა, მათ შორის, ცნობილ ბიზნესმენებსა და ბატალიონ „დნეპრი 1“-ის მეთაურთან, იური ბერეზასთანაც, რომელსაც უკრაინელები ოდიოზურ ფიგურად თვლიან.

– ინტერნეტსივრცეში ისიც ითქვა, ბერეზა სააკაშვილის მეგობარიაო...

– ეს არ ვიცი, მაგრამ საინტერესოა, დურიცკაია ნემცოვთან როგორ აღმოჩნდა – გარკვეულმა წრეებმა ხომ არ შეაჩეჩეს, ან შესთავაზეს?!

– სხვათა შორის, თავდაპირველად გამოძიება თითქოს მუშაობდა ვერსიაზე, რომ ნემცოვი იმ უკრაინელმა ოლიგარქებმა მოიშორეს, ვინც რუსეთში პუტინის საწინააღმდეგო განწყობის შექმნისთვის დიდძალი ფული მისცეს, მაგრამ დავალება ვერ შეასრულა...

– უკრაინაში, მათ შორის, პარლამენტსა

გაგრძელება მე- 9 გვ.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲘᲠᲘᲚᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

11- 17 მარტი 2015

№ 10 (274)

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲣᲠᲘ ᲔᲥᲡᲙᲚᲣᲖᲘᲕᲘ

ᲛᲔ-8 ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

„ᲓᲐᲛᲘᲯᲔᲠᲔᲗ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲝᲛᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲣᲕᲐᲚᲘᲐ!“ – ᲠᲐ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲡ ᲤᲚᲝᲑᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲓᲐᲖᲕᲔᲠᲕᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲔᲠᲘ

„2003 ᲬᲔᲚᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲜ, ᲓᲐᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲐᲘᲐᲛ ᲙᲣᲓ-ᲨᲘ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲝᲠᲘ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲪᲘᲙᲚᲘ ᲕᲘᲥᲜᲔᲑᲘᲗ, ᲛᲔᲠᲔ, ᲔᲠᲗᲘ ᲪᲘᲙᲚᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲕᲘᲥᲜᲔᲑᲘᲗ, ᲛᲔᲠᲔ ᲙᲘ, ᲓᲐᲕᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ 20 ᲬᲔᲚᲘ ᲓᲐᲕᲠᲩᲔᲑᲘᲗᲝ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲖᲔ ᲡᲞᲔᲪᲘᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲑᲓᲐ... ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐ ᲓᲐᲘᲤᲐᲠᲝᲡ, „ᲜᲐᲪᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ“, ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲙᲔᲖᲔᲠᲐᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲐᲓᲔᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲗ, ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲔᲡ, ᲗᲝᲠᲔᲛ, ᲕᲔᲠ ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲓᲒᲔᲜᲗ, ᲐᲥ ᲠᲐ ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲐ!“

ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲣ ᲡᲞᲔᲪᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ ᲑᲔᲕᲠᲘᲐ ᲘᲡᲔᲗᲘ „ᲢᲘ�პᲘ“, ᲕᲘᲜᲪ ᲠᲣᲡᲔᲗᲖᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ. ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ, ᲡᲞᲔᲪᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲢᲔᲠᲛᲘᲜᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ – „ᲡᲮᲕᲘᲡᲘ ᲓᲠᲝᲨᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ“.

– ᲡᲞᲔᲪᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲡ ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡ �გᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲗ?

– დიახ, სექსპარტნიორების მომზადება და შეჩეჩება აპრობირებულია, თუმცა საამისოდ პიროვნება აბსოლუტურად შესწავლილი უნდა იყოს – მისი ყველა მიდრეკილების ზედმიწევნით ცოდნაა აუცილებელი. მაგალითად, თუკი პიროვნებას ნარკოტიკისკენ აქვს მიდრეკილება, ნარკოპარტნიორს შეაჩეჩებენ. თუ არატრადიციული სექსუალური ორიენტაციისაა, მაშინ ასეთ პარტნიორს „მოუძებნიან“. სხვა ათასი ხერხიც არსებობს...

– ასეთი დავალებისთვის სპეცსამსახურთან კავშირზე მყოფი სპეციალურ მომზადებას გადის?

– დიახ, ესენი მომზადებული კადრები არიან, თორემ უბრალო ადამიანს, მაგალითად, ჩვეულებრივ მეძავს ვერ გამოიყენებენ.

– ეს მეთოდი მხოლოდ რუსული სპეცსამსახურების მიერაა აპრობირებული?

– არა, ამ ხერხს მსოფლიოს აბსოლუტურად ყველა სპეცსამსახური იყენებს. მოკლედ, მართალია, ნემცოვის მკვლელობაში ეჭვმიტანილი დააკავეს, მაგრამ დურიცკაიას კონტაქტები და კავშირები, ვფიქრობ, მაინც საინტერესოა, თუმცა ყველაფერს, მოდით, ჩვენი გადასახედიდან შევხედოთ, ანუ თუ როგორი იყო ნემცოვისა და სააკაშვილის მთავრობის ურთიერთობა.

– თქვენი ინფორმაციით, როგორი იყო?

– როგორი და, – საკმაოდ არამეგობრული. სააკაშვილი კი აცხადებს, სიკვდილამდე ნემცოვს შევხვდი და რჩევები მივეცი, მაგრამ მათ ასეთი ფამილარული ურთიერთობა ნამდვილად არ ჰქონიათ. ყოველ შემთხვევაში, ნემცოვი სააკაშვილის ემისრებისადმი სიფრთხილეს იჩენდა დ ზოგჯერ არასასიამოვნო ეპითეტებითაც ამკობდა. გარდაცვლილზე კარგის მეტს, როგორც წესი, არაფერს ამბობენ ხოლმე, მაგრამ მისგან ისეთ ფიგურას ნუ შევქმნით, რომ თითქოს საქართველოსთვის რამეს წარმოადგენდა. ბოლოს და ბოლოს, ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას არ სცნობდა და არც აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ოკუპაციას აღიარებდა.

სხვათა შორის, ბორის ნემცოვმა გივი თარგამაძეს ლოთი მას შემდეგ უწოდა, რაც რუსეთში ე.წ. ბალოტნაიას დიდი სკანდალი აგორდა და უდალცევს, ნავალნისა და ოპოზიციის სხვა ლიდერებს დაერივნენ. იმ შეხვედრის შესახებაც, რომლის გამოც რუსეთმა გივი თარგამაძეზე ინტერპოლით ძებნა გამოაცხადა, ცნობილი ნემცოვისგან გახდა. მეტიც, მან მიანიშნა, რომ ვილნიუსში ის ბინა, სადაც სკანდალური შეხვედრა გაიმართა, გივი თარგამაძეს ჰქონდა დაგირავებული. ბუნებრივია, ჩნდება ეჭვი, რომ ადამიანს, რომლის მიერ ნაგირავებ ბინაშიც ფარული ჩაწერა ხდება, ამ ჩაწერასთან შესაძლოა, პირდაპირი ან ირიბი კავშირი ჰქონდეს. არც ისაა გამორიცხული, რომ ეს ოპერაცია რუსულმა სპეცსამსახურმა ჩაატარა, ანუ იცოდა, შეხვედრა რომ უნდა გამართულიყო და ბინაში წინასწარ შევიდა, მაგრამ ამ ვერსიის ნაკლებად მჯერა.

– რატომ?

– თუ გახსოვთ, გივი თარგამაძე პირდაპირ კამერის წინ ზის და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თითქოს პოზიორობს, თან ჩანაწერში აქცენტი რუსეთის ოპოზიციის ლიდერებზე არაა გაკეთებული.

– ამით რისი თქმა გინდათ?

– ფირი რუსული სპეცსამსახურების ხელში როგორ აღმოჩნდა? – ვერ ვიტყვი, თარგამაძემ გადასცა თუ რუსულმა სპეცსამსახურებმა თავად მოიპოვეს, მაგრამ ყველა შეკითხვას, რაც არსებობს, გივი თარგამაძემ პასუხი უნდა გასცეს, რადგან ამ ჩანაწერის გამო, სიკეთის ნაცვლად, რუსეთის ოპოზიციას დიდი ზიანი მიადგა – პუტინმა უპირველესი მტრები ჩამოიცილა.

– გივი თარგამაძე და, საერთოდ, „ნაცმოძრაობა“ საქართველოში ისევ აქტუალურია – 21 მარტს, ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნით, აქციას გეგმავენ. ამას წინათ კი, ყოფილი პრემიერის სახლთან აქცია „შემოულაწუნე“ გაიმართა. ეს 21-ის ერთგვარი რეპეტიცია ხომ არ იყო?

– იცით, რა არის? – ამ შემთხვევაში, კახა კუკავასგან გამიკვირდა.

– რა?

– გასაგებია, რომ ქუჩის აქციების მეტი არაფერი დარჩენია – უნდა, არჩევნებისთვის ელექტორატი მიიზიდოს. საერთოდ, ყველაფერი ეს არჩევნების კონტექსტში უნდა განვიხილოთ, მაგრამ საინტერესო კუკავას ახლადგამომცხვარი პოლიტიკური პარტნიორები არიან. „შემოულაწუნე“ მართული პროცესი იყო და მიზნად ტემპერატურის აწევას ისახავდა – ირაკლი გედენიძესაც შეიძლება, სწორედ ამ მიზნით სცემეს.

– მას შემდეგ, რაც ხელისუფლება დაკარგეს, „ნაციონალები“ უკვე მესამე აქციას მართავენ, თუმცა წინა ორი თავყრილობა ხალხმრავლობით არ გამოირჩეოდა. „ყოფილებს“ იმედი რატომ აქვთ, რომ 21 მარტის აქცია მრავალრიცხოვანი იქნება?

– არ მგონია, რომ 21 მარტს ქუჩაში ბევრი ხალხი გამოვიდეს, თუმცა დღეს უფრო ბევრი რისკი არსებობს.

– ანუ?

– უნდა გავითვალისწინოთ, რომ იმ ქართველების უმეტესობა, ვინც უკრაინაში იბრძოდა და, პირდაპირ თუ ირიბად, „ნაციონალებთან“ ასოცირდება, ანუ „ზონდერებს“ ვგულისხმობ, საქართველოშია.

– იმის თქმა გინდათ, რომ „ნაციონალებმა“ თავიანთი „ზონდერები“ გამოიძახეს?

– უკრაინაში ომი გრძელდება, მაგრამ ისეთი დაძაბულობა აღარაა და, როგორც ჩანს, გავლენიანმა „ზონდერებმა“ თავს სამშობლოში დაბრუნების უფლება მისცეს. მოკლედ, არაა გამორიცხული, რომ 21 მარტს „ნაციონალებმა“ „ნაციონალების“ წინააღმდეგ პროვოკაციები მოაწყონ, რასაც ხელჩართული ბრძოლა და ტემპერატურის აწევა მოჰყვება. დღეს ტემპერატურის აწევა მხოლოდ ერთ პოლიტიკურ ძალას – „ნაცმოძრაობას“ აწყობს, რადგან ამით ხაზს ხელისუფლების, კერძოდ, ძალოვანი უწყებების უსუსურობას გაუსვამს. სხვათა შორის, „ნაცმოძრაობა“ მთავარ აქცენტს ხელისუფლების უნიათობაზე აკეთებს და ესეც გამიზნულია. ამასთან, დაანონსებული აქციის მთავარი მოთხოვნა, როგორც ვიცი, ხელისუფლების გადადგომაა. ყველაფერ ამას კი, გადატრიალების გარკვეულ მზადებად განვიხილავ. „ნაციონალებმა“ კარგად იციან, რომ არჩევნებით ხელისუფლებაში ვეღარასოდეს მოვლენ. ამიტომ, ერთადერთი გზა საპარლამენტო გადატრიალების მცდელობაა. მოვლენების ქუჩაში გადატანაც ამ გეგმის ნაწილია. შს სამინისტრომ და, საერთოდ, სპეცსამსახურებმა ყველა შესაძლო ვარიანტი უნდა გათვალოს. გასაგებია, რომ „ოცნებას“ პარლამენტში უმრავლესობა ჰყავს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფერი გარანტირებული აქვს და „ოცნებელებმა“ ერთმანეთს ტაში უკრან – კაცმა არ იცის, თავში ვის რა მოუვა და საით გადახტება. ივანიშვილის მიმართ განწყობებიც კარგად ჩანს. მოკლედ, სპეცსამსახურმა საკუთარ თავს შეკითხვა უნდა დაუსვას: შესაძლებელია თუ არა, რომ „ნაცმოძრაობა“ ხელისუფლებაში სახელმწიფო გადატრიალების გზით დაბრუნდეს და საამისოდ რა რესურსებს ფლობს.

– ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემას, ალბათ, ანალიტიკური სამსახური უნდა ცდილობდეს...

– კარგი, რა, რა ანალიტიკური სამსახური.

– როგორ, სპეცსამსახურს თავისი ანალიტიკური სამსახური არ აქვს?

– სპეცსამსახურის ანალიტიკოსებს კარგად ვიცნობ და ისიც ვიცი, რისი გამკეთებლები არიან – ელემენტარულად, ოპერატიულ ვითარებას ვერ სწავლობენ.

– ვრცელდება ინფორმაცია, რომ „ნაცმოძრაობის“ ლიდერებს ოჯახები საქართველოდან გაჰყავთ. 90-იანი წლების შეიარაღებული სცენარი ხომ არ მზადდება?

– არ მგონია, „ნაციონალებმა“ ამდენი გაბედონ, რადგან ამით ზიანს მხოლოდ ქვეყანას კი არა, თავიანთ საერთაშორისო იმიჯსაც მიაყენებენ, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუკი მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლებაში რაღაც ფორმით დაბრუნდება, დამიჯერეთ, საქართველოში სამოქალაქო ომი გარდაუვალია!

– ესე იგი, ვარაუდობთ, რომ 21 მარტის აქციას გაგრძელება ექნება, არა?

– დიახ. დააკვირდით, პოლიტიკური ტემპერატურა როგორ ნელ-ნელა მატულობს: მერიაში კორუფციის ნიშნები გაჩნდა. „ნაცმოძრაობა“ კი, კორუფციას კარგად ფუთავდა და ამტკიცებდა, კორუფცია აღარ არსებობსო. გარდა ამისა, გამოჩნდნენ ვიღაც „ტიპები“, ვინც ფულს რიგით მოქალაქეებს სძალავენ. სხვათა შორის, ასეთ „ტიპებს“, ანუ დამნაშავეთა სამყაროს „ნაცმოძრაობა“, მხოლოდ ადრე კი არა, ახლაც კარგად მართავს.

– დაუჯერებელია – „ნაციონალები“ ხელისუფლებაში არ არიან და დამნაშავეთა სამართავად რა ბერკეტიღა აქვთ?

– რა ბერკეტი და, – მაგალითად, ფული. დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლები ფულის გულისთვის ყველაფერზე მიდიან – იციან, რომ ამის გამო, შესაძლოა, დაიჭირონ, მაგრამ თავს ციხეში უკეთესად გრძნობენ. სხვათა შორის, არ დაგავიწყდეთ, რომ პრეზიდენტობის ვადის ამოწურვამდე, მიხეილ სააკაშვილმა 2 ათას პატიმარზე მეტი შეიწყალა, მათ შორის, როგორც ვიცი, რეციდივისტებიც იყვნენ. „ოცნების“ ამნისტია კი, მესამე და მეოთხე ნასამართლეობასაც შეეხო, რაც, რბილად რომ ვთქვათ, შეცდომაა.

ისე, 2003 წელს, როცა მოვიდნენ, დათა ახალაიამ კუდ-ში განაცხადა, ხელისუფლებაში ორი საარჩევნო ციკლი ვიქნებით, მერე, ერთი ციკლი აღარ ვიქნებით, მერე კი, დავბრუნდებით და ხელისუფლებაში 20 წელი დავრჩებითო.

– ეს დათა ახალაიამ საჯაროდ თქვა?

– დიახ, ამაზე სპეცსამსახურში ყველა ლაპარაკობდა... ღმერთმა დაიფაროს, „ნაცმოძრაობა“, თავისი კეზერაშვილებითა და ადეიშვილებით, ხელისუფლებაში დაბრუნდეს, თორემ, ვერ წარმოიდგენთ, აქ რა მოხდება!

– ბატონო კოტე, ვატყობ, საუბარი ისევ საბოტაჟისკენ მიგყავთ...

– დიახ...

– საბოტაჟისთვის, მინიმუმ, ხელშემწყობებია საჭირო. რა, სპეცსამსახურები ისევ „ნაცების“ ხელშია?

– რა თქმა უნდა... მართალია ძალოვან უწყებებში პირველი პირები რამდენჯერმე შეიცვალნენ, მაგრამ ქვედა რგოლები ისევ „ნაციონალებისგან“ იმართებიან. ამიტომ, კარდინალური წმენდაა საჭირო...

– ყველაფრის „ნაცმოძრაობისთვის“ დაბრალება უკვე პარანოია ხომ არაა?

– როგორ გეკადრებათ! „ნაციონალებმა“ ისეთი სისტემა შექმნეს, რომელიც, პრაქტიკულად, მონსტრი იყო და საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას ეხებოდა. აქედან გამომდინარე, რა მნიშვნელობა აქვს, „ნაციონალები“ ხელისუფლებაში არიან თუ არა, მაკომპრომეტირებელი მასალები ხომ ისევ მათ ხელშია? თქვენ, რა, ფიქრობთ, რომ რახან სპეცსამსახურში აღარ ვმუშაობ, გარკვეულ პირებზე მამხილებელი მასალები აღარ მაქვს?

– შეიძლება, გაქვთ, მაგრამ ამ გარკვეულ პირებს როგორ აიძულებთ, რომ ის გააკეთონ, რაც გინდათ?

– (იღიმება) ეს ტექნიკის საქმეა...

„ქართული ოცნება“ რომ ხარ და იცი, შენი ნომერ პირველი მტერი, „ნაცმოძრაობა“ არალეგალური გზით ფინანსდება, ეს არ უნდა გამოიძიო? აუდიტის სამსახურმა დასკვნა დადო, ყოფილი მმართველი პარტიის შემოსავალი, შემოწირულობის სახით, 230 ათასიაო, მაგრამ ესეც ილუზიაა და იმას ემსახურება, ნახეთ, რა საცოდავიაო. „ნაცმოძრაობა“, ძირითადად, მერიაში გამოცხადებული ტენდერებით, პროკურატურისგან ბიზნესმენებისთვის „შეწერილი“ თანხებითა და არალეგალური ბიზნესებით ფინანსდებოდა. ეს სქემები დღესაც ძველებურად მუშაობს. დიახ, „ნაციონალებს“ აურაცხელი შავი ფული აქვთ, თან აქ ლაპარაკი „ქეშ“ ფულზეა.

– კოტე ბატონო, მთავარ პროკურატურაში სპეციალური დეპარტამენტის შექმნით, ხელისუფლება ხალხის გულს მოიგებს, ანუ სიტუაციას დაიჭერს?

– ვერა.

– რატომ?

– ვთქვათ, წართმეული ქონება 700 ადამიანს დაუბრუნეს, დანარჩენებმა რა ქნან?

– როგორც ამბობენ, საქმეების შესწავლა ეტაპობრივად მოხდება...

– რა ეტაპი, რის ეტაპი? – არჩევნები მოდის და, ხალხს როგორ გააგებინებ, ქონებას მეათე ეტაპზე დაგიბრუნებ, მანამდე რაღაც ობლიგაციას მოგცემო, მაგრამ არავინ იცის, ეს ფასიანი ქაღალდი სად უნდა გამოიყენოს. ქონების დაბრუნების პროცესი ძალიან გაიწელება, მით უმეტეს, გამოძიება ისეთი საქმე არაა, რომ ათმა, გნებავთ, 20 ადამიანმა ათიათასობით საქმის შესწავლა მოკლე დროში შეძლოს. ხელისუფლებას ადამიანებისთვის ჯერ ღირსება უნდა დაებრუნებინა, მერე კი, – ქონება.

– ღირსების დაბრუნება ძალიან აბსტრაქტული ცნებაა...

– აბსტრაქტული რატომაა?

– აი, მაგალითად, თქვენ, ღირსება როგორ უნდა დაგიბრუნდეთ?

– აღიარონ, რომ სამსახურიდან უკანონოდ გამათავისუფლეს.

– საამისოდ სასამართლოს უნდა მიმართოთ...

– მივმართე.

– მერე, რაო?

– რაო და, – რადგან შენს საქმეზე სასამართლომ „ნაციონალების“ დროს გადაწყვეტილება გამოიტანა, ვეღარ გადავხედავთო. აბა, მითხარით, ღირსება როგორ აღვიდგინო? „ნაციონალები“ ყვირიან, სამსახურებიდან ხალხს უშვებენო. თავად კი, მხოლოდ ძალოვანი უწყებებიდან, 35 ათასი ადამიანი გაათავისუფლეს. იმას კი არ ვამბობ, რომ გასაშვები არავინ იყო, მაგრამ ამ 35 ათასიდან, მინიმუმ ხუთი ათასი ხომ ისე გამოგვაგდეს, რომ ღირსებაც წაგვართვეს და მომავალიც?!

ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲕᲐᲜᲝ ᲞᲐᲕᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

(თემის გაგრძელება იქნება)

10

№ 10 (274)

11- 17 მარტი 2015

ქართული იტალია

ეროვნული

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

ლიტერატურა. ფილოსოფია. პოლიტიკა

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

სატელევიზიო პროექტი

ვინ შესთავაზა არჩილ გამზარდიას ბიძინა ივანიშვილის გადაცემის თანაწამყვანობა

მალე ტელეკომპანია GDS-ზე ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური გადაცემა გავა, რომელსაც, გავრცელებული ინფორმაციით, კვირაში ერთხელ, ყოფილ პრემიერთან ერთად, ანალიტიკოსი არჩილ გამზარდიაც გაუძღვება, თუმცა გამზარდია „ქართულ სიტყვასთან“ საუბრისას ამ ინფორმაციას ბოლომდე არ ადასტურებს და აცხადებს, რომ ზემოხსენებულ პროექტში მის ჩართულობაზე კონსულტაციები მიდის და გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია.

„ანალიტიკა „20.30“-ში, ფინანსური კუთხით, ჩემთვის საინტერესო არაა!“ – რას შეცვლის „20.30“ სატელევიზიო სივრცეში

– არჩილ, თოქ-შოუს „20.30“ ერქმევა თუ „2030“?

– ეს პროდიუსინგის ნაწილია და სახელწოდებაც აქედანაა შემდგარი. რახან შოუ ეთერში 20 საათსა და 30 წუთზე გავა, სათაურიც – „20.30“ აქედან გაჩნდა.

– როცა ბიძინა ივანიშვილმა ქართულ პოლიტიკაში ჩართვა გადაწყვიტა და თავის გარშემო ხალხს იკრებდა, ერთმა ცნობილმა პოლიტოლოგმა ხუმრობით მითხრა, მთელი თბილისი ერთმანეთს, მისალმების ნაცვლად, ეკითხება, დაგირეკაო?.. სხვათა შორის, ივანიშვილმა იმ პოლიტოლოგს დაურეკა... თქვენც ყოფილმა პრემიერმა დაგირეკათ და გადაცემის თანაწამყვანობა შემოგთავაზათ?

– შემოთავაზება პროდიუსერისგან, ვასილ მაღლაფერიძისგან მივიღე. მიმაჩნია, რომ საშუალო ცნობადობის ანალიტიკოსი ვარ, ივანიშვილთან მიმართებაში კრიტიკული შეფასება ბევრჯერ გამიკეთებია და ჩემი პროექტში მიწვევის ერთ-ერთი მიზეზიც შესაძლოა, ეს გახდა.

– გადაცემის სავარაუდო წამყვანთან, მაკა ცინცაძესთან, ქართული ენის ნორმების დამახინჯების გამო, ლევან ღვინჯილიას, როგორც სოციალური ქსელიდან ვიცი, შენიშვნები ჰქონდა. საერთოდ, ტელესივრციდან ენის დამახინჯება ნორმად იქცა...

– თუკი ვინმე, გარკვეული გაუმჯობესების მიზნით, სურვილს გამოხატავს, რომ ჩემს საუბარს ყურადღება მიაქციოს, ამაზე დადებითი განწყობა მექნება. დღეს ენობრივი ნორმები საკამათო თემაა, რადგან საქართველოში აღარ არსებობს ენობრივი წესების დამდგენი კომიტეტი თუ ჯგუფი, რომელიც მიმდინარე პერიოდს შეისწავლის. კომისია რაღაცას ცვლიდა და ნორმებს ადგენდა, უცხო ენიდან შემოსული რომელი სიტყვა უნდა ყოფილიყო მიღებული და რომელი – არა. რადგან ენობრივი ნორმების შემსწავლელ-დამდგენი ინსტიტუცია არ არსებობს, ზოგიერთ შემთხვევაში, მოსაზრება მოსაზრების დონეზე რჩება.

– საქართველოს ტელესივრცეში მრავალი გასართობი თუ პოლიტიკური შოუა, თუმცა ბევრი მდარეა... როგორი იქნება „20.30“?

– როცა ლაპარაკი სატელევიზიო გადაცემებზეა, რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორია გასათვალისწინებელი: ერთის მხრივ, ტელევიზია კომერციული სივრცეა და, ბუნებრივია, მოთხოვნადი ისაა, რაც კარგად იყიდება. „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გარდა, დაფინანსება სხვა ტელევიზიებს არ აქვთ და იძულებულნი არიან, ყურებადი პროდუქციები შექმნან. არსებობს ძალიან საინტერესო რამდენიმე ტელეარხი, სადაც კულტურაზე, ისტორიაზე, მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებსა და უამრავ სხვა თემაზეა საუბარი, მაგრამ ხალხი მაინც სერიალს უყურებს. გასაგებია, რომ საზოგადოების განვითარებისთვის საჭიროა ტელეპროდუქცია მაღალი ინტელექტით, მაგრამ მეორეს მხრივ, ყურებადია გასართობი გადაცემები, სადაც რეკლამა განთავსდება. ასეთ გადაცემას მაყურებელიც ჰყავს და რეიტინგიც აქვს.

რაც შეეხება „20.30“, მისი მიზანი მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გაანალიზებაა – რა ხდებოდა, რა ხდება, როგორ შეიძლება აღვიქვათ, შევაფასოთ და დავგეგმოთ მომავალი ნაბიჯები. ამ გადაცემის მისია, ფუნქცია თავის დროზე ავტორმა გააჟღერა. ვიმეორებ, კონსულტირების რეჟიმში ვარ და რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მიმდინარე პროცესების ანალიზი კვირაში ერთხელ მოხდება.

– ბიძინა ივანიშვილი გადაცემაში მონაწილეობას ყოველდღე მიიღებს?

– როგორც პროდიუსერმა თქვა, ბატონი ბიძინა ისეთივე სტუმარი იქნება, როგორც – სხვა დანარჩენი და სხვა მხრივ გადაცემასთან, სავარაუდოდ, შეხება არ ექნება.

– GDS-ის მფლობელი ბერაა, გადაცემის იდეა მამამისს ეკუთვნის. არჩილ, ანალიტიკა ტენდენციური არ იქნება?

– საკუთარი მოსაზრებების ფარგლებში მოგახსენებთ: რა ხანია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ვმუშაობ. ყველამ ვიცით, რომ ადმინისტრაცია, სასწავლებლის სიახლეები და პროგრესი „ნაცმოძრაობასა“ და მის თანამოაზრეებთან იყო დაკავშირებული. დღესაც ხარისხის სამსახურის უფროსი „ნაცმოძრაობის“ წევრია, მაგრამ რახან ხელფასს „ნაციონალებთან“ ახლოს მყოფი ადმინისტრაცია მიხდის, საქმე რაიმე სახის ტენდენციურობასთან მაქვს? პირიქით, წლების განმავლობაში, „ილიაუნის“ მმართველობასა და „ნაცმოძრაობას“ ვაკრიტიკებ.

– ეს როგორ მოახერხეთ?

– ვერ ვიტყვი, რომ ზეწოლა მქონოდა. ამ უნივერსიტეტის დადებითი მხარე ისაა, რომ სრულიად დემოკრატიული, აკადემიური მმართველობის ფარგლებში, იმ დროსაც, როცა „ნაცმოძრაობა“ აქტიური ხელისუფლება იყო, ჩემს მოსაზრებებს გამოვხატავდი. იყვნენ ადამიანები, რომლებიც ამა თუ იმ მხარეს მიაკუთვნებდნენ, რადგან საზოგადოებას განსხვავებული მოსაზრება არ უყვარს. ჩემთვის ის ფაქტორი, რომ არხის მეპატრონე, ან იდეის ავტორი ბიძინა ივანიშვილია, განსაკუთრებულ მნიშვნელობას არც მომავალში შეიძენს. ყოველთვის ეცდებიან, იარლიყი მოგაწებონ, მაგრამ ამას ყურადღება რომ მიაქციო, ჯობია, საჯარო პირი საერთოდ არ იყო.

– ისე, ამ პროექტში მონაწილეობა რომ მიგეღოთ, ფულმა გძლიათ?

– სავარაუდოდ, შემოსავალი, რომელიც ამ პროექტის ფარგლებში დროებით მექნება, ზუსტად იმდენია, რამდენი საათით ნაკლებ ლექციასაც „ილიაუნში“ ავიღებ. ვისთვის დასაჯერებელია, ვისთვის – არა, მაგრამ ანალიტიკა „20.30“-ში, ფინანსური კუთხით, საინტერესო არაა. ეს ის ხელფასი არაა, რისი გულისთვისაც რამეს დავთმობ.

– ესე იგი, გადაცემაში, განსხვავებული აზრის გამოთქმას, ყოფილ პრემიერს მოეწონება თუ არა, არ მოერიდებით?

– ამა თუ იმ საკითხზე ჩემი პოზიცია მაქვს და როცა ეს სხვისას ემთხვევა, ვამყარებ. მაშინ კი, როცა სხვისი მოსაზრება ჩემსას არ ემთხვევა, ჩემს პოზიციას ვამყარებ. ასე ჩამოვყალიბდი, როგორც ანალიტიკოსი და დღემდე ასე ვმუშაობ. მიმაჩნია, რომ ადამიანი-ავტონომია ვარ. პარტიული ხედვის გამოხატვის სურვილი რომ მქონოდა, უამრავი პარტიაა და რომელიმე მათგანის მხარეს დავდგებოდი.

– რაკიღა პარტიულ კუთვნილებაზე საუბრობთ, შეგახსენებთ, რომ კრიტიკულად ხართ განწყობილი ირაკლი ალასანიას მიმართ. ქართული შეფასებით, თუ ალასანიას აკრიტიკებთ, ე.ი. ივანიშვილის მომხრე ხართ, თუ პატივს ალასანიას სცემთ, ივანიშვილს უპირისპირდებით... ეს დაპირისპირება პიროვნულია?

– პიროვნულ დაპირისპირებაზე ვერაფერს გეტყვით, რადგან დასკვნისთვის საჭირო ინფორმაციას არ ვფლობ. ანალიტიკისთვის ობიექტურობაა საჭირო, ყურმოკრული თემებით ვერ ვიმსჯელებ.

– კორუფციაზე იყო ლაპარაკი, მაგრამ მთავარი პროკურატურა ვერ ახერხებს, თავდაცვის სამინისტროს დაჭერილ თანამშრომლებს ბრალი დაუმტკიცოს...

– თემა ჰაერშია დაკიდებული, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, ირაკლი ალასანია არასწორად მოიქცა, როცა თავიდანვე, პირველ წუთებში ასეთი რეაქცია ჰქონდა – მაშინვე პოლიტიკურ დარტყმაზე საუბრის დაწყება, ჩემი აზრით, ანომალიურია. პირიქით, თანამშრომლობის სურვილი უნდა გამოეხატა.

როცა „თავისუფალი დემოკრატები“ ოპოზიციაში გადავიდნენ, იმედი მქონდა, რადგან თავს მეტი განათლებით, ნაკლები დემაგოგიითა და პრაგმატულობით ავლენდნენ, თუმცა დღეს ისე არ გამოიხატებიან, როგორც პირადად, მე და სხვები ველოდებოდით. შესაბამისად, მათ მხარდამჭერადაც არ მოვიაზრები. „თავისუფალი დემოკრატები“ ის პოლიტიკური პროდუქტი არაა, ვისაც საარჩევნო ყუთთან მდგარი ხმას მარტივად და მშვიდად მივცემ. მოლოდინის გაცრუების რეჟიმში ვარ... მსურს, ამ ხელოვნური მდგომარეობიდან თავიანთ ბუნებრივ მდგომარეობას დაუბრუნდნენ. რაც უფრო ბუნებრივები იქნებიან, მით ეფექტურად აწარმოებენ საარჩევნო კამპანიას, მათი უპირატესობა მეტი ინტელექტი, ასევე, აკადემიურობაა, რაც ბოლო ხანებში ნაკლებად ჩანს. მათი პარტიის გულშემატკივარი რომ ასეთ კრიტიკულ შეფასებებს ვაკეთებ, არაგულშემატკივარი რას იტყვის?

მესმის, დღეს ძალიან ძნელია, პოლიტიკურმა პარტიამ ხალხს საკუთარი დამოუკიდებელი ხედვა დაანახოს. შეეწინააღმდეგები ხელისუფლებას და „ნაციონალი“ ხარ, არ შეეწინააღმდეგები და – ხელისუფლების მონა.

– არჩილ, პროდასავლური და პრორუსული კურსი საზოგადოების დაპირისპირებისა და აგრესიის საგანი გახდება?

– ეს თემა ხელოვნურია. საქართველოს მოსახლეობამ დასავლური არჩევანი თავის

„როგორც პროდიუსერმა თქვა, ბატონი ბიძინა ისეთივე სტუმარი იქნება, როგორც – სხვა დანარჩენი და სხვა მხრივ გადაცემასთან, სავარაუდოდ, შეხება არ ექნება“.

გაგრძელება მე-14 გვ.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲤᲧᲕᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲒᲐᲗᲝᲑᲘᲗ

11- 17 მარტი 2015

№ 10 (274)

11

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲜᲔᲠᲝᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

„ᲙᲝᲐᲚᲘᲪᲘᲐᲨᲘ ᲓᲐᲫᲐᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲐᲐ... ᲡᲐᲒᲐᲜᲔᲚᲘᲫᲔ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲡ ᲕᲔᲦᲐᲠ ᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ...“

„ᲔᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘ ᲜᲐᲠᲛᲐᲜᲘᲐᲡᲗᲕᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲒᲐᲛᲧᲝᲤᲘᲐ“, – ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲐᲠᲔᲨᲘᲫᲔ ᲡᲐᲨᲘᲜᲐᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲡ ᲐᲤᲐᲡᲔᲑᲡ

კავკასიის საკითხების ექსპერტი მამუკა არეშიძე „ქართულ სიტყვასთან“ მერიაში მიმდინარე საკადრო ცვლილებებზე საუბრობს და ვარაუდობს, რომ მალე კორუფციულ გარიგებებს სამინისტროებშიც გამოავლენენ.

– ბატონო მამუკა, პრემიერი დაინტერესდა, რიგ სამინისტროებს ჩამორჩენა რატომ აქვთ და არ გამორიცხა, რომ რამდენიმე თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის საკითხი დაისვას. როგორც ჩანს, საკადრო წმენდა გველის, არა?

– პირველი: ეს არაპროფესიონალიზმი და საქმის კეთების არცოდნაა – გამგებლებს ფულიც აქვთ და საშუალებაც, მაგრამ არ იციან, ესა თუ ის ინფრასტრუქტურული პროექტი როგორ განახორციელონ. ამასთან, პასუხისმგებლობის აღება არ უყვართ. მათგან ძალიან ბევრი, სამწუხაროდ, კორუფციულ გარიგებაშია გახვეული.

– კერძოდ?

– ვგულისხმობ მერიის თანამშრომლებს... ჯოკია ბოდოკიას დაკავება ამ თვალსაზრისით პირველი მერცხალი იყო, თუმცა ეს დაკავება პრეცედენტი არ ყოფილა – მანამდე ჩინოვნიკების საკმაოდ დიდი ნაწილი დააპატიმრეს. ლოგიკურად რომ ვიმსჯელოთ, ბოდოკიას ფული იმაში ჰქონდა აღებული, რომ სასტუმროს პროექტი გაეტანა, მაგრამ ამას, თუ მაღალი თანამდებობის პირი არ დაეხმარებოდა, მარტივად ვერ გააკეთებდა. ალექსანდრე მარგიშვილიც, რომელიც ახლახან „დამსახურებულ პენსიაზე“ გაუშვეს, ამ კატეგორიას მიეკუთვნება...

– თუ იცით, მარგიშვილი პრივილეგიებით რატომ სარგებლობდა და ნარმანიაზე მეტ ხელფას-პრემიას რა დამსახურებისთვის იღებდა?

– აბა, რა ვიცი, მარგიშვილი ამდენ ფულს რატომ იღებდა. მეც ეგ არ მიკვირს? ეს კაცი, საერთოდ, ვინაა? ეტყობა, სპეც-სამსახურებში ჰყავდა ვიღაც. სხვანაირად, მისი პრივილეგიები როგორ შეიძლება ავხსნათ?! ერთ ფაქტს გეტყვით: როცა გურამ ოდიშარია მინისტრობიდან გადააყენეს, მაშინ მარგიშვილი დარბოდა და ცდილობდა, ივანიშვილამდე ხმა მიეწვდინა, კულტურის მინისტრად დამნიშნეთო, თუმცა სამინისტროდან მოიშორეს. ამ კაცს ქვეყნის წინაშე ისეთი რა დამსახურება აქვს, რომ სასათბურე პირობებში ჰყავთ? ვიცი, საგამოძიებო ორგანოებმა მის გადაყენებას რეკომენდაცია იმიტომ გაუწიეს, რომ კორუფციულ სქემებში აღმოჩნდა ჩართული. პირდაპირი ჩართვა იყო თუ ირიბი, ვერ გეტყვით, მაგრამ მისი გათავისუფლების საბაბი ეს გახდა. მიუხედავად ამისა, ნარმანია მარგიშვილის გამო ახალ უწყებას – „მეწარმეთა ხელშეწყობის ცენტრს“ აყალიბებს. ეს რას ჰგავს? ნარმანიას მხრიდან ეს აბსოლუტურად არაკორექტული საქციელია, ვინც უნდა მფარველობდეს მარგიშვილს, საზოგადოებამ ყველაფერი იცის და ვერ მოატყუებენ. მარგიშვილი არც კულტურის სამინისტროში ვარგოდა, არც – მერიაში და ახალ სამსახურში როგორ ივარგებს? მერიის ხელმძღვანელობაში აღმოჩნდა ხალხი, რომელსაც წარმოდგენა არ აქვს, სად მოხვდა.

– ვის გულისხმობთ?

– მერის მოადგილეებს, რომლებიც ზოგ შემთხვევაში, არაპროფესიონალები და დამნაშავეები არიან. მაგალითად, ჩივიაშვილი, რომელსაც სოციალური მიმართულება ებარა, სხვა ოთხ ადამიანთან ერთად, იმის გამო იყო დაკავებული, რომ სოციალურად დაზარალებულთა ფული შეჭამა. მართალია, ეს ფული უკან მიატანინეს, მაგრამ ჩივიაშვილი გაქრა და ახლა ტანჯულის მანტიის მორგება უნდა. სავარაუდოდ, კიდევ ბევრს დაიჭერენ და გაყრიან მერიიდან, გნებავთ სამინისტროებიდანაც. ეს პროცესი, როგორც ჩანს, გაგრძელდება.

– ირაკლი ღარიბაშვილი არც გამგებლების და საკრებულოს თავმჯდომარეების მუშაობითაა კმაყოფილი და ამბობს, რომ ისინი, ბიუროკრატიული ბარიერის გამო, პროცესს აფერხებენ...

– საკრებულოს წევრებზე არ მსმენია, რომ კორუფციაში იყვნენ გარიგებულნი. რაც შეეხება იმას, რომ ეს ხალხი ბიუროკრატიულ წინააღმდეგობებს ქმნის, არ გამოვრიცხავ, რადგან საკრებულო ვერა დგას ისეთ სიმაღლეზე, როგორც საჭიროა.

– ბატონო მამუკა, თქვენი ინფორმაციით, კორუფცია მხოლოდ თბილისის მერიაშია ფეხმოკიდებული თუ სამინისტროებშიც?

– ვფიქრობ, შეკითხვები ყველა, მაგალითად, ინფრასტრუქტურის, გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის სამინისტროების მიმართ არსებობს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა შეკითხვა სამართლიანადაა დასმული. ზოგ შემთხვევაში, კორუფციის შესახებ ინფორმაცია დადასტურებულია, ზოგჯერ კი, მხოლოდ მოარული ხმაა. ყველაფერს გამოძიება სჭირდება. მთავარია, სისტემა არ იყოს კორუფციული, რაზეც სახელმწიფომ უნდა იზრუნოს და საფუძველშივე მოსპოს. სხვათა შორის, კორუფციას ისრაელისა და ბოსნიის პრეზიდენტები შეეწირნენ.

– ნოდარ ჯავახიშვილმა განაცხადა, ტენდერებში დიდი ფული „ტყდებაო“...

– ვიცი, რომ ირაკლი შავლიაშვილის მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა – მას რომ ჰკითხოთ, თავს უკვე მოხსნილად თვლის. რასაკვირველია, ფული „ტყდებოდა“, მაგრამ მუდამ ასე იყო – „ნაციონალების“ დროსაც იგივე ხდებოდა და არც კომუნისტები იყვნენ გამონაკლისები. კორუფციულ სისტემას შექმნა არ უნდა დააცალო და კონტროლი გაამკაცრო, რადგან როცა გათავხედდებიან, მერე უკვე საშინელებებს აკეთებენ. ფულს „ნაციონალების“ დროსაც „ტეხავდნენ“ და ამას მათ მიერ გაკეთებული გზებიც მოწმობს. ვინმემ არ მითხრას, დრო გავიდა და გზა იმიტომ გაფუჭდაო. თუ ასეა, დიღმის გზა რატომ არ გაფუჭდა? ის გზა ჰოლანდიელებმა კეთილსინდისიერად გააკეთეს და ამიტომ.

– მართალია, არჩეულია, მაგრამ დავით ნარმანია ხომ არ გადადგება?

– 7 თვეა, ნარმანია აირჩიეს. ამ ხნის განმავლობაში, გზები მაინც უნდა დაეხაზა, ხალხს რომ გაეგო, ქალაქს მერი ჰყავს თუ არა. ნარმანიას დრო კიდევ აქვს, რომ თავი გამოიჩინოს, 2-3 თვის შემდეგ კი გადაწყდება, ქალაქს სჭირდება თუ არა. ეს პერიოდი მისთვის წყალგამყოფია და სერიოზული ძალისხმევა მართებს, რომ სიტუაცია შეცვალოს და კორუფციის ფაქტი აღარ დაუშვას.

– ...ბატონო მამუკა, მიხეილ სააკაშვილი უკრაინის ხელისუფლებაში მაღალ პოსტზე დაინიშნა. კიევში თანამდებობები სხვა „ნაციონალებმაც“ მიიღეს. ზოგი ამბობს, რომ მათ დასავლეთი სწყალობს...

– „ნაციონალებს“ დასავლეთი კი არა, უკრაინა სწყალობს. უკრაინაში დასავლურ ფულს პატრონი სჭირდება ისევე, როგორც – დასავლურ იდეებს. ამის მიმხედი კი, შეიძლება, სააკაშვილი იყოს. სხვათა შორის, უკრაინის ჯანდაცვის მინისტრად სანდრო კვიტაშვილის დანიშვნა, როგორც ირკვევა, სააკაშვილის იდეა არ ყოფილა – ჯანდაცვის მინისტრის პოსტზე მსოფლიო ბანკმა წარადგინა და თავი საკმაოდ კარგადაც გამოიჩინა.

– თავი მაინც, რაში გამოიჩინა?

– სანდრო მსოფლიო ბანკში მუშაობდა და ეტყობა, კარგი თანამშრომელი იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში, მსოფლიო ბანკი რეკომენდაციას არ გაუწევდა. არ მიკვირს, რომ დასავლეთის ზოგიერთ პოლიტიკურ წრეს აქვს ინტერესი, რომ უკრაინაში თავისი იდეების გამტარებელი ჰყავდეს. უკრაინის ხელისუფლებას კი ისეთი ადამიანი სჭირდება, რომელიც დასავლეთში, თუნდაც იარაღის მოწოდების საქმეში, მისი ლობისტი იქნება! ამ საქმეში სააკაშვილი ნამდვილად ივარგებს, რადგან იარაღის შოვნის და გაყიდვის დიდი გამოცდილება აქვს.

– ოფიციალური კიევი არ ითვალისწინებს, რომ ზოგიერთ „ნაციონალზე“ ძებნაა გამოცხადებული. უკრაინელები ისეთ ხალხს, ვინც სამშობლოში თავი კარგი საქმის კეთებით ვერ გამოიჩინა, რატომ ენდობიან?

– უკრაინის ხელმძღვანელობას სააკაშვილი ჰაერივით სჭირდება. თავის დროზე დასავლეთი იაცენიუკს ემხრობოდა, პოროშენკო მისი კანდიდატურა არ ყოფილა. ამ უკანასკნელს გვერდით ისეთი ადამიანის დგომა სჭირდებოდა, რომელიც დასავლეთში მისი გამხმოვანებელი იქნებოდა. სააკაშვილს თანამდებობა ამიტომაც მისცა. ამ შემთხვევაში, აშშ-ისა და პოროშენკოს ინტერესები დაემთხვა.

რაც შეეხება თანამდებობებზე ძებნილების დანიშვნას, საქმე ისაა, რომ საქართველოს საგარეო უწყებამ და პროკურატურამ კულუარულად და დინჯად უნდა იმუშაონ. მათ საქმის გაფუჭება არც უკრაინასთან უნდათ, ამიტომ მასალები მომზადებული და იურიდიულად წელში გამართული უნდა იყოს, რომ უკრაინის შესაბამის სტრუქტურებში გაიგზავნოს. თუ უკრაინის ხელისუფლება ამას ყურადღებას არ მიაქცევს, მერე საქმე სხვანაირად იქნება. სხვათა შორის, იმ რამდენიმე ადამიანზე, რომელზეც ქართულმა პრესამ ერთი ამბავი ატეხა, დავადგინე, რომ სისხლის სამართლის საქმეც კი არაა აღძრული და ამის შემდეგ პასუხს უკრაინელებს ვთხოვთ, თანამდებობებზე რატომ ნიშნავთო? თუ პროკურატურის შესაბამისმა მიმართულებამ ეფექტურად არ იმუშავა, იმას მივიღებთ, რაც კეზერაშვილის შემთხვევაში მოხდა – საფრანგეთმა გაათავისუფლა. ყველაფერს მუშაობა სჭირდება და არა – ისტერიკა.

– ბატონო მამუკა, „ქართულ ოცნებაში“ განხეთქილებაზე რამე გსმენიათ?

– კოალიციის დაშლის წინაპირობას ვერ ვხედავ, მიუხედავად იმისა, რომ იქ ორი სუბიექტი ერთმანეთს მუდამ კბენს – „რესპუბლიკელებსა“ და „ქართულ ოცნებას“ ვგულისხმობ. პარლამენტის თავმჯდომარე საკმაოდ პრაგმატულად მოაზროვნე ადამიანია და არ მგონია, კოალიცია დაშლამდე მიიყვანოს, თუმცა, აშკარად ჩანს, რომ კოალიციაში დაძაბულობაა. ამის ნათელი მაგალითი დავით საგანელიძესთან დეპუტატების ერთი ჯგუფის დაპირისპირებაა.

– საგანელიძეზე ამბობენ, პოლიტიკიდან მიდისო. იძულებულია, ასე მოიქცეს?

– ქართველი პოლიტიკოსი რომ თავისი ნებით წასულიყო, ასეთი რამ გახსოვთ? ასეთი რამდენიმე კაცი ვიცი – ლადო კვარაცხელია და დავით მაღრაძე პარლამენტიდან რომ გავიდნენ, აქ ჩვენი ადგილი არ ყოფილაო. თანამდებობიდან კი ისე არავინ მიდის, თუ განსაკუთრებული მდგომარეობა არ შეიქმნება.

– თუ ასეა, საგანელიძეს პოლიტიკიდან წასვლას ვინ აიძულებს?

– კოალიციაში იმდენად დაძაბული სიტუაციაა, რომ საგანელიძე მოვლენებს ვეღარ მართავს, თუმცა არ მინდა, ამ წვრილმანებში შევიდე. დეპუტატებს შორის უთანხმოება იმდენად მნიშვნელოვანი არაა, რამდენადაც ის, რომ ქვეყანას უამრავი პრობლემა აქვს, რომელთა გადაწყვეტის პროცესი ჭიანურდება. ესაა მთავარი, თორემ სრულიად არ მაღელვებს, დეპუტატები იჩხუბებენ თუ არა.

– ბატონო მამუკა, როგორ ფიქრობთ, აქცია „შემოულაწუნე“ 21 მარტს დაგეგმილ „ნაციონალების“ აქციასთან კავშირში იყო?

– 21 მარტის აქციასთან დაკავშირებით პრესაში ძალიან ბევრი ინფორმაციაა. შეიძლება, ეს შეთითხნილი ამბავია... სამართლიანი მოთხოვნები გაისმის და ხელისუფლებას დაპირებების შესრულებაზე მიუთითებენ. მართალია, ის, რასაც ხალხს დაჰპირდი, უნდა შეასრულო. ხალხი ამდენი ტყუილის მოსმენით დაიღალა. საინტერესო პროექტია „აწარმოე საქართველოში“ დ ბევრი სხვა საქმეც გაკეთდა, მაგრამ ხელისუფლებას სურვილი არ აქვს, თავისი გაკეთებული საქმეების შესახებ ხალხს შეატყობინოს. ცნება – ხელისუფლების პიარი არ არსებობს. ვერ გეტყვით, მის ინტერესში მსგავსი კამპანიის წარმოება რატომ არ შედის.

– მას შემდეგ, რაც მოკავშირეობის ხელშეკრულებები გააფორმა, კრემლმა ოკუპირებულ რეგიონებში სამხედრო წვრთნები დაიწყო...

– ეს იმ პროცესის, რომელიც 2008 წელს დაიწყო, ლოგიკური ფინალია. ჩვენ, სამწუხაროდ, პუტინს მადლობა უნდა შევწიროთ, რომ მაშინ ჩვენი ანექსია არ მოახდინა. ეს ნაბიჯი რომ გადაედგა, ვერაფერს ვიზამდით, „ნაციონალები“ კი თავხედურად ამბობენ, პუტინს ომის დაწყება უნდოდა და ჩვენ შევაჩერეთო. პუტინს რომ ომის დაწყება უნდოდა, ჩემი თვალით მაქვს ნანახი, მაგრამ რა გააკეთა ხელისუფლებამ, რომ ომი თავიდან აეცილებინა? ესაა კითხვათა კითხვა, რომელზეც პასუხი აქამდე ვერ მოვისმინე. ხშირად ვფიქრობ და იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ მათმა უგუნურმა საქციელმა წყალი პუტინის წისქვილზე დაასხა. ახლა ოკუპაცია გრძელდება და დასავლელი პარტნიორები ვერც ჩვენ და ვერც უკრაინასთან მიმართებაში ვერაფერს აკეთებენ.

– ბატონო მამუკა, დასავლეთი ნატო-ში ჩვენს გაწევრიანებაზე თავს რომ იკავებს, ამით კოჭს პუტინს ხომ არ უგორებს?

– აპატურაი და ოლანდი ლაპარაკობენ, ჯერ ადრეა ან, სულაც, ნატო-ში გაწევრიანება საეჭვოაო. ასეთი განცხადებებით პუტინსაც უგორებენ კოჭს და თავის თავზეც ფიქრობენ. არაერთხელ გაგვყიდეს ჩვენმა დასავლელმა პარტნიორებმა – პატარა ქვეყნის ბედი ასეთია. ამიტომ მხოლოდ ერთ ქვეყანაზე ორიენტირებულნი არასოდეს უნდა ვიყოთ და მრავალვექტორიანი პოლიტიკა ვაწარმოოთ, რომელსაც ბევრი ჭკვიანი პოლიტიკოსი სჭირდება.

ესაუბრა ნათია ლებანიძე

12 № 10 (274) 11- 17 მარტი 2015

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲢᲧᲕᲘᲡ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ᲮᲐᲚᲮᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲡ ᲘᲗᲮᲝᲕᲡ!

ᲐᲓᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲓᲐᲜ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘᲖᲘᲡ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ ᲒᲐᲥᲠᲐ

ᲐᲓᲕᲝᲙᲐᲢᲘ ᲔᲚᲖᲐ ᲯᲛᲣᲮᲐᲫᲔ: „ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲖᲔ ᲫᲐᲚᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲮᲕᲔᲬᲐ!“



ᲚᲔᲕᲐᲜ ᲐᲓᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲓᲕᲝᲙᲐᲢᲘᲡ ᲗᲥᲛᲘᲗ, ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝ ᲞᲐᲢᲘᲛᲐᲠᲘᲐ

ორი კვირის წინ, „ქართულ სიტყვაში“ გიამბეთ, რომ მსჯავრდებულ ლევან ადეიშვილს, მკვლელობის მცდელობის მუხლით (სსკ-ს 19.108), 10-წლიანი პატიმრობა, როგორც ადვოკატი ელზა ჯმუხაძე ამბობს, უკანონოდ აქვს მისჯილი, თუმცა მისი საკასაციო საჩივარი სასამართლომ განუხილველი დატოვა. ლევან ადეიშვილის ადვოკატის, ელზა ჯმუხაძის თქმით, საქმეს, რიგ გარემოებათა გამო, მოგების პერსპექტივა არც სტრასბურგში აქვს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ლევან ადეიშვილის საქმეში სამართლიანობის აღდგენა საქართველოშიც შესაძლებელია. მიუხედავად ამისა, წელიწადზე მეტია, საჩივარი, რომელიც მტკიცებულებათა გაყალბებასა და პირისთვის უკანონო ბრალდებას შეეხება, მკვდარი წერტილიდან არ იძვრის. „რაც ყველაზე სამწუხაროა, ლევან ადეიშვილის საქმის მაგალითზე შეიძლება, დავასკვნათ, რომ საქართველოში უსამართლობა იმ ხელისუფლების დროს ხდება, რომელიც სწორედ სამართლიანობის აღდგენის დაპირებით მოვიდა“, – აცხადებს ადვოკატი ელზა ჯმუხაძე.

– ელზა, თუკი ამ საქმეს ყველა ინსტანციის სასამართლო მოვლილი აქვს და აზრი არც სტრასბურგში ჩივილს აქვს, რატომ ფიქრობთ, რომ სიმართლის დადგენა შესაძლებელია?

– ამ საქმეში გვიან (წინასასამართლო სხდომაზე) ჩავერთე, რის გამოც არ შემიძლია, ვთქვა, თუ რატომ ამოიჩემა დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციამ და პროკურატურამ ლევან ადეიშვილი, მაგრამ შემიძლია, დავასაბუთო, თუ რატომ იყო ლევანის მიმართ ქართული სასამართლო უსამართლო: როგორც ადრე გითხარით, ჩხუბში ოცამდე ადამიანი მონაწილეობდა, მაგრამ მომხდარი ადეიშვილის კუთვნილ დანას ,,ჩამოკიდეს“, არადა, მისი დანის პირის მაქსიმალური სიგანე 1.5 სანტიმეტრია, ის შემავალი ჭრილობები კი, რომელთა გამოც ლევან ადეიშვილს მალხაზ მიქაცაძის მკვლელობის მცდელობა დაბრალდა, ზომებით მნიშვნელოვნად დიდია. ლევან ადეიშვილი რომც გაგიჟდეს და აღიაროს, მალხაზ მიქაცაძეს დანა დავარტყიო, კანონით, მხოლოდ აღიარებითი ჩვენების საფუძველზე, დაუშვებელია, ადამიანს დანაშაული დაბრალდეს. ადეიშვილის უდანაშაულობის დასამტკიცებლად მისი დანისა და მიქაცაძის ჭრილობის ზომებს შორის არსებულ მნიშვნელოვან განსხვავებაზე ჩემი ახირების გამო კი არა, ძალიან კომპეტენტური სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის, მაია ნიკოლეიშვილის კატეგორიული დასკვნის საფუძველზე ვლაპარაკობ. სამართლიანი სასამართლოსთვის ადეიშვილის გასამართლებლად მხოლოდ ეს ერთი მტკიცებულებაც საკმარისი უნდა ყოფილიყო, მაგრამ საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ბესიკ ბუგიანიშვილი, მთელი პროცესი, ,,შუშის თვალებით“ შემომყურებდა და ერთადერთი, რაც ნამდვილად აწუხებდა, სიმართლის დასადგენად დასმული ჩემი შეკითხვები იყო. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს, აღმოჩნდა, რომ საქმის განმხილველი სამი მოსამართლიდან ერთ-ერთი (შორენა ყაველაშვილი) განსახილველ საქმეზე ხულიგნობის მუხლით მსჯავრდებულ ზაურ ბაგაურის ნათესავია და ამის შესახებ ლევან ადეიშვილისთვის თავად ბაგაურს აქვს ნათქვამი. მოსამართლე შორენა ყაველაშვილმა, იმის ნაცვლად, რომ თვითაცილების უფლება გამოეყენებინა, თავისი ნათესავის დასაცავად ბოლომდე ,,გმირულად“ იდგა. სავარაუდოდ, ზეგავლენა დანარჩენ ორ მოსამართლეზეც მოახდინა და უკვე მეორე ინსტანციის სასამართლოს უკანონო განაჩენი მივიღეთ. ჩვენი საკასაციო საჩივარი უზენაესმა სასამართლომ, როგორც მოსალოდნელი იყო, 6 თვე ,,დაამწნილა“. ბოლოს კი, ამხელა საქმეზე, ერთგვერდიანი სტანდარტული, სრულიად დაუსაბუთებელი „პასუხი“, გაგვცა, საქმე განუხილველი, უკანონო ათწლიანი მსჯავრი კი უცვლელად დავტოვეო;.

– შორენა ყაველაშვილის ნათესავ ზაურ ბაგაურს, იმ შემთხვევაში, თუკი ზემდგომი, ანუ სააპელაციო ან უზენაესი სასამართლო ლევან ადეიშვილს მიქაცაძის მკვლელობის მცდელობაში გაამართლებდა, რა მოელოდა?

– პირველ რიგში, აუცილებლად იმ პოლიციელებისა და პროკურორების პასუხისმგებლობის საკითხი დადგებოდა, ვინც ლევან ადეიშვილს ბრალი უკანონოდ და უსაფუძვლოდ დასდო. ზემოხსენებულ მოსამართლეებს, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ საკაშვილისა და ადეიშვილისა ეშინიათ და პროკურატურის გავლენის სფეროდან ვერ გამოსულან, რაც სამართლიანობის აღდგენას თეორიულადაც გამორიცხავს. ლევან ადეიშვილი რომ გამართლებულიყო, საქმე ნამდვილ ჩიხში შევიდოდა – პრაქტიკულად, თავიდან გახდებოდა გამოსაძიებელი, თუ არა მან, მაშ, ვინ განახორციელა მალხაზ მიქაცაძის მკვლელობის მცდელობა? შეგახსენებთ, რომ საქმეში იმ დანის გარდა, რომელიც ლევან ადეიშვილს ეკუთვნის და რომლითაც სხეულის მსუბუქი დაზიანებები მალხაზ მიქაცაძეს კი არა, ძმებ ძინძიბაძეებს აქვთ მიყენებული (იმ დროს, როცა ლევან ადეიშვილი თავს იცავდა), მინიმუმ, კიდევ ორი სხვა პირი ფიგურირებს, რომლებზეც თვითმხილველმა მოწმეებმა მიუთითეს, რომ ჩხუბის დროს ახლოს მალხაზ მიქაცაძესთან იდგნენ, ჰქონდათ და გამოიყენეს დანები და რომლებიც პოლიციის მანქანაში სისხლიან ხელებს ილოკავდნენ. სწორედ ასეთ პირთა შორისაა ზაურ ბაგაურიც. დანები, ან შემთხვევის ადგილიდან ამოღებული არაა, ან ამოღებულია და საქმიდან გამქრალია. გამოძიება კი, ერთადერთი მიმართულებითაა წაყვანილი – როგორმე ყველაფერი ლევან ადეიშვილს დაბრალებოდა. იმ შემთხვევაში, თუ ადეიშვილს სააპელაციო სასამართლო მკვლელობის მცდელობაში გაამართლებდა, დადასტურდებოდა, რომ საქმე რეალურად გამოუძიებელია და გაჩნდებოდა ლოგიკური შეკითხვა: ხომ არ ჩაიდინა მალხაზ მიქაცაძის მიმართ მკვლელობის მცდელობა ბაგაურმა, რობაქიძემ, იაშვილმა, ან რიჟამაძემ, ვისთანაც ბრალდების მხარემ ხანმოკლე პირობითი მსჯავრი ხულიგნობის მუხლით ტაშის გრიალით (მინიმალური ჯარიმით) გააფორმა და სასამართლოს დარბაზიდან ანგელოზის ფრთებით გაფრინდა. გამორიცხული არაა, მიქაცაძე ისეთ პირსაც დაეჭრა, ვინც მსჯავრდებულთა სიაში საერთოდ არ ფიგურირებს და თავიდანვე თავს უშველა.

– ელზა, რას გულისხმობთ, როცა ამბობთ, გამოძიება ერთადერთი მიმართულებითაა წაყვანილიო?

– მკვლელობის მცდელობის საქმეზე ერთ-ერთი ძირითადი მტკიცებულება, რაღა თქმა უნდა, დანაა, მაგრამ ობიექტური გამოძიებისთვის მხოლოდ ის ფაქტები, რომ ლევან ადეიშვილს ჰქონდა დანა, მალხაზ მიქაცაძე კი მძიმედაა დაჭრილი, მაღალი სტანდარტით, იმის დასამტკიცებლად, რომ ეს ადამიანი აუცილებლად ლევან ადეიშვილმა დაჭრა, საკმარისი არ უნდა ყოფილიყო. საერთოდ, ექსპერტიზები სწორედ იმ მიზნით ინიშნება, რომ გაირკვეს, თუ რა იარაღია ამოღებული, ვისია და კონკრეტულად რა არის ჩადენილი ამ იარაღით. ადეიშვილის საქმეშიც გამომძიებელმა უჩა გოგოლაშვილმა დანიშნა კომპლექსური ესპერტიზა, სადაც მონაწილეობა უნდა მიეღო ოთხი სხვადასხვა მიმართულების ექსპერტს, კერძოდ: დაქტილოსკოპს, ვისაც უნდა შეესწავლა წარმოდგენილ დანაზე არსებული თითის კვალი; კრიმინალისტს, რომელსაც უნდა ეთქვა, რა ზომისაა და, ზოგადად, იარაღის რომელ კატეგორიას მიეკუთვნება წარმოდგენილი დანა; ბიოლოგს, რომელსაც უნდა ეთქვა, რისი კვალი იყო შერჩენილი დანაზე და, ბოლოს, ფიზიკო-ტექნიკოსს, რომელსაც უნდა დაედგინა, დაზარალებული პირებისთვის მიყენებული ჭრილობებიდან კონკრეტულად რომელი ჭრილობა იყო მიყენებული ექსპერტიზაზე წარდგენილი დანით.

– კომპლექსურმა ექსპერტიზამ რა თქვა?

– გამომძიებლის მიერ დანიშნული ოთხი სახის ექსპერტიზიდან მხოლოდ სამი ჩატარდა. დაქტილოსკოპიამ თითის კვალი ვერ აღმოაჩინა და, სხვათა შორის, რომ არა ლევან ადეიშვილის შინაგანი პატიოსნება (თავად მიუთითა, დანა ჩემიაო) თავისუფლად შეიძლებოდა მტკიცება, რომ დანა მას არ ეკუთვნოდა. კრიმინალისტმა მხოლოდ ის დაადგინა, რომ დანა ამ და ამ ზომის ცივი იარაღია, ბიოლოგმა კი თქვა, დანის ერთ-ერთ ზედაპირზე შერჩენილი ფრაგმენტული ვარდისფერი ლაქები ადამიანის რეზუს დადებითი პირველი ჯგუფის სისხლიაო.

– ფიზიკო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნაში რაღა წერია?

– უფალმა უწყის! დღეს მხოლოდ იმის გარკვევას მოვითხოვ, ეს უმნიშვნელოვანესი ექსპერტიზა ჩატარდა და დასკვნა გაქრა თუ საერთოდ არ ჩატარებულა. არადა, ადეიშვილის უდანაშაულობა ცხადი სწორედ ამ დასკვნით გახდება.

– დასკვნა როგორ უნდა გამქრალიყო?

– მთავარი ის უბედურება კი არაა, რომ საქმეში გამომძიებლის დადგენილებით დანიშნული ფიზიკო-ტექნიკური ექსპერტიზის პასუხი არ დევს, ანუ არ არის დადგენილი, არათუ საქმეში არსებული დანით, არამედ, საერთოდ, რითაა მიყენებული დაზიანებები. უფრო გასაგებად რომ გითხრათ, წარმოიდგინეთ, საქმეში არსებობს კონკრეტული დანა, ამ დროს კი ამავე საქმეში წერია: ,,დაზიანებები მიყენებულია რაიმე მჩხვლეტავ-მჭრელი საგნით“. შესაბამისად, იმის მტკიცებას, რომ მიქაცაძე დაჭრა ადეიშვილმა, საფუძველი არ აქვს. ეს მხოლოდ ეჭვი და ვარაუდია, რაც ნებისმიერ შემთხვევაში, ადეიშვილის სასარგებლოდ უნდა გადაწყვეტილიყო, მაგრამ ქართულმა სასამართლომ, დიდი ბოდიში, კანონიერი განაჩენი ვერ მოგართვითო! აქ საქმე კიდევ სხვა უბედურებასთან გვაქვს: როცა გამქრალი დასკვნა შსს-ს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოდან ოფიციალურად მოვიკითხეთ, 2014 წლის 21 ნოემბერს, შსს ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე გიორგი სახოკიამ გასაოცარი სისულელე მოგვწერა: გამომძიებელ უჩა გოგოლაშვილის დადგენილებით, თურმე, ექსპერტიზა კი დაინიშნა, მაგრამ დასკვნა არ არსებობს, რადგან შსს-ს საექსპერტო დაწესებულებამ თავს უფლება მისცა, თავად გადაეწყვიტა, რომ გამომძიებლის დადგენილებით დანიშნული ექსპერტიზა აღარ ჩაეტარებინა.

– საექსპერტო დაწესებულებას ამის გაკეთება შეეძლო?

– რას ამბობთ?! კანონით, როცა ექსპერტიზა არათუ გამოძიების, დაცვის მხარის ინიციატივით ინიშნება, ექსპერტი ვალდებულია, ექსპერტიზის წინაშე დასმულ ყველა შეკითხვას ამომწურავი პასუხი გასცეს. მეტიც, კვლევის დროს ექსპერტი შესაძლოა, ისეთ საკითხებზეც გავიდეს, რაზეც შეკითხვა დასმული არაა, მაგრამ ამ საკითხების გარკვევა საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას ხელს შეუწყობს. ასეთ დროს ექსპერტს აქვს კანონისმიერი ვალდებულება, დასკვნაში ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რაც სრულყოფილი კვლევისას მისთვის გახდა ცნობილი, სრულად მიუთითოს. თუ შსს-ს ადმინისტრაციიდან ტყუილი არ მომწერეს და ლევან ადეიშვილის უდანაშაულობის მამტკიცებელი დასკვნა დიდუბე-ჩუღურეთის პროკურატურაში ჩადენილი დანაშაულებების დასაფარად არ დამიმალეს, მაშინ მტკიცებაც კი აღარ სჭირდება, რომ საექსპერტო დაწესებულებაში ჩადენილია სხვა დანაშაული, კერძოდ, უფლებამოსილების გადამეტება, რადგან ოფიციალურად მწერენ, ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ექსპერტიზის ჩატარება საჭირო აღარ იყო! შესაძლებელია, ექსპერტმა გადააჭარბა თავის უფლებამოსილებას და ექსპერტიზა აღარ ჩაატარა, მაგრამ ამ დროს გამომძიებელ უჩა გოგოლაშვილს ეძინა?

– შეიძლება, არ ეძინა, მაგრამ გამომძიებელ უჩა გოგოლაშვილს რა უნდა ექნა?

– რა უნდა ექნა და, – უჩა გოგოლაშვილი გამოძიების შედეგების გაყალბებით დაინტერესებული ან უცოდინარი რომ არ ყოფილიყო, როცა დასკვნა არ ჩაბარდა, შსს-ს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში წერილი უნდა გაეგზავნა და განმარტება მოეთხოვა, თუ რატომ გვიანდებოდა მისი დადგენილებით დანიშნული ექსპერტიზის დასკვნის ჩაბარება.

– იქნებ, მოითხოვა?

– თუ მოითხოვა, მაშინ ეს წერილი უნდა იდოს საქმეში. რადგან არ დევს, ესე იგი, უჩა გოგოლაშვილს არც კი მოუკითხავს, მე რომ ექსპერტიზა დავნიშნე და დასკვნა არ გამოგიგზავნიათ, რას შვრებითო. უარესსაც გეტყვით: შექმნილი რეალობის ლოგიკური ანალიზი მაფიქრებინებს, რომ შსს-ს საექსპერტო დაწესებულებამ ჯერ თვითნებობა ჩაიდინა და ექსპერტიზა აღარ ჩაატარა, შემდეგ კი, საჭიროდ არც ის ჩათვალა, ამის შესახებ იმ გამომძიებლისთვის ეცნობებინა, რომელმაც ექსპერტიზა დანიშნა! რადგან საქმეში იმის მსგავსი შინაარსის წერილი არ დევს, რაც შსს-ს ადმინისტრაციამ მომწერა, ვვარაუდობ, რომ ექსპერტიზა, დიახაც, ჩატარდა, მაგრამ დასკვნა გამომძიებელმა უჩა გოგოლაშვილმა აღარ გამოაჩინა, რადგან ადეიშვილის უდანაშაუ-

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲔ-13 ᲒᲕ.

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲔᲜᲘᲜᲡᲞᲔᲥᲪᲘᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ ᲒᲕᲐᲜᲪᲐ ᲒᲕᲘᲛᲠᲐᲫᲔᲡ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲩᲔᲛᲡ ᲡᲐᲩᲘᲕᲐᲠᲖᲔ ᲠᲔᲐᲒᲘᲠᲔᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ, ᲐᲛ ᲮᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲕᲔᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲕᲔᲠᲪ ᲨᲘᲓᲐ, ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲡ ᲧᲣᲠᲛᲘᲚᲘ ᲐᲕᲐᲚᲔᲑᲘᲜᲔ. ᲗᲣ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲯᲔᲠ ᲕᲔᲠ ᲘᲫᲘᲔᲑᲡ, ᲫᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲒᲕᲐᲜᲪᲐ, ᲠᲐᲝᲓᲔᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲑᲠᲫᲐᲜᲓᲔᲑᲝᲓᲔᲡ, ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲖᲔ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲘᲞᲐᲡᲣᲮᲝᲡ, ᲡᲐᲨᲕᲘ ᲓᲐᲣᲨᲕᲐᲡ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲐᲓᲐᲓ ᲐᲛᲘᲮᲡᲜᲐᲡ, ᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐᲡ ᲮᲔᲚᲡ ᲠᲐ ᲣᲨᲚᲘᲡ!“

ᲮᲘᲠᲮᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

11- 17 მარტი 2015

№ 10 (274)

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲬᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ᲮᲐᲚᲮᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲡ ᲘᲗᲮᲝᲕᲡ!

მე-12 გვერდიდან

ლობა მტკიცდებოდა. დღეს კი, როცა ამ ექსპერტიზის დასკვნას დავეძებ, როგორც იტყვიან, „ძაღლი ძაღლის ტყავს არ ხევს“ და დასკვნის დამალვის პროცესში უკვე შსს-ს ადმინისტრაცია ჩაერთო.

– ის, თუ რა მოხდა სინამდვილეში, ვინ უნდა დაადგინოს?

– ლევან ადეიშვილის საქმის გამოძიების დროს ჩადენილი ამ და კიდევ სხვა უამრავი დანაშაულის ფაქტი საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალურმა ინსპექციამ უნდა გამოიძიოს, სადაც ჩემი საჩივარი, როგორც იქნა, დამაგრდა. ჩემი კატეგორიული მოთხოვნის მიუხედავად, საქართველოს მთავარი პროკურატურიდან ეს საჩივარი სამჯერ იმას გაეგზავნა, ვისაც ვუჩიოდი, ანუ დიდუბე-ჩუღურეთის პროკურატურას. რაიონული პროკურორი დავით ნიკოლაშვილი, რომელიც იმ დროს, როდესაც ადეიშვილის საქმეში გაქანებული გაყალბებები ხდებოდა, სხვათა შორის, დიდუბე-ჩუღურეთის პროკურატურაში არ მუშაობდა, ,,მუნდირის ღირსება“, ალბათ, იმით დაიცვა, რომ სამივეჯერ საჩივარი არათუ შეისწავლა, დაუყოვნებლივ სტანდარტული უარი მომწერა, რას ამბობთ, ქალბატონო ელზა, რა მოგჩვენებიათ, ,,მამიდაჩვენი პატიოსანიაო“. ჩემს საჩივარში, პრაქტიკულად, პოლიციელთა და პროკურორთა მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებებია გამოძიებული და ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას, ასევე, დამნაშავეთა დასჯას მხოლოდ ყველა ფაქტობრივი გარემოების გულდასმით შესწავლა სჭირდება. მიუხედავად ამისა, ჩემი საჩივარი წელიწადზე მეტია, გენინსპექციის თაროზე ობდება. საქართველოს მთავარი პროკურატურის გენინსპექციის უფროსის მოადგილე გვანცა გვიმრაძეს, ვისაც ჩემს საჩივარზე რეაგირება აქვს დავალებული, ამ ხნის განმავლობაში ვერც ერთი, მათ შორის, ვერც შიდა, ტელეფონის ყურმილი ავაღებინე. თუ საქმეს ჯერ ვერ იძიებს, ქალბატონი გვანცა, რაოდენ დაკავებულიც უნდა ბრძანდებოდეს, ვალდებულია, ტელეფონზე მაინც მიპასუხოს, საშვი დაუშვას და პირადად ამიხსნას, გამოძიების დაწყებას ხელს რა უშლის!

– გარდა იმისა, რომ ექსპერტიზის დასკვნა გაქრა, კიდევ რა გადაცდომაა ჩადენილი?

– გაყალბებულია გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნაც!

– ამტკიცებენ, რომ გენეტიკური ექსპერტიზის გაყალბება შეუძლებელია...

– გენეტიკური კვლევის შედეგების გაყალბება შესაძლებელია, თუკი ის ბიოლოგიური მასალა გაყალბდება, რაზეც კვლევა ტარდება. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ლევან ადეიშვილის დანაზე, ვიდრე ის გენეტიკურ ექსპერტიზაზე იქნებოდა გაგზავნილი, დაქტილოსკოპიური კვლევა სპეციალურ ღუმელში ციანოაკრილატის ორთქლის გამოყენებითაა ჩატარებული. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ციანოაკრილატი ჩვეულებრივი ,,სუპერ-წებოა“, რომელიც სპეციალურ ღუმელში, მაღალ ტემპერატურაზე ორთქლდება. ამ ღუმელში ათავსებენ გამოსაკვლევ ობიექტს (ამ შემთხვევაში, დანა), რომლის მთელ ზედაპირზეც „სუპერწებოა“ წასმული. გაციების შემდეგ, ამგვარად დამუშავებული საგნის ზედაპირიდან თითის ძველი კვლების ამოღებაც შესაძლებელია. მოკლედ, საქმის მასალებით დასტურდება, რომ გენეტიკურ კვლევაზე გაგზავნილია ადეიშვილის კუთვნილი დანა, რომელსაც ერთი თვის წინ გავლილი აქვს მაღალ ტემპერატურაზე აორთქლებული ციანოაკრილატი. იმის წარმოდგენას, რომ დანის ზედაპირს ეს „სუპერ-წებო“ ისე ჰქონდა გადაკრული, რომ მისი აცლა მხოლოდ აფხეკით იყო შესაძლებელი, დიდი ქიმიკოსობა და ფიზიკოსობა არ სჭირდება. ახლა, მითხარით, როგორ აიღეს ამ დანიდან სისხლის ნიმუში გენეტიკოსებმა იმ დროს, როცა დანაზე არსებული სისხლის კვალი თავიდან ბოლომდე გადაფარული იყო წებოს გამყარებული ფენით?

– ექსპერტი-გენეტიკოსები რას ამბობენ, როგორ ავიღეთო?

– სამხარაულის ექსპერტები – ედიბერიძე და კვიცარიძე ამბობენ, რომ დანიდან სისხლის ნიმუში დაუბრკოლებლად აიღეს, რაც პირდაპირ მიუთითებს, რომ დანაზე, სუპერწებოს ფენის ზემოდან, მალხაზ მიქაცაძის სისხლი სპეციალურად, გენეტიკური კვლევის შედეგების გასაყალბებლადაა წაცხებული. აქ ძალიან საინტერესოა ერთი გარემოებაც: დანა პირველსავე დღეებში ერთდროულად სამმა ექსპერტმა ნახა. ყველამ ერთხმად და პატიოსნად აღწერა, რომ დანის ერთ-ერთ ზედაპირზე იყო ვარდისფერი სისხლისმაგვარი ფრაგმენტული ლაქები. ამის შემდეგ, ეს დანა, სხვა ექსპერტიზას სისხლის კვალი რომ არ დაეზიანებინა, პირველად ბიოლოგმა გამოიკვლია და მივიდა დასკვნამდე, რომ ეს იყო ადამიანის რეზუს დადებითი პირველი ჯგუფის სისხლი. უტყუარად დასტურდება, რომ ბიოლოგს კვლევის დროს არ აუღია ნიმუში შემდგომი (გენეტიკური) კვლევისთვის. სწორედ ამის შემდეგ წავიდა და ჩურჩხელასავით ამოევლო დანა სუპერწებოში, რამაც თუ არ გაანადგურა, წებოს ფენის ქვეშ ნამდვილად მოაქცია სისხლის კვალი. გამოძიება, ალბათ, იმედოვნებდა, რომ მხოლოდ ბიოლოგიური კვლევით (სისხლის ჯგუფის და რეზუსის დადგენით) გავიდოდნენ ლევან ადეიშვილზე. ეს მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებულთაგან მხოლოდ მალხაზ მიქაცაძის სისხლი აღმოჩნდებოდა რეზუს დადებითი პირველი ჯგუფის. საქმეში სამივე დაზარალებული პირის სისხლს აღმოაჩნდა ერთნაირი რეზუს ფაქტორი და ერთნაირივე ჯგუფი. ამასობაში, სავარაუდოდ, ფიზიკო-ტექნიკურმა ექსპერტიზამაც დაადგინა, რომ მძიმედ დაჭრილ მალხაზ მიქაცაძესთან შეხება არ ჰქონია ლევან ადეიშვილს, ამიტომ უდანაშაულო ადეიშვილისთვის დანაშაულის დაბრალება ძალიან თვალშისაცემი რომ არ გამხდარიყო, ,,გენიალური“ რამ მოიფიქრეს: ეს წებოში ამოთხვრილი დანა აიღეს, ზედ დაუნანებლად, უხვად გადაუსვ-გადმოუსვეს მალხაზ მიქაცაძის (რომელიც, საბედნიეროდ, ცოცხალია) სისხლი, ეს ფალსიფიცირებული მტკიცებულება გენეტიკოსებს გაუგზავნეს და ჰკითხეს, თუ ვისი სისხლი იყო დანაზე. გენეტიკოსებმაც დაწერეს, რომ ეს იყო მალხაზ მიქაცაძის სისხლი, მაგრამ ამავე გენეტიკოსებმა თავიანთ დასკვნაში ერთი ფასდაუდებელი ინფორმაციაც ჩაწერეს, რითიც თავისუფლადაა შესაძლებელი, ვამტკიცოთ, რომ დანა, როგორც მტკიცებულება, გაყალბებულია!

– ასეთი რა ჩაწერეს?

– როცა დანა გენეტიკურ ექსპერტიზას ჩაბარდა, სისხლი დანის მხოლოდ ერთ კი არა, ორივე ზედაპირსა და ტარზეც დაფიქსირდა, თანაც ეს სისხლი, ადრინდელის მსგავსად, „ფრაგმენტული ლაქების“ კი არ იყო, არამედ, – ,,ერთიანი წანაცხის“, სახით. დანაზე ეს უდიდესი განსხვავება დაინახეს და აღწერეს ექსპერტმა-გენეტიკოსებმა, რაც პირდაპირ მიუთითებს, რომ დანაზე სისხლი წაცხებულია მას შემდეგ, რაც დანას პირველი კვლევები ჩაუტარდა. ახლა მხოლოდ და მხოლოდ გამოძიების, ანუ გენინსპექციის დასადგენია, ვინ წაუსვა მალხაზ მიქაცაძის სისხლი ლევან ადეიშვილის დანას და ვინ ცდილობს ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფ დაზარალებულს თავგზა აუბნიოს, დამალოს ნამდვილი დამნაშავე და აფიქრებინოს, რომ იმ ოცკაციან ჩხუბში მონაწილეთაგან ყველა წმინდანია და ფრთები ამოსდის, ლევან ადეიშვილი კი, რომლისთვისაც საქმის წარმოების არც ერთ ეტაპზე ხელი არავის დაუდია, რადგან არავის დაუნახავს ადეიშვილს დანა, არათუ მალხაზ მიქაცაძისთვის, საერთოდ ვინმესთვის დაერტყას, დამნაშავეა...

– გამოძიებასა და პროკურატურას ყველაფრის ლევან ადეიშვილისთვის გადაბრალება რატომ დასჭირდა?

– ძნელი დასამტკიცებელია, რატომ გადაწყვიტეს, ერთის მხრივ, მეგობრებმა, ვინც სიმართლე ყველაზე კარგად იცის და, მეორეს მხრივ, სამართალდამცავებმა, ლევან ადეიშვილისგან შეექმნათ ,,მონსტრი“. ლევან ადეიშვილი ხუმრობით ამბობს ხოლმე, მგონი, ჩემი ხმაურიანი გვარის გამო ვისჯებიო. ვფიქრობ, გამოძიებას, ან პროკურატურას (ან ორივეს ერთად) დასაფარი ჰყავდა რეალური, პატრონიანი დამნაშავე და საამისოდ მოსახერხებელი იყო, უპატრონო ლევან ადეიშვილისთვის საპროცესო შეთანხმების დაპირებით დაეცინცლათ ე.წ. ,,აღიარებითი ჩვენებები“. ის ძვირფასი დრო, რაც წინასწარ გამოძიებაში დაცვისთვის აუცილებელი მტკიცებულებების მოპოვებას უნდა მოხმარებოდა, ლევან ადეიშვილს ამ ტყუილ დაპირებებში გააყვანინეს და ბოლოს, „პენალტი ,დაურტყეს“, სწორედ ამიტომაა უპერსპექტივო ეს საქმე სტრასბურგში: ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ვერ აუხსნი, რას ნიშნავს, საპროცესო გარიგებით ,,დაბოლებული“ ბრალდებული, პროკურატურის გაღიზიანებას მოერიდოს და მხოლოდ ამიტომ არ გამოიყენოს მისთვის კანონით მინიჭებული უფლებები – არ მოიპოვოს დაცვისთვის საჭირო მტკიცებულებები. წარმოუდგენელია, ევროსასამართლოში ამტკიცო, რომ პროკურატურა ბრალდებულს, უსიტყვო მორჩილების სანაცვლოდ, საპროცესო შეთანხმებას ჰპირდებოდა და ბოლოს, მოატყუა.

– მოკლედ, ლევან ადეიშვილის საშველი არაა?

– არის და ეს იმ დანაშაულებების ობიექტურად და დროულად გამოძიებაა, რაც ლევან ადეიშვილის მიმართ ჩაიდინა დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციამ და პროკურატურამ! თუ მთავარი პროკურატურის გენინსპექციამ ჩემს საჩივარზე, ადრე თუ გვიან, ნორმალური რეაგირება მოახდინა, დარწმუნებული ვარ, მალე გაირკვევა, ლევან ადეიშვილი ციხეში, უკანონოდ, ათი წლით ვინ და როგორ გამოამწყვდია. ასეთ შემთხვევაში, სახეზე იქნება ახალი გარემოება, რაც სააპელაციო სასამართლოს ავალდებულებს, განიხილოს ლევან ადეიშვილის შუამდგომლობა გამამტყუნებელი განაჩენის გამამართლებელი განაჩენით შეცვლასთან დაკავშირებით.

– ელზა, არაერთხელ აღნიშნეთ, რომ ლევან ადეიშვილის საჩივარი ადგილიდან არ იძვრის, ანუ რა გამოდის: ახალი ხელისუფლების დროსაც ისევ უხეშად ილახება ადამიანის უფლებები და სამართლიანობის აღდგენის დაპირება ბლეფია?

– ლევან ადეიშვილის საქმეზე ამდენი და ასე დაწვრილებით იმიტომ ვილაპარაკე, რომ ეს საქმე ერთგვარი ტესტია, თუ როგორ მოექცა ახალ რეალობაში გამოძიება ერთ რიგით უდანაშაულო და უპატრონო ადამიანს პროკურატურა, ექსპერტიზა და სასამართლო, ანუ ყველა ის უწყება, ვინც სამართალს პური უნდა აჭამოს. თუ გენინსპექცია ამ საქმეს წესიერად არ გამოიძიებს და დამნაშავე თანამდებობის პირები არ დაისჯებიან, შემიძლია ვთქვა, რომ ,,ცოცხების პერიოდიდან“ დღემდე საქართველოში, სამართლიანობის დაცვის და კანონის უზენაესობის მიმართულებით, არაფერი შეცვლილა, უბრალოდ, ადამიანზე ძალადობის მეთოდები დაიხვეწა და ჩვენ მუდმივად მბრუნავ რგოლში ციყვებივით ვართ მომწყვდეულები. ვიბრძვით, ენერგიას და ნერვებს ვხარჯავთ, უკანონობას ვასაჩივრებთ, პრესაც გამუდმებით ლაპარაკობს, მაგრამ რეალურად, ერთ ადგილას ვტრიალებთ და ამ ადგილს უსამართლო ქვეყანა ჰქვია! გარწმუნებთ და გამოცდილებაც გვიჩვენებს, რომ ხალხი ასეთ უსამართლობებს ძალიან დიდხანს ვერ ითმენს!

ესაუბრა მარიკა კახაძე

14 № 10 (274) 11- 17 მარტი 2015

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲢᲚᲘᲐ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲝ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ

ᲛᲔ-10 ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

დროზე დაადასტურა. პოლიტიკურმა პირებმა იციან, რომ სახელისუფლო სივრცე – სამინისტროები, უწყებები, ავად თუ კარგად, ასოცირების ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე მუშაობენ. სხვა დანარჩენი პოლიტიკური სპეკულაციის საგანია. ადრე პოლიტიკური სპეკულაციის საგანი იყო თემა – „ვინ დაგვაბრუნებინებს აფხაზეთს, რომელსაც ისეთი შედეგები მოაყოლეს, რომ საზოგადოება სკეფცისიზმითაა გამსჭვალული. ახლა კი, პოლიტიკური ორიენტაციის თემით ცდილობენ, ოპოვონ ნიშა, რომლითაც მოსახლეობას მთავარი სპეკულაციის თემებს შესთავაზებენ.

– ქვეყანაში თითქოს პოლიტიკური სიცარიელეა: „ნაციონალები“ არ გვინდა, „ოცნება“ არ მოგვწონს. პარტიების, მიტინგებისა და ხმაურის გარეშე როგორ ვიცხოვროთ?

– ჩვენ ჩვეულებრივი საზოგადოებრივი კრიზისი გვაქვს, რაც იმითაა გამოწვეული, რომ ჩვენ ვართ საზოგადოება, რომელიც წლების განმავლობაში არჩევანს ვაკეთებდით და რამდენიმე ხნის მერე, ჩვენვე ვუპირისპირდებოდით. როგორც ჩანს, არასწორი კრიტერიუმებით ვსაზღვრავთ და წინ იმ პროდუქტს ვწევთ, რომელიც მერე არ მოგვწონს. პოლიტიკურ სუბიექტებს, რომლებიც მმართველებად მოდიან, ამა თუ იმ პასუხისმგებლობას ავკიდებთ, რომლის ატანაც არ შეუძლიათ: ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლის მეორე დღესვე, ხალხი გაორმაგებულ პენსიას ელოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებას არჩევანის გაკეთება გვიჭირს, თანამედროვე რეალობაში ნაკლებად ადაპტირებულნი ვართ, ან პოლიტიკური სუბიექტები მაგრად გვატყუებენ და ჩვენი ნდობით სარგებლობენ. იმედებით გამოკვება განსაკუთრებით ქარიზმატულ პირებს შეუძლიათ – ეს ეფექტურია. წინა ხელისუფლება დიქტატორული მართვის მეთოდებზე გადავიდა, რითიც ბევრად უარესი საზოგადოებრივი უნდობლობა მიიღო. პირადად ჩემთვის, დიქტატის ქვეშ ცხოვრება უფრო ძნელია, ვიდრე – გაფუჭებული გზის შემთხვევაში.

– განსხვავებული აზრის არათუ გაზიარება, მოსმენა დღევანდელ ჩინოსნებსაც უჭირთ...

– დღეს საზოგადოებას აზრის გამოთქმის სრული თავისუფლება აქვს – ყველა უსაფრთხოდ ლაპარაკობს, კრიტიკის გამო პრობლემა არავის ექმნება. მეც ამ საზოგადოების წევრი ვარ და მეც მიჭირს განსხვავებული აზრის მოსმენა, ატანა, მიღება. ხშირად ვხედავთ ტელეეკრანებზე დაპირისპირებულ ადამიანებს – როცა კონკრეტულ მხარეს შინაარსის მიცემა არ შეუძლია, დემაგოგიასა და დესტრუქციას მიმართავს ხოლმე. განსხვავებული აზრის მქონენი მტრად მიგვაჩნია, ამიტომ, საკუთარი თავის დაცვას ვცდილობთ, რაც ანომალიურ უკუკავშირში გადადის.

– ხელისუფლებამ, კოჰაბიტაციის გამოცხადებით, მიგვანიშნა, რომ მტრულად მიჩნეული ძალაც უნდა ავიტანოთ...

– კოჰაბიტაცია თანამმართველობის რეჟიმს გულისხმობს. 2012 წელს ახალი ხელისუფლება მოვიდა, მაგრამ მთელი რიგი ინსტიტუციები ძველი ხელისუფლების მმართველობის ქვეშ დარჩა. ახლახანს ვადა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ამოეწურა. ჯერ კიდევ დღემდე რჩება ეროვნული ბანკის პრეზიდენტი. კოჰაბიტაციისგან თავის დაღწევის გზა ისაა, რომ თანამმართველობა მთლიანად შეცვალო. ეს მიხეილ სააკაშვილმა გააკეთა – ძველი სახელმწიფო მოხელეები ყველა უწყებაში ახლით შეცვალა. დღევანდელ ხელისუფლებას კი, კოჰაბიტაციური, კოალიციური მმართველობის გამოცდილება არ ჰქონდა.

– არჩილ, საზოგადოება ამ დღეებში ფოტორეპორტიორ ირაკლი გედენიძეზე განხორციელებულმა ძალადობამ შეაშფოთა...

– ეს ის მავნე გამოცდილებაა, რაც პოლიტიკურ პარტიებს აქვთ. შევეჩვიეთ და საქმე ახლაც იქითკენ მიდის, რომ ,,შევარდნები“ და ,გამოძევებები“ ისევ აქტუალურია. საქართველოში პროცესებს დესტრუქციული ძალები მართავდნენ, ამ მხრივ უნდა გამოვარჩოთ ის პერიოდი, როცა ბიძინა ივანიშვილმა ოცი წუთით შეკრიბა ხალხი, რაღაცა უთხრა და მასა უხმოდ დაიშალა. არ ყოფილა მოწოდებები: „შენობა ავიღოთ, დავანგრიოთ!“ ასეთ აქციებზე პოლიტიკურ სუბიექტებს სურთ, თავი გამოიჩინონ – ფიქრობენ, რაც მეტი დესტრუქცია ექნებათ და ვინც პირველი შევარდება, დაფასებულიც ის იქნება. დესტრუქცია, საბოლოოდ, ძალადობისკენ მოწოდებას უტოლდება. სხვაგვარად როგორ შევაფასოთ ,,ნაციონალების“ მოწოდება, 21 მარტს ერთად შევცვალოთ ხელისუფლებაო?! ეს ხომ კანონიერი სივრციდან გასვლას და ძალადობრივი გზით ცვლილებების წახალისებას ნიშნავს, არა? კანონიერი გზა არჩევნებია და არა – ქუჩის აქცია და ძალადობა.

– ისევ გადაცემას დავუბრუნდეთ, როგორი ანალიტიკოსი იქნება არჩილ გამზარდია „20.30“-ში?

– უპირველეს ყოვლისა, როგორც კომუნიკაციების მართვის სპეციალისტი, მიმდინარე პროცესებში საკუთარ საზოგადოებას დარგობრივი კუთხიდან შევაფასებ. რეალობას ვიკვლევ, სათანადო სამუშაოებს ვატარებ, ვაჯამებ... არ მჯერა, რომ საქართველოში უმაღლესი კლასის სპეციალისტები არიან. თავადაც საშუალო შეფასების ანალიტიკოსი ვარ. ბევრი რამ მაქვს შესასწავლი, ვფიქრობ, განვითარების რეჟიმში ვარ...

– ტელევიზია ის ინსტიტუტია, რომელიც საზოგადოებრივ აზრს წარმართავს. არჩილ, როგორი უნდა იყოს „20.30“, რას შეცვლის ტელესივრცეში?

– პირველ რიგში, აქცენტს ისევ პირობითობაზე ვაკეთებ: თუკი GDS-თან ვითანამშრომლებ, ანალიზს ჩვეულ რანგში გავაგრძელებ... არც ჩინოვნიკი ვხდები, არც – რომელიმე მხარის წარმომადგენელი. ახლაც, როცა თქვენს შეკითხვებს ვპასუხობ, საზოგადოებას ვესაუბრები. გადაცემა „20.30“ კი, საზოგადოებასთან ურთიერთობის დამატებით საშუალებას მომცემს – წამყვანი, ანალიტიკოსის ამპლუაში, მაყურებელთან ერთად, ისევე ვისაუბრებ, როგორც სხვადასხვა ფორმატში – პრესაში, სოციალურ ქსელსა თუ სატელევიზიო დებატებში დღეს ვსაუბრობ.

– წარმატებებს გისურვებთ!

ესაუბრა ნათია გოგიტიძე

ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ

„ᲐᲛᲝᲧᲘᲠᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲯᲕᲐᲠᲘ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲡᲐᲢᲐᲜᲘᲡᲢᲣᲠ ᲛᲘᲓᲠᲔᲙᲘᲚᲔᲑᲔᲑᲖᲔ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲡ!“ – ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ „ᲡᲐᲢᲐᲜᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲖᲔ“

რამდენიმე დღის წინ, პოლიტიკური გაერთიანება,,რეფორმატორების“ აღმასრულებელმა მდივანმა ნინო ჩარკვიანმა ფრიად შემაშფოთებელი განცხადება გააკეთა: „ბოლო ერთი თვის განმავლობაში, დუშეთში სატანისტურ სექტას 2 ბავშვის სიცოცხლე ემსხვერპლა“. მისივე თქმით, მოზარდები სხვა თანატოლებისგან გარეგნულადაც გამოირჩევიან – სხეულზე ამოსვირინგებული აქვთ ამოყირავებული ჯვარი წარწერით: „სიძულვილი“. ამ სექტის წარმომადგენლები რიტუალებს ღამით, სასაფლაოზე ატარებენ – აქამდე ცხოველებს თავებს აჭრიდნენ, ახლა კი მდგომარეობა ბევრად მძიმეა და სექტას უკვე მოზარდები ეწირებიან“. ნინო ჩარკვიანმა შსს მინისტრს აღნიშნული საქმის პირად კონტროლზე აყვანა, საპატრიარქოსა და ბავშვთა უფლებათა დაცვის ორგანიზაციებს კი, აღნიშნული საკითხით დაინტერესება და დახმარება სთხოვა.

ᲠᲐᲛᲓᲔᲜ ᲯᲒᲣᲤᲐᲓ ᲘᲧᲝᲤᲘᲐᲜ, ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲢᲐᲠᲔᲑᲔᲜ ᲠᲘᲢᲣᲐᲚᲔᲑᲡ ᲡᲐᲡᲐᲤᲚᲐᲝᲖᲔ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲘᲠᲩᲔᲕᲔᲜ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲡ ᲡᲐᲢᲐᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ

ნინო ჩარკვიანი: – დუშეთში სატანისტური სექტის შესახებ ინფორმაცია ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციისგან შევიტყვე, რომელიც ათი წელია, რეგიონში მუშაობს. ამ ძალიან ბევრი სასიკეთო საქმის გამკეთებელ ორგანიზაციაში იმდენად ღირსეული ადამიანები არიან, რომ მათ საქმიანობაში საეჭვო პატარა დეტალიც არაა და ეს ინფორმაცია ჩემთვის მნიშვნელოვანი ამიტომაც გახდა.

– ამ ორგანიზაციის წევრებმა ინფორმაცია როგორ მოიპოვეს?

– ამ ინფორმაციის გამხელის ყველას ეშინოდა. ორგანიზაციის წევრების უსაფრთხოების მიზნით, მათ ვინაობას არ გავამხელ – კონფიდენციალობა დაცული უნდა იყოს, თუმცა ამის შესახებ პროკურატურას უკვე ვაცნობე.

– როგორც ვიცი, მოსახლეობასაც შეხვდით. დუშელები რას ამბობენ?

– იმას, რომ სატანური რიტუალები ღამით, სასაფლაოებზე ტარდება და უცნაურად ჩაცმული ბავშვები დადიან, რომელთაც ამობრუნებული ჯვრის გამოსახულება და წარწერა – ,,სიძულვილი“ აქვთ ამოსვირინგებული. გადავწყვიტეთ, ეს ფაქტები საშკარაოზე გამოგვეტანა. გვინდა, არასრულწლოვანთა სიცოცხლე დავიცვათ, მაგრამ ამბის გახმაურებისთანავე ისეთი მუქარა წამოვიდა, რომ საფრთხე საკუთარ ოჯახსაც შევუქმენი.

– მუქარა ვისგან წამოვიდა?

– სატელეფონო საუბარში ზოგი სახელგვარს ამბობდა – როგორც ჩანს, ოჯახის ახლობლები და წევრები იყვნენ. ანონიმური ზარებიც იყო. ირაკლი ღლონტს კი, პირდაპირ სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდნენ.

– თქვენი აზრით, ეს აგრესია რამ გამოიწვია,?

– პრესკონფერენციის მერე, მედიასა და სოციალურ ქსელებში უცნაური სათაურები და ინტერპრეტაციები გაჩნდა. ორივე ბავშვის ოჯახის ახლობლები, სატელეფონო საუბრისას, ჩვენგან მოითხოვდნენ, რომ საზოგადოებისთვის ბოდიში მოგვეხადა და გვეთქვა, რომ ყველაფერი მოგონილია. ჩვენი მიზანი ჭორებისა და სკანდალის გავრცელება კი არა, ჩვენი შვილებისთვის ხიფათის აცილებაა: თუკი მსგავსი ფაქტები არ გასაჯაროვდება, არავინ იცის, ხვალ ვის რა ელის. გვინდოდა, გაგვეგო, საიდან მოხვდა ბავშვების ხელში მიუწვდომელი ნივთიერ-

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲔ-15 ᲒᲕ.

ᲮᲘᲠᲘᲡᲛᲔᲠᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

11- 17 ᲛᲐᲠᲢᲘ 2015

№ 10 (274)

15

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲜᲔᲠᲝᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ

ება კალიუმის ციანიდი – ერთ-ერთი მოზარდი იაშვილის სახელობის კლინიკაში გარდაიცვალა და გარდაცვალების მიზეზიც სწორედ იქ დაადგინეს. მანამდე სრულიად ჯანმრთელი, საღსალამათი ახალგაზრდა, რომლის ცხოვრების წესიც ეჭვს არ ბადებდა, მოულოდნელად გარდაიცვალა. გარდაცვალებასთან დაკავშირებით საექსპერტო დასკვნა 13 მარტს გახდება ცნობილი. ბავშვებს ერთმანეთთან რაღაც აკავშირებდათ, თუ რა, ამ შეკითხვას პასუხს გამოძიება გასცემს.

– ნინო, თქვით, რომ სექტაში შთამბეჭდავი რაოდენობის ბავშვია გაერთიანებული...

– როგორც გვითხრეს, სექტაში ორმოცდაათამდე ბავშვია გაერთიანებული, მათ უკან, ალბათ, ზრდასრული ადამიანები დგანან, ვინც ტვინს ურეკავს მათ. იმედია, სათანადო ორგანოები მოკლე დროში დაადგენენ, ვინ დგას ბავშვების ზურგს უკან. ასევე, გასარკვევია, რატომაა მათთვის ხელმისაწვდომი ქიმიური ნივთიერება, რომელიც მხოლოდ ლაბორატორიებში მოიძებნება. ჯგუფის უკან, აშკარად, ვიღაცები დგანან, რომლებიც ბავშვების ოჯახურ მდგომარეობას, მათ სულიერ განწყობას და ფსიქოლოგიას წინასწარ სწავლობენ. ბავშვების უმრავლესობა გარდატეხის ასაკშია – ამ დროს მოზარდის ფორმირების რთული პერიოდი მიმდინარეობს.

აქვე აღვნიშნავ, რომ ზემოხსენებული არასამთავრობო ორგანიზაცია კარგა ხანია, ინფორმაციას ფლობს და ცდილობდა, პრობლემას საკუთარი ძალებით გამკლავებოდა – სასწავლო დაწესებულებებში ეკლესიური ლიტერატურა შეჰქონდა და ბავშვების სხვადასხვა ღონისძიებაში ჩართვას ცდილობდა.

– აღნიშნულ ფაქტებზე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები რას ამბობენ?

– დუშეთის გამგებელმა ასეთი კომენტარი გააკეთა, ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში მსგავსი ორგანიზაციის საქმიანობა არ ფიქსირდებაო და ეს მაშინ, როცა სექტის არსებობას არქიმანდრიტი თადეოზი ადასტურებდა.

– თუკი იცოდნენ, რა ხდებოდა, ქმედით ღონისძიებებს რატომ არ მიმართეს?

– პროცესების ასეთ გამწვავებას, ალბათ, არავინ ელოდა.

– სატანისტების ორგანიზაციით სამართალდამცავები უკვე დაინტერესდნენ?

– მას მერე, რაც განცხადება გავავრცელე, პროკურატურის მხრიდან მყისიერი რეაქცია იყო. მოზარდის გარდაცვალების გამო, პოლიციამ საქმე თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით აღძრა და სექტის საიდუმლო ჯგუფის საქმიანობის შესწავლა დაიწყო. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ჩემთვის ცნობილი ბევრი ინფორმაციის გავრცელებისგან თავს ვიკავებ. საქმე საჩქაროდ გამოსაძიებელია, რადგან ამ ამბების გახმოვანების შემდეგ ითქვა, რომ 14 წლის ბიჭი ბიონარკოტიკის ზემოქმედების შედეგად გარდაიცვალა.

– ეს ზუსტი ინფორმაციაა?

– ამის გარკვევა საგამოძიებო ორგანოებს მივანდოთ.

– ნინო, ,,რეფორმატორებმა“ ეს თემა საზოგადოების ყურადღების მისაპყრობად ხელოვნურად ხომ არ წამოსწიეთ?

– უამრავი სოციალური თემაა, რომელზე აპელირებითაც პარტიას პოპულარობის მოპოვება შეუძლია, მაგრამ სკანდალებზე ორიენტირებულნი არ ვართ. ნებისმიერი სკანდალი უფრო მარტივი იქნებოდა, ვიდრე – დაღუპული ბავშვების მშობლების სატელეფონო ზარები. პოლიტიკასთან ამას საერთო არაფერი აქვს. ჩვენი განზრახვა და განწყობა გულწრფელია – არ დავუშვათ მსგავსი ორგანიზაციების არეალის გაფართოება.

– ნინო, „რეფორმატორებმა“, ყოფილი პრემიერის რეზიდენციასთან, სხვა რამდენიმე პარტიასთან ერთად, აქცია ,,შემოულაწუნე“ გამართეთ, სადაც ფოტორეპორტიორი ირაკლი გედენიძე სცემეს. მიტინგებითა და საყოველთაო გამოსვლებისგან დაღლილ მოსახლეობას პარტიების მესვეურებმა არადემოკრატიულობა და ძალადობა აჩვენეს. ამ ინციდენტზე თქვენი პარტია პასუხ-

„კატა უწმინდურ ცხოველად აღიქმებოდა. ქრისტესადმი თავდადების ნიშნად, ზვარაკად ცხვარი შეიწირებოდა, შემდგომ ის ადამიანთა საკვებადაც გამოიყენებოდა. ცხვარი „დაიკვლოდა“ და არა „მოიკვლოდა“ .სატანასთან მაგიური კავშირის დამყარების მოსურნენი, უწმინდურ ცხოველს, კატას სწირავენ არა ღმერთს, არამედ, – სატანას, რომელიც რელიგიურ პიროვნებად არ ითვლება. პირველი ქრისტიანები მხოლოდ წმინდა ნაწილებზე ატარებდნენ რიტუალებს, სატანისტები კი, ჩვეულებრივ მოკვდავ ცოდვილთა საფლავებზე იკრიბებიან და უწმინდურ ცხოველებს ხოცავენ. მათთვის სასაფლაო, ვითომ საიქიო ცხოვრების სულიერი გარემოა. მათი რიტუალები ზოგჯერ არაქრისტიანულად გაფორმებულ საფლავებზე ტარდება და ამით ქრისტეს მიმართ დაცინვას გამოხატავენ“.

ისმგებლობას იღებს?

– აქციის მიზანი იყო, რომ ბიძინა ივანიშვილისთვის დანაპირები, რის წყალობითაც ,,ქართული ოცნება“ ქვეყნის სათავეში მოვიდა, კიდევ ერთხელ შეგვეხსენებინა და ის, რაც აქციაზე მოხდა, შემაძრწუნებელია. როცა ,,რეფორმატორები“ ადგილზე მივედით, ინციდენტი უკვე დასრულებული იყო. მოგვიანებით, როგორც აღმოჩნდა, მოძალადეები პარტია ,,თავისუფალი საქართველოს“ წევრი და მისი შვილი იყვნენ. მსგავსი რამ ჩვენი პარტიის წევრის შემთხვევაში რომ მომხდარიყო, აუცილებლად პარტიიდან გავრიცხავდით. მიგვაჩნია, რომ მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ მსგავს სიტუაციებს.

სატანისტების თემაზე „ქართული სიტყვა“ დეკანოზს, თეოლოგ მამა იაკობ ჩიჩილიძესაც ესაუბრა.

– მამა იაკობ, ვინ არის სატანა და რა არის სატანიზმი?

– ,,სატანა“ ებრაული სიტყვაა და მოწინააღმდეგეს, დამბრკოლებელს ნიშნავს. ბიბლიაში ეს სიტყვა ეშმაკთა მთავრის, ან იმის საკუთარი სახელია, ვინც პირველი ღვთისგან განდგა – უარი თქვა საღმრთო სიყვარულზე და თავი წარიწყმიდა. შესაბამისად, სატანიზმი ეშმაკის თაყვანისცემა, მსახურება და მისი მიმდევრობაა. ისინი, ვინც თავს სატანისტებს უწოდებენ, ორ ჯგუფად – სატანასთან მაგიურ-სარწმუნოებრივი კავშირის დამყარების მოსურნე და ფილოსოფიურ მსოფლმხედველობრივ სატანისტებად იყოფიან.

პირველთ სწამთ, რომ სატანა რეალური სული, პიროვნება და მათი კეთილისმყოფელი, მონობიდან დამხსნელია. მას მაგიურ, ბილწ რიტუალებში ეთაყვანებიან და მსხვერპლს სწირავენ (მათ შორის, სისხლიანს). მეორე ჯგუფის სატანისტებს არ სწამთ, რომ სატანა რეალური სულია, მათთვის ის მხოლოდ თავისუფლებისა და სულიერი ძლიერების სიმბოლოა, ისინი თავს სატანისტებს უწოდებენ, როგორც ქრისტიანული მსოფლმხედველობისა და მორალისადმი მოწინააღმდეგენი და დაპირისპირებულნი. სისხლიან მსხვერპლთა შეწირვის გარდა, მოზარდებსა და ჭეშმარიტი რწმენით შეუჯავშნელ საზოგადოებაზე ზეგავლენას არანაკლები ზნეობრივი გამხრწნელობით ახდენენ.

დღეს მსოფლიოში ყველაზე ცნობილი სატანისტური ორგანიზაცია ე.წ. სატანის ეკლესიაა, რომელიც 1966 წელს, ამერიკის შეერთებულ შტატებში ენტონ ლავემ დააარსა. ეს პირველი ოფიციალურად დარეგისტრირებული სატანისტური იდეოლოგიის მქონე ორგანიზაციაა. 1978 წლიდან, იქ სატანიზმი ოფიციალურად აღიარებულ რელიგიათა რეესტრშია შეტანილი. „სატანის ეკლესია“ განეკუთვნება სატანისტების მეორე „არააგრესიულ“, ფილოსოფიურ მსოფლმხედველობრივი სატანიზმის ჯგუფს.

– მსგავსი ორგანიზაცია საქართველოშიც არსებობს და თუ არსებობს, მისი წევრები ვინ არიან?

– საქართველოში სატანისტური სექტები დარეგისტრირებულნი არ არიან, ამ თემასთან მიმართებაში არც რაიმე სახის სტატისტიკა გვაქვს. ალბათ, წარსულშიც ფარულად მოქმედებდნენ. ეს უფრო სუბკულტურაა, ბავშვების გატაცება...

– სატანიზმი კაცობრიობას მოსდგამსო, ამბობთ...

– სატანას უპირატეს დაცემულ სულთაგანს – ანგელოზს უწოდებენ. სატანისტურ მოძრაობებს დიდი ხნის ისტორია აქვთ. ერთი მამისგან მოვდივართ, მაგრამ ადამიანებს სამოთხიდან გამოდევნის შემდეგ, განსხვავებული რელიგიური მსოფლმხედველობები ჩამოგვიყალიბდა. სატანა ცრუ რელიგიური ხაზიდან მოდის, რომლის არსებობაც ადამიანთა ღვთისადმი უმადურებამ განაპირობა, რამაც ადამიანებში თვითკმაყოფილება, საკუთარი თავით ტკბობა გაჩინა. თეზა – ,,ვიქნები, ვითარცა ღმერთი“ არასწორია. მართალია, ყველა ქმნილება ღმერთია, მაგრამ ღმერთის გარეშე ღმერთად ყოფნა ამპარტავნებას უტოლდება. უმადურებამ და ამპარტავნებამ სატანიზმისადმი მიდრეკილება გააჩინა. მას ღვთისადმი დაცინვა, წაბაძვა, საღვთო პატივის საკუთარ თავზე მიღება ახასიათებს. კაცობრიობის მიდრეკილება ბოროტი საწყისისადმი, ცრუ რწმენასა და სიკეთის უარყოფისადმი სწორედ სატანიზმში გამოვლინდა. ბოროტება სიკეთის უარყოფაა. ბოროტ ძალას ყოველთვის სურდა, საკუთარი თავი ღვთის თანაფარდად წარმოეჩინა. ცრუ რელიგიური მოძღვრებები, პრაქტიკულად, სატანისტური მოძღვრებები იყო.

– ცხოველების მსხვერპლშეწირვა ხომ ჭეშმარიტ რელიგიებსაც ახასიათებთ?

– ძველი აღთქმის რელიგიებს, მათ შორის, იუდაიზმს ახასიათებდა ცხოველთა მსხვერპლთშეწირვა, მაგრამ ადამიანის მსხვერპლად შეწირვა ღვთისადმი თავის შეწირვასა და მონოზნობაში გამოიხატებოდა.

– ადრე კატა იმ წმინდა ცხოველად თუ ითვლებოდა, რომელსაც უფალს წირავდნენ?

– არა, კატა უწმინდურ ცხოველად აღიქმებოდა. ქრისტესადმი თავდადების ნიშნად, ზვარაკად ცხვარი შეიწირებოდა, შემდგომ ის ადამიანთა საკვებადაც გამოიყენებოდა. ცხვარი ,,დაიკვლოდა“ და არა ,,მოიკვლოდა“ .სატანასთან მაგიური კავშირის დამყარების მოსურნენი, უწმინდურ ცხოველს, კატას სწირავენ არა ღმერთს, არამედ, – სატანას, რომელიც რელიგიურ პიროვნებად არ ითვლება. პირველი ქრისტიანები მხოლოდ წმინდა ნაწილებზე ატარებდნენ რიტუალებს, სატანისტები კი, ჩვეულებრივ მოკვდავ ცოდვილთა საფლავებზე იკრიბებიან და უწმინდურ ცხოველებს ხოცავენ. მათთვის სასაფლაო, ვითომ საიქიო ცხოვრების სულიერი გარემოა. მათი რიტუალები ზოგჯერ არაქრისტიანულად გაფორმებულ საფლავებზე ტარდება და ამით ქრისტეს მიმართ დაცინვას გამოხატავენ.

– სატანისტობა დამღაა?

– ეს ადამიანები სატანისტებად ხომ არ დაბადებულან? შეცდენილებზე პარაზიტირებას ეშმაკისეული ძალები ახდენენ, მოწამლულები არიან, მაგრამ ისინიც ვიღაცის შვილები არიან, მათაც უნდა გავუგოთ, შევუნდოთ, დავეხმაროთ. ამოყირავებული ჯვარი და რაღაც წარწერიანი სვირინგები პირდაპირ სატანისტურ მიდრეკილებებზე მიუთითებს. უპირისპირდებიან რა ქრისტიანობას, სატანის მიმდევრებმა ვერ გაიგეს, რა არის ჭეშმარიტი რწმენა, რადგან ეკლესიისგან შორს არიან.

სატანისტების ხელში გარდატეხის ასაკში მყოფი მოზარდები ხვდებიან. სატანისტები ცინიკურად მოქმედებენ, მათთვის მიზანი საშუალებას ამართლებს. ბოროტი ძალა დაასნებოვნებს ხოლმე ადამიანს, რომელიც შემდეგში მისი იდეების გამავრცელებელი უნდა გახდეს. თუკი ამას ვერ აღწევენ, ურჩევნიათ, ადამიანი სასოწარკვეთილებამდე მიიყვანონ და მოკლან. ხშირად ეს თვითმკვლელობის გზაა.

– როგორ ვიხსნათ ბავშვები ასეთი მავნე გავლენისგან? როგორ დავაღწიოთ თავი სატანას?

– ამ ასაკში მათ პროტესტის გრძნობა გამძაფრებული აქვთ, ფაქიზი მიდგომაა საჭირო, მათ პიროვნულ თვისებებს, თავმოყვარეობას არ უნდა შევეხოთ. ვიდრე ბავშვები პატარები არიან, დიდები მათგან მორჩილებას ეჩვევიან, დრო გადის და მშობლები ვერ აცნობიერებენ, რომ შვილი გაიზარდა, დიქტატს ვეღარ შეეგუება. ზოგჯერ, მშობელთან გაუცხოების მერე, ბავშვი ჩუმჩუმელა ხდება, მშობელს საკუთარ მიდრეკილებებს უმალავს და თავისუფლების წყურვილს თავად იკმაყოფილებს. მშობელზე გულაცრუებული შვილი ხშირად მოძღვარს მიმართავს და ნუგეშს მისგან იღებს. როცა უარყოფითი ენერგია აკუმულირდება, ბავშვებს წინააღმდეგობის გაწევა უჭირთ, ასეთ დროს განტვირთვა მხოლოდ სწორი გზით სიარულს შეუძლია. მათ ცოდნა უნდა მივცეთ. დღეს ინტერნეტსივრცე გახსნილია და ბავშვებს ათასგვარ პროდუქტს სთავაზობენ, განსაკუთრებით პოპულარულია ფილმები, მუსიკა მაქციებზე, ვამპირებზე, ათასნაირ ეშმაკეულ ძალაზე. ყველაფერი ეს ბავშვის ფსიქიკაზე სხვადასხვანაირ გავლენას ახდენს. თუკი ბავშვებს მავნე ბაქტერიებისგან აცრას ვუტარებთ, რატომ არ ვცდილობთ, მავნე გარემოსგანაც ავცრათ? გგონიათ, რომ გარემო ბაქტერიებზე ნაკლებ საშიშია? ყველა ადამიანი რელიგიურია, თორემ შიში ცხოველებსაც აქვთ. ცრუ რწმენას კი რელიგიური მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობა იწვევს. რელიგიურობის ნიშანი მხოლოდ სადღესასწაულო რიტუალებში მონაწილეობა არაა. ადამიანი ეკლესიისკენ შეგნებულად უნდა მიდიოდეს. ზოგმა შეიძლება, ჩემი სიტყვები ეკლესიისკენ მოხმობად აღიქვას, მაგრამ ეს ხელოვნური მოხმობა არაა.

სამწუხაროა, რომ რელიგიური განათლება სკოლებიდანაც ამოიღეს. მართლმადიდებლურ ქვეყანაში ვცხოვრობთ, ღვთის წყალობით, ხალხის უმეტესობა მონათლულია, ჩვენი რელიგია სიღრმისეულია – ადამიანს, რომელიც ეკლესიისკენ შეგნებულად მიდის, პიროვნულს არ ართმევს. მართლმადიდებლურ წიაღში მონათლულებმა, კეთილი ინებონ და, ნათლობის დროს დადებული პირობა აღასრულონ. მხოლოდ ამ გზით დავიხსნით შვილებს არა მხოლოდ ცოდვებისგან, არამედ, უბედურებისგანაც!

ესაუბრა ნათია გოგიტიძე

16 № 10 (274) 11-17 მარტი 2015

ქართული სიტყვა

ეროვნული

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

ლიტერატურა. ენათმეცნიერება. ჟურნალისტიკა

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

წარმატება

ირმა გიგანი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი გახდა!

– აფეთქდა! – ერთხმად აღმოგვხდა ყველას...

თვალის დახამხამებაც ვერ მოვასწარით, რომ იქაურობა ცეცხლში გაეხვა...

რაღაც უცნაური ცეცხლი იყო, არამიწიერი – მთელ სხეულზე გვედებოდა, გვწვავდა, მაგრამ ტკივილს კი არა, ნეტარებას განვიცდიდით...

ჰო, ეს რაღაც ზეპლანეტური შეგრძნება იყო, შეგრძნება, რომელიც გაიძულებდა, რომ გყვარებოდა...

– სიცოცხლე მომინდა! – ჩავილაპარაკე...

სხვებიც ამყვნენ...

იქ კი...

იქ კი, ისევ ხანძარი იყო...

ჰო, სცენაზე როიალი იწვოდა, როიალი, რომელიც ირმა გიგანმა ააფეთქა...

ეს მუსიკის ხანძარი იყო...

არა, რატომ იყო? იყო კი არა, არის!

ეს გოგო მუსიკის ქალღმერთია, რომელსაც შეუძლია, მეც და ბევრი ჩემნაირი, ვისაც მუსიკის არაფერი გაგვეგება, მოგვაჯადოვოს, მუსიკის, მაშასადამე, თავისი სამყაროს მოქალაქეებად გვაქციოს...

მოკლედ, ამ დღეებში ირმა გიგანი დანიაში გამართულ პიანისტთა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი გახდა.

სცენა კი, ისევ იწვის, ოღონდ ამჯერად აპლოდისმენტებით – პიანისტს ტაშს, დარბაზთან ერთად, ორკესტრიც უკრავს!

და მსოფლიომ იცის, რომ სადღაც, ერთ პატარა ქვეყანაში, რომელსაც საქართველოს ეძახიან, მუსიკის ქალღმერთი ცხოვრობს!

ვანო პავლიაშვილი

კულტურა

ნინო გორგასლიძე – ახალგაზრდა მსახიობი „მოძრაობის თეატრიდან“

მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წლის წინ დაიწვა, „მოძრაობის თეატრი“ დღეს კვლავ ფუნქციონირებს და საზოგადოების ყურადღების მიპყრობას ცდილობს. „ამ თეატრს საზოგადოება კახა ბაკურაძის „მოძრაობის თეატრის სახელით იცნობს“, – ამბობს ახალგაზრდა მსახიობი ნინო გორგასლიძე.

– ნინო, მოძრაობის თეატრი დრამატურგიულისგან რითი განსხვავდება?

– ჩვენი დადგმები უფრო მოძრაობასა და პლასტიკაზეა აქცენტირებული, თუმცა სცენაზე ჩვენც ვთამაშობთ.

– სპონსორი გყავთ?

– არავინ გვაფინანსებს და ყველაფერს ჩვენით ვაკეთებთ.

– მსახიობებს სტაბილური ანაზღაურება გაქვთ?

– არა.

– სპექტაკლზე ერთდროულად რამდენ მაყურებელს შეუძლია დასწრება?

– 60 ადამიანს. ჩვენს თეატრში ისეთი პარტერი არაა, როგორც სხვაგან. აქ ჩვეულებრივი სკამებია და წარმოდგენის დროს ისე ვალაგებთ, როგორც საჭიროა.

– „მოძრაობის თეატრის“ მაყურებლები ახალგაზრდები არიან თუ უფრო ასაკოვნები?

– თითქმის ყველა ასაკის ხალხი მოდის. ისე, ინტერესს უფრო უცხოელები იჩენენ.

– რა გეგმები გაქვთ?

– ახლახან 11-მეტრიან რკინის კონსტრუქციაზე თითქმის აკრობატული ნომრები შევასრულეთ. ამ კონსტრუქციის გადატანა დიდ სივრცეში რომ დავაპიროთ, დაფინანსება დაგვჭირდება, რაც, სამწუხაროდ, არ გვაქვს.

– ნინო, როგორც ვიცი, სტუდენტი ხარ...

– დიახ, თეატრალურ უნივერსიტეტში ვსწავლობ, მე-2 კურსზე ვარ.

– დასში სულ სტუდენტები ხართ?

– არა, რა თქმა უნდა, პროფესიონალებიც არიან.

– რეჟისორი ვინაა?

– რეჟისორი და სცენარისტიც კახა ბაკურაძეა.

– წარმოდგენაზე დასასწრები ბილეთები ძვირია?

– ბილეთის ფასი 7-დან 15-ლარამდეა.

– წარმოდგენებს ყოველდღე თამაშობთ?

– კვირაში სამჯერ – პარასკევს, შაბათსა და კვირას. დანარჩენ დღეებში რეპეტიციები გვაქვს – 4-6 საათს, ხანდახან მეტსაც, ვმუშაობთ. რეპეტიციას სპექტაკლის წინაც გავდივართ...

– ნინო, წარმატებას გისურვებ...

– დიდი მადლობა...

ესაუბრა გიორგი ნემსიწვერიძე

სხვა რაკურსი

კიბეზე ავრბივარ. ვიდრე ქოშინი გადამივლის და პირველ შეკითხვას მოვიფიქრებ, რამდენიმე წამით ვისვენებ... მივდივარ კაცთან, რომელსაც ლანძღავენ, ერის გარყვნას აბრალებენ... კარზე ვაკაკუნებ... გადაწყვეტილი მაქვს, გია ჯაჯანიძეს პასუხი მოვთხოვო, თუ რატომ ცდილობს, საკუთარი და გადაცემის რეიტინგი საზოგადოების გაღიზიანების ხარჯზე აიმაღლოს. სიმართლე გითხრათ, „სხვა რაკურსი“ არასოდეს მინახავს. სამაგიეროდ, ხალხს ვხედავ და ვუსმენ – მეც ხომ ხალხი ვარ!.. მასპინძელი კარს მიღებს. – გამარჯობა, გია, როგორ ხარ? – ისე როგორც გალანძღულს შეეფერება, – ისე მპასუხობს, თითქოს მხოლოდ მე კი არა, მთელ ერს მიმართავს, – შემოდი... ჩემი დაძაბულობის მოსახსნელად „მეტროს ამბავს“ ვიგონებ – თითქოს, ვიღაცის საშინელმა სუნმა გული შემიღონა... მოკლედ, მნიშვნელოვანი არაფერი, მაგრამ ამ უწყინარი ტყუილის გამო, უგემური აბის გადაყლაპვა მომიხდა... გია სამზარეულოში გავიდა – მალე, წამლის მჟავე გემოს, ტკბილი ყავა გამიქრობს... ოთახში მარტო დარჩენილი იმ გარემოს ვათვალიერებ, სადაც „ჯაჯო“ ცხოვრობს: კედლები ერთმანეთისგან არცთუ დიდი მანძილითაა დაშორებული. კედლები ნახატებითაა სავსე. ნახატებში უცნაური ფერები სჭარბობს... ანაზდეულად ვხვდები, რომ აქაურობა მათბობს... ეს უამრავი ნახატიც მომწონს, შინაარსი კი არა, ფერები მომწონს, თუმცა გიას ამაზე არაფერს ვეტყვი – მხატვრობაში ვერ ვერკვევი, თუმცა ფაქტია: ამდენი ტილოს ყიდვა ძვირი დაუჯდებოდა... აი, ჩემი ყავაც... უცნაური ნივთებით სავსე თაროდან მზერა გიაზე გადავიტანე... ერთმანეთის პირისპირ ვზივართ... ვერ მოვითმინე და ვეკითხები:

გია ჯაჯანიძეს ხორცის ჩამოთლით ემუქრებიან!

– გია, ეს ტილოები...

– მე დავხატე...

ამას არ ველოდებოდი. გამიკვირდა. ვფიქრობ: – ასეთი მრავალფეროვანი წარმოსახვის ადამიანი გადაცემებს სულ ჰომოსექსუალებზე, კახპებზე, ურწმუნოებზე, გახდილებზე, გარყვნილებზე რატომ აკეთებს-მეთქი...

– გია, ერს რატომ რყვნი?

– შენ ფიქრობ, ერს ვრყვნი?

– მხოლოდ მე კი არა, ხალხიც ასე ფიქრობს...

– თუ ადამიანი თვითონ არაა გარყვნილი, რაც უნდა აჩვენო, წააკითხო, გაუკეთო, ვერასოდეს ვერ გარყვნი. ყოფილა შემთხვევა, ადამიანი გაუუპატიურებიათ, მაგრამ არ გარყვნილა. უბრალოდ, ადამიანები თვლიან, რომ გარყვნაში ვიღაც ეხმარებათ. მე კი, ასე არ ვფიქრობ. ბევრი მინახავს, ვინც ამბობს, რომ ჩემი გადაცემა არ მოსწონს, მაგრამ როცა ვუხსნი, მეთანხმებიან და ხვდებიან, რომ მართალი ვარ...

– არ მოსწონთ, მაგრამ უყურებენ...

– დიახ, უყურებენ. უყურებენ იმიტომ, რომ აინტერესებთ. იმ გადაცემამ, რომელიც მენტალობას შეეხებოდა, ყველანაირი რეკორდი მოხსნა. თუ გგონია, რომ „სხვა რაკურსი“ გრყვნის და არ გინდა, გაირყვნა, მაშინ რატომ უყურებ? უყურებ იმიტომ, რომ გაინტერესებს. გინდა, ძალიან საინტერესო რაღაც გითხრა? – ნარკომანიაზე გადაცემა გავაკეთე, რომელიც ძალიან ორიგინალურად იყო გადაწყვეტილი: არ მოვიწვიე სამართალდამცავები, არც – ნარკოლოგები. სტუდიაში მხოლოდ საზოგადოების წევრები მყავდა და ვთხოვე, მოდით, ამ ხალხს გვერდით დავუდგეთ და მივხედოთ-მეთქი. ჰოდა, ამ გადაცემას რეიტინგი არ ჰქონდა! – ხალხმა არ უყურა, ერის გადარჩენა არ აინტერესებს! მეორე გადაცემა ფსიქიატრიაზე მქონდა და მაყურებელი არც მას ჰყავდა. არ უნდა ხალხს ეს პრობლემა, არ აინტერესებს, არ სტკივა სხვისი ტკივილი. მესამე გადაცემა ემიგრანტებზე იყო – ამ ხალხმა ჯოჯოხეთი გამოიარა, არც ამ გადაცემას ჰქონდა რეიტინგი. ახლა, შენ გამოიტანე დასკვნა, რატომ არ უყურებს ხალხი გადაცემას, სადაც ის პრობლემა შუქდება, რომელმაც შეიძლება, ერი გადააშენოს? დღეს საქართველოში სირაქლემას პოზიცია გვაქვს. ხმამაღლა ვაცხადებ: არავის არაფრისკენ მოვუწოდებ, არც რამის პროპაგანდას ვეწევი. მე იმას ვაჩვენებ, რაც რეალურად ხდება! დაინახოს ეს მთავრობამ, დაინახოს საზოგადოებამ და თუ პრობლემას ხედავენ, შექმნან ჯგუფი, რომელიც ერის იდეოლოგიას მიხედავს, გაარკვევს, თუ როგორ უნდა გამოვიდეთ ამ კოშმარიდან!

– როცა საზოგადოება ვინმეს ლანძღავს და ტალახს ესვრის, როგორ ფიქრობ, ამ ვინმეში საკუთარ თავს ხედავს, ანუ საკუთარი თავის დაფარვას ცდილობს?

– დიახ, გარკვეული ნაწილი ცდილობს, საკუთარი აგრესია სხვაზე გადაიტანოს, აგრესიული მასა, რომელსაც საკუთარი თავის რეალიზება უჭირს. ზოგი იმას, რაც არ მოსწონს, ძალიან კორექტულად ამბობს და ვცდილობ, ეს გავითვალისწინო. იცი, ერთმა პედაგოგმა რა მომწერა? – ძველ დროში რომ ვიყოთ, ეშაფოტზე აგიყვანდი და ხორცს ჩამოგათლიდიო. გასაკვირი, არაა? ასეთმა ადამიანმა ბავშვებს რა უნდა ასწავლოს?.. არატრადიციული ორიენტაციის წარმომადგენლები მსაყვედურობენ, რატომ არღვევ ჩვენს უფლებებს, ცუდი მხრიდან რატომ გვაშუქებო. ტრადიციული ორიენტაციის ადამიანები მსაყვედურებენ, რატომ მოგყავს ისინი გადაცემაში და პროპაგანდას უწევო. მორწმუნეები მლანძღავენ, ურწმუნოებს რატომ იწვევო. ურწმუნოები კი მეუბნებიან, თავზე მღვდლების აზრს რატომ გვახვევო. გავაკეთე სახუმარო გადაცემა. რა გაცინებს, ვიღუპებითო. გავაკეთე ტრაგიკული გადაცემა, კიდევ ტირილი და გოდება გვინდა, ქვეყანა იქცევაო. რა გავაკეთო?

– აბა, ხალხს რა უნდა?

– არ ვიცი, რა უნდა, მაგრამ ყველა იმას მიიღებს, რისი ღირსიცაა! სახელმწიფო წარმომიდგენია, როგორც ადამიანი: თუ გული, ღვიძლი, ან ფილტვი დაავადდება, ხომ მიდის ექიმთან სამკურნალოდ?! ვაჩვენებ ხელისუფლებასაც და საზოგადოებასაც, თუ რა ხდება და დასკვნა თავად გამოიტანონ. მიხვდი, რას ვამბობ?.. მინდოდა, სოციალურ ქსელში დამეწერა, ვისაც არ გინდათ, არ უყუროთ ჩემს გადაცემას-მეთქი. გამოაცხადონ პროტესტი და არ უყურონ. კაცო, როცა იცი, რომ საწამლავია, ხომ არ მიდიხარ და არ სვამ? არ სვამ იმიტომ, რომ მოკვდები. თუ იცი, რომ ჩემი გადაცემა გღუპავს და გრყვნის, რატომ უყურებ?

– „სხვა რაკურსს“ მოზარდებიც უყურებენ, რომლებიც ჩამოუყალიბებელნი არიან...

– როცა ეთერში გადაცემის ანონსი გავიდა, ერთმა ძალიან ტრადიციულმა კაცმა, მყარი ფსიქიკის პროფესიონალმა იურისტმა, იცი, რა მითხრა? – 12 წლის გოგო მყავს და უნდა ვაყურებინო, სადაც მისი ასაკის გოგო გყავს მოწვეული, რომელიც გათხოვდა და ორსულადაა. იმიტომ უნდა ვაყურებინო, რომ დაინახოს, თუ რა ცუდია მსგავსი ნაბიჯის გადადგმა და როგორი წინააღმდეგია საზოგადოებაო.

როცა ცუდ რამეს ვუყურებ, ის ჩემთვის მაგალითია, რომ ეს ცუდი არ გავაკეთო. არატრადიციული ორიენტაციის ხალხზე მითქმა-მოთქმა ატყდა, მაგრამ არავინ აღნიშნა, რომ სოფელში ამხელა პრობლემაა – პატარა ბავშვები თხოვდებიან. ვინმე არც იმას გამოეხმაურა, რომ 75 წლის ქალბატონი გააუპატიურეს. ეს კოშმარია! როცა ყველაფერი თანაბრად გაღელვებს, მაშინ რაღაცას გააკეთებ, მაგრამ იმის გაკეთებას, რაც არ გინდა, ვერავინ გაიძულებს. როცა ომზე იღებენ ფილმებს, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ომი უნდა იყოს, ან ვინმე ომის პროპაგანდას ეწევა? როცა გადაცემაში ბიანკა მოვიწვიე, ეს მისი პროპაგანდა რატომ ეგონათ? რატომ არ მოუსმინეს, რას ლაპარაკობდა? დედა ჭურჭელს მარეცხინებდა

გაგრძელება მე-17 გვ.

ᲮᲘᲠᲮᲘ
ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ
11- 17 მარტი 2015
№ 10 (274)
17
ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲜᲔᲡᲛᲪᲝᲚᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲪ ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

სხვა რაკურსი

მე-16 გვერდიდან

და ქალის საქმეს მაკეთებინებდაო, – ეს რატომ არ გაიგონა ხალხმა? რატომ არ გაიგონა, როცა ბიჭი გეზრდება, სათამაშოდ ჩაქუჩი უნდა მისცე? ამ კუთხით რატომ არავინ შეხედა? საზოგადოება მიზეზს ეძებს და თავს ვერაფრით მოაწონებ.

კიდევ ერთ რაღაცას გეტყვი: წლების წინ ხალხს ვმკურნალობდი – ფსიქოლოგიურ სეანსებს ვუტარებდი და მიწასთან მასწორებდნენ. ჯადოქარს, სიყვარულის წამლების მკეთებელს, მკითხავსა და ყველაფერ ცუდს მეძახდნენ. ყველაფერ ამას თავი დავანებე და მოვინანიე, საზოგადოება მაინც არ გაჩერდა. ახლა კი მინდა, საზოგადოებას ის ტკივილი, რაც გვჭირს, ტელევიზიით ვაჩვენო და მინდა, ერთად მოვიფიქროთ, რა ვქნათ, მაგრამ ისევ წინააღმდეგნი არიან. ხმამაღლა ვაცხადებ: არც არაფერს ვქადაგებ, არც მოვუწოდებ და არც პროპაგანდას ვეწევი. რაში მდებენ ბრალს? რა შუაში ვარ, თუ ადამიანები ასე აზროვნებენ?

– სოციალურ ქსელში მიმართვა გაავრცელე და საზოგადოების გარკვეულ ნაწილს „მორწმუნე ფარისევლები“ უწოდე. მაინც, ვის თვლი „მორწმუნე ფარისევლებად“ და კაცთმოძულეებად?

– ეს, რა თქმა უნდა, ყველას არ ეხება. მხოლოდ მათ ეხება, ვითომ ღმერთის სახელით რომ ლაპარაკობენ. ხომ გინახავს, ბავშვი თუ როგორ წაიქცა და დედა ცემას უწყებს, რატომ წაიქეციო. დღეს საქართველო ამ მდგომარეობაშია – წაქცეულს შეასხდებიან და ურტყამენ. მე მხოლოდ ვაჩვენებ სინამდვილეს. ახლა, შეკითხვას შემოგიბრუნებ და მიპასუხე: როცა ეკრანზე ტრანსგენდერი დაინახე, კაბის ჩაცმა მოგინდა?

– არა!

– რატომ? – იმიტომ, რომ თუ ადამიანს არ უნდა, ვერავინ ვერაფერს მოაწონებს და ვერც გარყვნის. ფარისეველი, იცი, რატომ ვახსენე? – როცა შენ, ქრისტიანი, მიტევებას ქადაგებ, თავად რატომ არ მიუტევებ? რატომ ქოლავ? ერთმა ქალმა სიყვარულით მომწერა, შენ ცხოვრებას თვალს ყურადღებით ვადევნებ და ამას რატომ აკეთებო? ავუხსენი, იმისთვის ვაკეთებ, რომ საზოგადოებამ დაინახოს, ჩვენს ირგვლივ როგორი ადამიანები ცხოვრობენ, მთავრობას ინფორმაციას ვაწვდი, რომ პრობლემებია. ამ ქალბატონმა ჩემი ახსნა მიიღო.

ვერასდროს ვერავინ შევიძულე. ისინიც კი, რომლებიც მლანძღავენ და ჩემზე ათასგვარ საშინელებას ამბობენ. ისინი არ მიცნობენ, არც უნდათ, მომისმინონ, არ მეკითხებიან, ასეთ გადაცემებს რატომ ვაკეთებ. თუ შეკითხვას დამისვამენ, აუცილებლად ვუპასუხებ და მიხვდებიან, რომ მაგინებენ და მლანძღავენ, ამით პრობლემები არ მოგვარდება! ბექა, დამიჯერე, დამალული და დაფარული უფრო გაიხრწნება, ვიდრე ღია. ახლა, როცა გელაპარაკები, ძალიან ვფრთხილობ, რადგან ამ ინტერვიუსთვისაც გამ-

„ᲐᲛ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲒᲐᲛᲚᲐᲜᲫᲚᲐᲕᲔᲜ. ᲓᲦᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲕᲐᲜᲔᲑᲝ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲨᲘ ᲬᲐᲕᲘᲓᲔ, ᲛᲐᲘᲜᲪ ᲒᲐᲛᲚᲐᲜᲫᲚᲐᲕᲔᲜ ᲓᲐ ᲘᲢᲧᲕᲘᲐᲜ, ᲒᲐᲠᲧᲕᲜᲘᲚ ᲯᲐᲯᲐᲜᲘᲫᲔᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲨᲘ ᲠᲐ ᲣᲜᲓᲐᲝ?!“

ველს მოვიწვევ და თავიანთ ცხოვრებაზე ვალაპარაკო, მაგრამ ისინი ხომ სიმართლეს არ იტყვიან!

– საზოგადოებას სალანძღავი ობიექტი ხომ არ სჭირდება?

– დღეს ყველა ლანძღვაზეა გადასული, ოღონდ გულწრფელად გეუბნები, რომ აგრესია საშინელ დაავადებებს იწვევს. ასეთი ადამიანი არასოდესაა წარმატებული და ვერასდროს ვერაფერს აღწევს. მოიხსნან აგრესია და გამოთქვან აზრი. მე სარკე ვარ და გადაცემაში საქართველოს ანარეკლს ვაჩვენებ! კარგსაც და ცუდსაც.

– მაგინებლების მიმართ აგრესია შენც გაქვს?

– აგრესიისთვის არც მცალია. ძალიან ბევრია ნიჭიერი, რომელმაც ცხოვრებაში თავისი გზა ვერ იპოვა და როცა დაინახა, თუ როგორ შეიცვალა ვიღაცამ სქესი, ან გაიხადა და პოპულარული გახდა, აგრესია გაუჩნდა. ამ ადამიანებისაც მესმის – ისინიც მართლები არიან. აქედან გამომდინარე, არც ვადანაშაულებ. შემიძლია, დავადანაშაულო საზოგადოება და მთავრობა, თუ ამ ხალხს არ მიხედავს. პატარა რომ ვიყავი, ჩანაწერებს ვაკეთებდი, რომლებსაც ასე ვამთავრებდი: „მინდა, მთელ მსოფლიოს ვუყვარდე!“ მაშინ მსოფლიოს მნიშვნელობაც არ ვიცოდი. ამის შინაგანი მოთხოვნილება ახლაც მაქვს და გული მტკივა, რომ ამას ვერ მივაღწიე. ძალიან ბევრ ქალს გადავაფიქრებინე აბორტის გაკეთება, ძალიან ბევრ ადამიანს დავეხმარე და ვუშველე და ამაზე ტელევიზიითაც ვთქვი და დაიწერა, ჰო ვთქვი, მიხაროდა და ვთქვი, მაგრამ არასოდეს არავის უთქვამს, ჯაჯანიძე კეთილშობილიაო. ჩემმა ახლობლებმა იციან, რამდენი სიკეთე მაქვს გაკეთებული, მაგრამ ამას კომენტარი არასოდეს მოჰყოლია. კარგის გაკეთება ყოველგვარი სტიმულის გარეშე შემიძლია და ვიცი, გავა დრო და, რასაც ახლა ვაკეთებ, მომავლისთვის მასალა იქნება, თუ როგორ უნდა ეშველოს ერს. ადამიანები, რომლებიც მხოლოდ სიძულვილსა და აგრესიას გამოხატავენ, იმას არ ამბობენ, რაც გულში აქვთ, მაგრამ ღმერთი ყველაფერს დაალაგებს!

რატომღაც გავიღიმე... რისი თქმაც მინდა, არ ვეუბნები: რა დროს სითბოა, საქმეა მთავარი! გიამ კარამდე მიმაცილა. ინტერვიუ ოთხშაბათს დაიბეჭდება-მეთქი, ვუთხარი და ხელი გავუწოდე:

– კარგი, დროებით!

– აბა, კარგად! – მემშვიდობება.

კიბეზე ჩამოვრბივარ.... ვიდრე ქოშინი დამეწყება, სიჩქარეს ვუკლებ. ბრალდებები, რომლებსაც ხალხი გია ჯაჯანიძეს უყენებს, აღარც მახსოვს... ქუჩაში გამოვედი... აღარ ცივა... გაზაფხული მოსულა... შუქნიშანთან, გადასასვლელზე, გოგო-ბიჭები ჟრიამულით მათხოვრობენ...

ᲑᲔᲥᲐ ᲦᲘᲑᲠᲐᲫᲔ

18 № 10 (274) 11-17 მარტი 2015

ეროვნული იტაჭა

ლიტერატურა. ზელოვნება. პოლიტიკა

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

საინფორმაციო მხარდაჭერა

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

1 3 5

საბაკალავრო პროგრამები

- სამართალმცოდნეობა
- ჟურნალისტიკა
- ბიზნესის ადმინისტრირება
- ტურიზმი
- ინგლისური ფილოლოგია
- აგროინჟინერია
- საერთაშორისო ურთიერთობები
- საჯარო მმართველობა
- სასურსათო ტექნოლოგიები

საბაკალავრო პროგრამების არჩევითი მოდულები

- მენეჯმენტი
- ფინანსები
- საბუღალტრო აღრიცხვა
- ტურიზმი
- ჰიდრომელიორაცია
- სს მექანიზაცია
- სს ელექტროფიკაცია

ინგლისური ფილოლოგიისა და სასურსათო ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამებზე *სტუდენტს შეუძლია, აირჩიოს დამატებითი სპეციალობა 60 კრედიტის ფარგლებში (minor ბიზნესის ადმინისტრირებაში, ან ტურიზმში)*

სამაგისტრო პროგრამები

- მენეჯმენტი
- ფინანსები
- ტურიზმი
- სადაზღვევო საქმე
- სურსათის უვნებლობა
- მეცხოველეობის პროდუქტებისა და ნედლეულის საქონელმცოდნეობა

მოდულის არჩევითი კურსები – 60 ECTS კრედიტი, ან დამატებითი სპეციალობები (*minor*) – 60 ECTS კრედიტი.

შეთავაზებული დამატებითი პროგრამებიდან სტუდენტს შეუძლია, აირჩიოს აგრარული მიმართულები:

- **სურსათის ტექნოლოგია** – Food Technology - **0104**
- **მეცხოველეობის პროდუქციის ნედლეულის წარმოება და პირველადი დამუშავება** – Production and primary processing of raw animal products – **0103)**
- **ან სხვა სპეციალობის** *minor*

წლიური გადასახადი 2250 ლარი

მის.: ეგ. ნინოშვილის №55; mail: tbuniver.edu@gmail.com;
ტელ.: 296-01-04; 296-01-90; 296-90-33
www.tbuniver.edu.ge; acebook: თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი (ოფიციალური გვერდი)

ნაომი კემპბელმა ტელეოპერატორი გალახა

რამდენიმე დღის წინ, კუბაში, კერძოდ, ქალაქ ჰავანაში ინციდენტი მოხდა – მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული მოდელი, ნაომი კემპბელი ტელეოპერატორს თავს დაესხა. საერთოდ, მოდელი მსგავსი აგრესიითაა სახელგანთქმული. ამჯერად, ნაომის გულისწყრომა იმან გამოიწვია, რომ სასტუმროდან გამოსვლისას, პაპარაცის ობიექტივში აღმოჩნდა. მოდელი მაშინვე ოპერატორს მივარდა და ვიდეოკამერას დაარტყა.

ინციდენტიდან არცთუ დიდი ხნის შემდეგ, პოდიუმის ვარსკვლავმა ტელეარხს ბოდიში მოუხადა...

სხვათა შორის, ნაომის საკუთარი მძღოლი, დამლაგებელი და, თქვენ წარმოიდგინეთ, პოლიციელიც ჰყავს გალახული.

მერილ სტრიპის ქალიშვილებმა ფოტოსესიაში მიიღეს მონაწილეობა

მსოფლიო კინოს ცოცხალი ლეგენდა მერილ სტრიპი სამი ქალიშვილის დედაა: მემი 31 წლისაა, გრეისი – 28-ის, ლუისა კი, – 23-ის. ვარსკვლავის შვილებმა ახლახან დიზაინერ კლერ ვივიერის კოლექციის ფოტოსესიაში მიიღეს მონაწილეობა.

„ასეთ მოდელებზე მხოლოდ ოცნება შეიძლება. სამივე შემოქმედებითი, შრომისმოყვარე და გემოვნებიანია. მათთან მუშაობა ძალიან სასიამოვნოა“, – აცხადებს დიზაინერი.

ალა პუგაჩოვას გული აწუხებს

როგორც რუსული მედია იუწყება, რუსული ესტრადის „დივა“ ისრაელშია – ალა ბორისოვნა ფეშენებელურ ვილაში ნებივრობს. ასევე, არსებობს ცნობა, რომ ისრაელში მაქსიმ გალკინიც იმყოფება. მართალია, ამის შესახებ ოფიციალურად არავინ არაფერს ამბობს, მაგრამ ალა პუგაჩოვა ისრაელს დასასვენებლად კი არა, სინამდვილეში, სამკურნალოდ ეწვია.

ცნობისთვის: რამდენიმე წლის წინ, ალამ გულის ოპერაცია სწორედ ისრაელში, ერთ-ერთ პრესტიჟულ კლინიკაში გაიკეთა.

ლეონარდო დი კაპრიოს პატიოსანი ქალები ხიბლავს

რამდენიმე დღეა, მთელ მსოფლიოს პირზე ლეონარდო დი კაპრიოს განცხადება აკერია, რომელიც მან ერთ-ერთ ინტერვიუში გააკეთა. თურმე, ნუ იტყვით და, სახელგანთქმული ჰოლივუდელი, რომელსაც „ოსკარი“ ერთხელაც არ ეღირსა, ცოლად პატიოსან ქალს ეძებს.

„ხშირად მეკითხებიან, თუ როგორ ცოლს ვეძებ. გეტყვით: მომწონს გოგონები, რომლებსაც ჩემი გაცინება შეუძლიათ. ყველაზე მეტად კი, პატიოსანი ქალები მხიბლავს“, – ამბობს ჰოლივუდელი, რომელსაც, მას შემდეგ, რაც ვარსკვლავი გახდა, არაერთი საყვარელი ჰყავდა. ლეოს „ლოგინის მეგობრების“ სიაში „საპატიო ადგილი“ მხოლოდ მსახიობებს კი არა, სუპერმოდელებსაც უკავიათ.

ბულგარელი ბოშები საპატარძლოებს ყიდიან

სტარა-ზაგორა ბულგარეთის ქალაქია, სადაც – არც მეტი, არც ნაკლები – საპატარძლოებს ყიდიან. საპატარძლოების ბაზრობას ადგილობრივი ბოშები წელიწადში ოთხჯერ აწყობენ.

მართალია, ბოშებს მოკლე კაბისკენ მიდრეკილება არ აქვთ, მაგრამ ბაზრობაზე ლამაზმანები სწორედ ასეთ სამოსში არიან გამოწყობილნი და „კლიენტების“ წინაშე თავს ბრჭყვიალა სამკაულებითაც ინონებენ. იმ შემთხვევაში, თუკი კლიენტი რომელიმე გოგონას „თვალს დაადგამს“, საქმეში უკვე სასიძოსა და საპატარძლოს მშობლები ერთვებიან და მომავალ მძახლებს 2 800-დან 5 600-დოლარამდე სთხოვენ...

მარადონამ გულშემატკივრები დაშოკა

იყო დრო, როცა თანამედროვე ფეხბურთის ლეგენდა, დიეგო მარადონა ქალებისთვის ყველაზე სასურველ მამაკაცად ითვლებოდა, მაგრამ დღეს დიეგო უცნაურად გამოიყურება. ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთ ტელეშოუში მას მხოლოდ საყურე კი არ ეკეთა, არამედ, პომადაც ესვა. მარადონას ახალმა იმიჯმა ფეხბურთელის ფანები დაშოკა.

იტალიელი ნეიროქირურგი ადამიანისთვის თავის გადანერგვას გეგმავს

იტალიელი ნეიროქირურგი სერჯიო კანავერო ამტკიცებს, რომ ორ წელიწადში, ადამიანს თავს გადაუნერგავს. საერთოდ, სერჯიო სკანდალური და ხმაურიანი განცხადებებითაა სახელგანთქმული. სამეცნიერო წრეებში ამბობენ, რომ ნეოროქირურგის ახალი იდეაც მორიგი პიარტრიუკია, თუმცა თავად მეცნიერი ამბობს, რომ ყველაფერი რეალობაა და თავის გადანერგვის ოპერაციებს მათ გაუკეთებს, ვინც სიმსივნითა და სხვა უკურნებელი დაავადებით იტანჯებიან.

სხვათა შორის, მსოფლიო თავის გადანერგვის მომსწრე ერთხელ უკვე გახდა – 1970-იან წლებში, თავი მაიმუნს გადაუნერგეს, რის შემდეგაც ცხოველმა 9 დღე იცოცხლა.

„ვფიქრობ, უკვე იქამდე ვართ მისულები, როცა ტექნიკური ასპექტები ასეთი ოპერაციის შესაძლებლობას იძლევა.... ოპერაციამდე, პაციენტისა და დონორის სხეულებს იქამდე გავყინავთ, ვიდრე უჯრედები ჟანგბადის გარეშე არსებობას შეძლებენ. ამის მერე მეორე ეტაპი დაიწყება – მსხვილ სისხლძარღვებსა და ზურგის ტვინს გავაცალკევებთ, ზურგის ტვინის დაბოლოებებს პოლიეთილენგლიკოლით „შევაწებებთ“. ოპერაციის შემდეგ, ადამიანი, მინიმუმ, ოთხი კვირა ხელოვნურ კომაში გვეყოლება – ეს იმისთვისაა საჭირო, რომ არტერიებისა და კუნთების შეხორცებისას მოძრაობა ვერ შეძლოს“, – აცხადებს იტალიელი ქირურგი და დასძენს, რომ ამ მანიპულაციებში 100 ქირურგი მიიღებს მონაწილეობას.

„ეს იმდენად ყოვლისმომცველი პროექტია, რომ მისი შესაძლო განხორციელება ძალიან საეჭვოდ მიმაჩნია. არ მჯერა, რომ ეს ოდესმე იმუშავებს“, – ამბობს კალიფორნიის ნევროლოგიური ქირურგიის პროფესორი ჰარი გოლდსმიტი.

მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა მილიარდერი ქალი

30 წლის ელიზაბეტ ჰოლმსი მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა მილიარდერი ქალია. მან სახელი მედიცინის სფეროში გაითქვა – კომპანია თჰერანო დააარსა, სადაც 500 ადამიანი მუშაობს და ინვესტორებისგან 400 მილიონი დოლარის ინვესტიცია მიიღო. დღევანდელი მონაცემებით, კომპანიის მთლიანი ღირებულება 9 მილიარდი დოლარია.

ელიზაბეტმა ბიზნესს ხელი ათი წლის წინ მოჰკიდა. მაშინ 20 წლის იყო და სტენფორდის უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტზე სწავლობდა. ზაფხულში, სინგაპურის უნივერსიტეტის საზაფხულო სემინარში მიიღო მონაწილეობა, სადაც ატიპური პნევმონიის ვირუსსზე მსჯელობდნენ. სწორედ აქ გაუჩნდა იდეა, დაეარსებინა კომპანია, რომელიც სისხლის ანალიზის მეთოდს დახვეწდა...

მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა მილიარდერი ქალის კომპანია ყველაზე გავლენიან ამერიკულ სააფთიაქო ბრენდსა და, ასევე, ცნობილ კლინიკებთან თანამშრომლობს, თუმცა ელიზაბეტა ამით არ კმაყოფილდება და აცხადებს: „მინდა, ჩვენი ცენტრი ყოველი ამერიკელისგან ხუთი კილომეტრის რადიუსში მდებარეობდეს“.

„ოსკაროსან“ ლუპიტას ბრილიანტებიანი კაბა მოპარეს

ლუპიტა ნიონგოს, რომელიც ახალგაზრდა კენიელი „ოსკაროსანია“, 150 ათას დოლარად შეფასებული ის კაბა მოპარეს, რომელიც წლევანდელ „ოსკარზე“ ეცვა.

ჰოლივუდური გამოცემების ცნობით, კაბა, რომელიც მარგალიტის თვლებით იყო გაწყობილი, ლოს-ანჯელესის ერთ-ერთი სასტუმროდან დაიკარგა.

ლუპიტა მსოფლიომ 2013 წელს გაიცნო – გოგონამ სტივ მაქუინის ფილმ „მონობის 12 წელში“ შესრულებული როლისათვის „ოსკარი“ დაიმსახურა. შარშან კი, ერთ-ერთმა გავლენიანმა ჟურნალმა წლის ულამაზეს ქალად დაასახელა...

წადი შენი...

ანცობ, არცთუ ბებერო,
კაცო მაცდუნებელო,
შენ ხარ ოდიოზური,
ცრემლი მოგდის ბოზური.
სისხლისმსმელო, ვამპირო,
მოსვლა არ დააპირო.

ახლოდან ისვრიან

– ეს მითხარი, ნისიად,
საქართველო ვისია?
– ჩემი ნაღდად არ არის,
საქართველო სხვისია.
იმისია, ვინც ქვეყნად
სიძულვილის ღირსია.
ჩვენთან ძმა ძმის მტერია
და ახლოდან ისვრიან!

ისევ ვანოს!

შენ დღეის ხარ
და ნურც ელი მოლოდინს,
ჩემო ვანო,
შეუბერე ბოლომდის.
შენ ყოველგვარ
მიხვრა-მოხვრას გასცლიხარ.
შენ ნამდვილი
ჟურნალისტი კაცი ხარ!

ყოფილი ყმა

ქართველს წარსული ვინ გაუსრისა?
მომავლის ეშხით აწმყო თბილია,
ის ყმა-ყოფილი იყო რუსისა.
დღეს ამერიკის ყმა-ყოფილია!

შატილი გუშინ და დღეს

ნეტავი, ქართველს ჭკუა ჰქონოდა,
ვახ, ჩამეხედა ნეტა, მაგ ტვინში,
შატილში ასი კაცი ცხოვრობდა.
დღეს ერთი კაცი ცხოვრობს შატილში!

ზიზღი

„ჩარეცხილებს“ გესლით ვღებავთ,
ჩვენ მწერლობა გვეზიზღება,
წყევლა-კრულვის ვართ მგოსნები –
საქართველოს ვარდოსნები!
ვარდი ჩვენი ყვავილია,
„ვარდოსნებსაც“ არვის ვადრით,
რას მიქვია – „აი, ია“,
დღეს პირველი არის ვარდი!



ელექტრონული მხატვრობა – ფერწერის ახალი მიმდინარეობა

ხელოვნებისთვის ექსპერიმენტები და კრეატივია დამახასიათებელი. ელექტრონული მხატვრობაც, რომლითაც ალექსანდრე ლომოურია გატაცებული, ერთგვარი ექსპერიმენტია. ვერ ვიტყვით, რომ მხატვრობის ამ „ჟანრს“ ბევრი მიმდევარი ჰყავს, მაგრამ ლომოურის ნამუშევრებს სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ მომხმარებლები ინტენსიურად „ალაიქებენ“. ზოგი ავტორს გამოფენის მოწყობასაც ურჩევს. „ქართული სიტყვა“, როგორც იტყვიან, განსჯისთვის ელექტრონული მხატვრობის რამდენიმე ნამუშევარს გთავაზობთ.





დიზაინის საავტორო უფლებები დაცულია

ISSN 2298-0024

9 772298 002004 47922

მთავარი რედაქტორი: ჯანსულ ჩარკვიანი
მთ. რედაქტორის მოადგილე: ვანო პავლიაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ჭაბუა ამირეჯიბი, მერაბ ბერძენიშვილი,
ბაჩანა ბრეგვაძე, თემო გოცაძე, ემზარ კვიტაიშვილი,
არმაზ სანებლიძე,

მედია-ჯგუფი: მარიკა კახაძე,
ნათია გოგიტიძე, ნათია ვერძეული,
ნათია ლებანიძე.
დიზაინერი და ფოტოკორესპონდენტი:
ზურა მეგრელიშვილი.

გაზეთი რეგისტრირებულია რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიერ. რეგისტრაციის №22851

მისამართი:
26 მაისის
მოედანი. №1
ტელ.: 272-63-90

E-Mail: qartulisityva@gmail.com

გაზეთი მოქმედებს თავისუფალი პრესის პრინციპით